186
90

ISSN—0132—4241

321.

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1990 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

19.650

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი — თებერვალი 1990 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 23 ოქტომბრის № 900 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 4 თებერვლის № 84 დადგენილების მე-17 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1989 წლის 10 ოქტომბრის № 836 დადგენილების თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად და დამატებითი შეღავათების მისაცემად შრომითი კოლექტივების წინადადებათა განხილვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება

5. საქართველოს სს რესპუბლიკაში კომპიუტერული ცოდნის ამაღლების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი

6. საქართველოს საისტორიო საზოგადოებისათვის ე. ს. თაყაიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.
7. ივანე მაჩაბელის საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ.
8. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული „სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
9. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მართვის ავტომატიზებული სისტემისა და გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიფიკაციის საუკეთესო ნამუშევართა რესპუბლიკური კონკურსის დებულების შესახებ.
10. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
11. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის „მამულის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
12. საქართველოს უცხოეთთან წარსულ და თანამედროვე ურთიერთობათა საზოგადოებრივი ცენტრის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
13. საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
14. ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმების თაობაზე მემორანდუმთან დაკავშირებულ საქართველოს რაგბის ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
15. საქართველოს რაგბის ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
16. გარდაბნის რაიონში სოფელ კრწანისისა და კრწანისის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.
17. მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვალ-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ.
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.
19. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების წარჩინებულ მოსწავლეთათვის ცნობილი ქართველი პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.
20. საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
21. საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
22. საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ — წესდების რეგისტრაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.
24. საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების და მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დოკუმენტაციის დამტკიცების წესის შესახებ.
25. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
26. საქართველოს უ-შუს ფედერაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 ოქტომბრის № 506 დადგენილებით რეგისტრირებული საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“ წესდებაში დამატებათა და ცვლილებათა რეგისტრაციის შესახებ.
28. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
29. რესპუბლიკური საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
30. დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი სახის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესების ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ.
31. თბილისის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.
32. რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის წესის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 23 ოქტომბრის № 900 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

„ინდივიდუალური ბინათმშენებლობის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 23 ოქტომბრის № 900 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და კადრების შენარჩუნების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 4 იანვრის № 10 დადგენილება.

2. „1986—1990 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 9 დეკემბრის № 780 დადგენილების მე-10 პუნქტი.

3. „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 15 დეკემბრის № 615 დადგენილების მე-17 პუნქტის მე-3-4-5-6, მე-8-9 აბზაცები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1990 წ. 9 იანვარი, № 7

2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 4 თებერვლის № 84 დადგენილების მე-17 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ოქტომბრის № 827 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა შემდგომი განვითარების, გეგმიანობის გაძლიერებისა და საქმიანობის კოორდინაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 4 თებერვლის № 84 დადგენილების მე-17 პუნქტი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1990 წ. 9 იანვარი, № 20

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

3 სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1989 წლის 10 ოქტომბრის № 836 დადგენილების თაობაზე

„მაგისტრალური რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ 1989 წლის 10 ოქტომბრის № 836 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1989 წლის 10 ოქტომბრის № 836 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილება (მე-18 დანართის მე-2 ცხრილის პირველი განყოფილების მე-2 შენიშვნა), რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1987 წლის 13 იანვრის № 24 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **პ. ჩხეიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 9 იანვარი, № 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რეუსპბლიკური საბჭოს დადგენილება

4 შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად და დამატებითი შეღავათების მისაცემად შრომითი კოლექტივების წინადადებათა განხილვის წესის შესახებ

შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად და მეშახტეებისათვის დადგენილი დამატებითი შეღავათების მისაცემად შრომითი კოლექტივების წინადადებათა განხილვასთან დაკავშირებული მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით და „შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად და დამატებითი შეღავათების მისაცემად შრომითი კოლექტივების წინადადებათა განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის № 988 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის № 988 დადგენილება „შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად და დამატებითი შეღავათების მისაცემად შრომითი კოლექტივების წინადადებათა განხილვის წესის შესახებ“.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ შრომითი კოლექტივებისაგან შემოსული ყველა წინადადებისა და მოთხოვნის განხილვა და განზოგადება, საჭირო შემთხვევებში მივიდნენ საწარმოსა (გაერთიანებაში) და ორგანიზაციაში.

მიიღონ გადაწყვეტილებანი აღნიშნულ წინადადებათა მიხედვით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში (ფინანსურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით).

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ დროულად აცნობონ შრომით კოლექტივებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭვილითაია**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **პ. ჩხეიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 16 იანვარი, № 19

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება

1989 წლის 18 ნოემბერი

ქ. მოსკოვი

შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად და დამატებითი შეღავათების მისაცემად შრომითი კოლექტივების წინადადებათა განხილვის წესის შესახებ

შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად და მეშახტეებისათვის დაწესებული დამატებითი შეღავათების მისაცემად შრომითი კოლექტივების წინადადებათა განხილვასთან დაკავშირებული მუშაობის უფრო ზუსტი ორგანიზაციის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ შრომითი კოლექტივებისაგან შემოსული ყველა წინადადებისა და მოთხოვნის განხილვა და განზოგადება, საჭირო შემთხვევებში მივიდნენ საწარმოებსა (გაერთიანებებში) და ორგანიზაციებში.

მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში (არსებულ ფინანსურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით) სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით იღებენ გადაწყვეტილებებს ზემოაღნიშნულ წინადადებათა მიხედვით.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ დროულად აცნობონ შრომითს კოლექტივებს.

შრომის ანაზღაურების პირობების შესაცვლელად და დამატებითი შეღავათების მისაცემად წინადადებანი, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, შემოაქვთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მას შემდეგ, რაც მათ წინასწარ განიხილავენ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტში და საკავშირო პროფსაბჭოში.

2. დაწესდეს, რომ შვებულების, პენსიის გადიდების, ხელფასის რაიონული რეგულირების სრულყოფის შესახებ შემოსული ყველა წინადადება განიხილება სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად სსრ კავშირის შესაბამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი კანონების პროექტებისა და ხელფასის სრულყოფის კონცეფციის განხილვისას.

3. საწარმოებმა (გაერთიანებებმა) უფრო ფართოდ გამოიყენონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-5 მუხლითა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 4 მაისის № 372 დადგენილებით გათვალისწინებული უფლებანი გამომუშავებული სახსრების ხარჯზე სოციალურ საკითხთა გადასაწყვეტად. რჩევა მიეცეთ შემოიღონ მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდის) ხარჯზე: წარმოებაში დაღუპულთა ოჯახებისათვის მისაცემი თანხები; ფულადი კომპენსაციები წარმოებაში დასახიჩრებულ ან პროფესიულად დაავადებულ პირთათვის დაწესებული პენსიებისა და მისაცემი თანხების გადამეტებით; ერთ საწარმოში დიდხანს ნამუშევარ მშრომელთათვის ერთდროული დახმარება პენსიაზე მათი გასვლისას; ერთდროული გასამრჯელო საწარმოში უწყვეტი მუშაობის სტაჟისათვის; დამატებით ანაზღაურებული შვებულებანი, მათ შორის ქალებისათვის, რომლებიც ზრდიან ბავშვებს 3 წლამდე ასაკში, უწყვეტი მუშაობის სტაჟის შენარჩუნებით; საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლისათვის გადასახდელის ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება, აგრეთვე სხვა შრომითი და სოციალური მისაცემლები.

ამ შეღავათების მიცემის პირობებს, ოდენობასა და წესს განსაზღვრავს ადმინისტრაცია შრომითი კოლექტივის საბჭოსთან და პროფკავშირის კომიტეტთან ერთად და შეიტანს კოლექტიურ ხელშეკრულებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოთა (გაერთიანებათა) მუშები და სპეციალისტები საკმარისად არ არიან ინფორმირებული მათი უფლებების შემდგომი გაფართოებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან ერთად ფართოდ განმარტონ საწარმოებისა და შრომითი კოლექტივების უფლებანი შრომითი და სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

4. დაუწესდეთ 1989 წლის 1 დეკემბრიდან დანამატი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიწისქვეშა სამუშაოებზე, მათ შორის ნავთობის შახტურ მოპოვებაზე მუდმივად დასაქმებულ მუშაკებს (უბნების უფროსთა ჩათვლით) შახტებში (მაღაროებში) ჭაურიდან სამუშაო ადგილამდე და უკან მათი გადაადგილების ნორმატიული დროისათვის სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) მიხედვით. ამ დროის განსაზღვრისა და აღრიცხვის წესს დაადგენს შახტის (მაღაროს) ადმინისტრაცია შრომითი კოლექტივის საბჭოსთან და პროფკავშირის კომიტეტთან ერთად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით განსაზღვროს ზემოაღნიშნული მისაცემლების შემოსაღებად სახსრებზე დამატებითი მოთხოვნილება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

5. სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა დაამთავრონ არა უგვიანეს 1990 წლის პირველი კვარტალისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკებისათვის მრავალცვლიანი მუშაობის რეჟიმის გამო იმ შეღავათების შემოღება, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 12 თებერვლის № 194 დადგენილებით.

უფლება მიეცეთ ადმინისტრაციებს მეტალურგიული, ქიმიური, მარილის, ნავთობის, გაზისა და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ელექტროენერგეტიკული მრეწველობის, სსრ კავშირის მთავარალმასოქროს, სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და ასოციაცია „აგროქიმიის“ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა, აგრეთვე თავდაცვითი მრეწველობის დარგების სამინისტროებისა და მანქანათსაშენებელი სამინისტროების მეტალურგიულ წარმოებათა შრომითი კოლექტივების საბჭოებთან და პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად გამოიყენონ ამ მიზნებისათვის სოციალური განვითარების ფონდის სახსრების ნაწილი.

6. დაწესდეს, რომ შახტებში (მაღაროებში) მუშაკთა გადაადგილების ნორმატიული დროისათვის მათთვის მისაცემი თანხების შემოღების სახსრები, აგრეთვე მრავალცვლიანი მუშაობის რეჟიმისათვის შეღავათების შემოსაღებად გამოსაყენებელი სოციალური განვითარების ფონდის სახსრები (ამ დადგენილების მე-4 და მე-5 პუნქტები) არ შედის შრომის ანაზღაურების ფონდის თანხაში, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას 1989—1990 წლებში.

7. უფლება მიეცეს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ნება დართოს შემოიღონ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების ხარჯზე სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობები.

8. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად გაითვალისწინოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცამეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის პროექტის შემუშავებისას საჭირო სახსრების გამოყოფა სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებს ყველა საწარმოს (გაერთიანების), ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების დასამთავრებლად.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

საკავშირო პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
ს. შალაევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება

5 საქართველოს სს რესპუბლიკაში კომპიუტერული ცოდნის ამაღლების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსწავლეთა კომპიუტერული ცოდნის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ნორჩ პროგრამისტთა საერთაშორისო სკოლა.

საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ერთად წამყვანი საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტების მონაწილეობით მოაწყო საბჭოთა კავშირ-ინგლისის ნორჩ პროგრამისტთა სკოლა (1988 წლის სექტემბერი, დაბა ლესელიძე), ინგლის-საბჭოთა კავშირის სკოლა (1989 წლის აპრილი, ქ. კენფორდი, ინგლისი) და ნორჩ პროგრამისტთა საერთაშორისო სკოლა იუნესკოს ეგიდით (1989 წლის სექტემბერი, ქ. წყალტუბო).

ნორჩ პროგრამისტთა საერთაშორისო სკოლების მოწყობის გამოცდილებამ უცილობლივ ცხადყო ურთიერთობის ასეთი ფორმის სარგებლიანობა იმ მხრივ, რომ საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეებს განუვითარდეთ ინტერესი ინფორმატიკის შესწავლისადმი, გაუღრმავდეთ ცოდნა და პროგრამირების ჩვევები, აგრეთვე გამოვლინდნენ ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელთაც აქვთ მიდრეკილება ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში სამეცნიერო და კვლევითი მუშაობისადმი. ამგვარი ღონისძიებანი ხელს უწყობენ ხალხთა დაახლოებას, სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა შორის მეგობრობის განმტკიცებასა და კეთილ ურთიერთთანამშრომლობას.

საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მიერ წლების განმავლობაში ქალაქ თბილისის № 22 საშეფო საშუალო სკოლასთან დამყარებულმა ნაყოფიერმა კონტაქტებმა რეალურად შესაძლებელი გახადეს, რომ მოსწავლეებმა ადრეულ ასაკში შეისწავლონ ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და სასწავლო პროცესში გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, ქალიშვილთა და ჭაბუკთა პროფესიული ორიენტაციის სრულყოფის და კვალიფიკაციური კადრების აღზრდის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტი ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შეიქმნას საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ნორჩ პროგრამისტთა საერთაშორისო სკოლის ბაზაზე ნორჩ პროგრამისტთა და მენეჯერთა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სკოლა იუნესკოს (საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა რესპუბლიკური საბჭოს) ეგიდით.

2. შეიქმნას ქალაქ თბილისის № 22 საშუალო სკოლის ბაზაზე სპეციალიზებული სკოლა ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში.

დამტკიცდეს საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ზემოაღნიშნული სკოლის საბაზო ორგანიზაციად.

3. საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ:

— უზრუნველყონ სპეციალიზებული სკოლა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით, ავრეთვე სასწავლო კლასების აღჭურვა;

— განახორციელონ ზემოაღნიშნული სკოლისადმი მეცნიერულ-ტექნიკური და მეთოდიკური ხელმძღვანელობა.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ნორჩ პროგრამისტთა საერთაშორისო სკოლას აფინანსებენ სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტი და შეფი ორგანიზაციები.

5. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროთ სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ვ. ვ. კორჩაგინს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის თავდაცვითი მრეწველობის განყოფილებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**	სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ბუკრეევი**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 იანვარი, № 41

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

6 საქართველოს საისტორიო საზოგადოებისათვის ე. ს. თაყაიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების VI ყრილობის წინადადება და მიეკუთვნოს საქართველოს საისტორიო საზოგადოებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 8 იანვარი, № 2

7 ივანე მაჩაბლის საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს ივანე მაჩაბლის საზოგადოების წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 იანვარი, № 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 13 იანვრის № 10
დადგენილებით

ივანე მაჩაბლის საზოგადოების წესდება

საზოგადოების მიზნები და ამოცანები

1. ი. მაჩაბლის საზოგადოება თვითმმართველობაზე დამყარებული ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. ი. მაჩაბლის საზოგადოების მიზანია ეროვნებათა შორის მეგობრობის განმტკიცება, ქართული კულტურის აღორძინება.

3. საზოგადოების ამოცანებია:

— მაჩაბელთა გვარის სრული გენეალოგიისა და წარმოშობის ისტორიის აღდგენა;

— დიდი ქართველი მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაცია, როგორც ჟურნალ „ივერიისა“ და ქართული ბანკის ხელმძღვანელისა და საქართველოში მთარგმნელობითი კულტურის უდიდესი რეფორმატორისა;

— ყოველთვიური გაზეთის „სამაჩაბლო“ და ლიტერატურული ალმანახის გამოცემა, სადაც დაიბეჭდა ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებები;

— რეგიონის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა, საქმიანი ურთიერთობის დამყარება ყველა სწავლულთან, ვისაც სამაჩაბლოს რეგიონთან აქვს მეცნიერული კონტაქტები;

— სხვადასხვა მიზეზების გამო მიგრირებული ქართული მოსახლეობის უკან დაბრუნებისათვის ხელის შეწყობა;

— უმოკლეს დროში მაჩაბელთა სახლ-მუზეუმის ამოქმედება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან მჭიდრო კავშირში მაჩაბელთა გვართან დაკავშირებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების: ხეითის საბაწმინდის, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლის, აჩაბეთის წმინდა ესტატეს ეკლესიის, სვერისა და აჩაბეთის ციხეების, ცხინვალსა და ქურთაში მაჩაბელთა სახლებისა და თავდაცვითი ნაგებობების რესტავრაციაფიქსაცია; დიდი ლიახვის ხეობისა და მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული ისტორიული ძეგლების დაცვა. ქართველი ხალხის მატერიალური და ყოფითი კულტურის შესწავლა, ეთნოგრაფიული მასალების მოწესრიგება და ზემოხსენებულ ძეგლებში მაჩაბელთა გვარის და იქ მცხოვრები მოსახლეობის ისტორიის ამსახველი მუდმივი გამოფენის მოწყობა. ყველა იმ სიგელ-გუჯარის შესწავლა, რომლებიც მაჩაბელთა გვარს და მთლიანად ხეობას შეეხება. მათ საფუძველზე ლაპიდარულ წარწერებთან ერთად ცალკე კორპუსის გამოცემა, რომელიც საქართველოს ისტორიის შესწავლის მუდმივი წყარო გახდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების გამოვლენა, თავმოყრა და შესწავლა, რომლებიც ხეობის ფარგლებს გარეთ იქნა გატანილი და გაყიდული;

— ცხინვალში აკადემიკოს ქრისტეფორე არეშიძის ყოფილ სახლში ქართული მატერიალური და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მუზეუმის, აგრეთვე სწავლულის სახლ-მუზეუმის მოწყობა;

— სოფელ თამარაშენში ყოველწლიურად ივანე მაჩაბლისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმის „ვანობის“ ჩატარებაში ხელისშეწყობა, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და საშუალო სკოლებში ლექციების ციკლის ორგანიზაცია სამაჩაბლოსა და დვალეთზე, მის როლზე საქართველოს ისტორიაში.

საზოგადოების წევრები

4. საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს 16 წლის ასაკის საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა, ვინც აღიარებს საზოგადოების წესდებას, გადაიხდის საწევროს და ხელს შეუწყობს მის საქმიანობას.

საზოგადოების კოლექტიური წევრი შეიძლება იყოს საწარმო-დაწესებულებები, ორგანიზაციები.

5. საზოგადოების წევრები გაერთიანდებიან პირველად ორგანიზაციებში განცხადების საფუძველზე, კოლექტიურ წევრს კი მიიღებს საზოგადოება.

6. ი. მაჩაბლის საზოგადოების წევრი ვალდებულია იცავდეს წესდებას და მონაწილეობდეს მის განხორციელებაში. საზოგადოების წევრებმა ერთმანეთს უნდა მოსთხოვონ წესდების დაცვა, წინ აღუდგნენ მისი დარღვევის ყველა ცდას.

7. საზოგადოების არაქართველი წევრების ინტერესები, მათი ეროვნული ფასეულობები დაცული იქნება სრულად, თუ იგი შეესაბამება საზოგადოების იდეალებსა და ინტერესებს.

9. საზოგადოების წესდების მოთხოვნათა დარღვევისათვის (საზოგადოების სახელით მოქმედება ან სხვა ქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს) საზოგადოების წევრი შეიძლება გაირიცხოს საზოგადოების შემადგენლობიდან. გარიცხვის საკითხი შეიძლება განიხილოს საზოგადოების ნებისმიერმა ორგანომ.

საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

9. საზოგადოების უმაღლესი ორგანოა კრება, რომელიც მოიწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ. კრება ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც კრებებს შორის პერიოდში წარმოადგენს უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოს. პრეზიდიუმი თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და სარევიზიო კომისიას. პრეზიდიუმის სხდომები მიმდინარე საკითხებზე ჩატარდება საზოგადოების სამუშაო გეგმის შესაბამისად. პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია კრების წინაშე.

10. პრეზიდიუმი ირჩევს საზოგადოების მრჩევლებს, რომლებმაც ... მხარის ისტორია და თავის მუშაობაში გაითვალისწინებს მათ აზრს.

11. საზოგადოების პრეზიდიუმი შეიმუშავებს მოქმედების პროგრამას, ორგანიზაციას უკეთებს გადაწყვეტილებების შესრულებას, ხელმძღვანელობს ფონდების განაწილებას, პუბლიკაციების განხორციელებას, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები

12. პირველადი ორგანიზაციები სარგებლობენ საზოგადოების ყველა უფლებით და მოქმედებენ ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

13. პირველადი ორგანიზაციები გადაწყვეტილებებს იღებენ კრებაზე. ხოლო საბოლო განხილვისა და დამტკიცებისათვის შეაქვთ პრეზიდიუმის სხდომაზე.

14. კრება ჩატარდება ექვს თვეში ერთხელ. კრება ირჩევს პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარესა და მდივანს, ხოლო თუ მასში გაერთიანებულია 30 წევრზე მეტი — კომიტეტს.

19650

საზოგადოების სახსრები

15. საზოგადოება დადგენილი წესით აწყობს ტურისტულ გაცვლებს, საქველმოქმედო ღონისძიებებს, შაბათობებს შემოწირულობებისა და მატერიალური სახსრების მოზიდვისათვის. საზოგადოების წევრები იხდიან საწევრო გადასახადს წელიწადში ორ მანეთს, მოსწავლეები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან.

16. შემოწირულობები ხმარდება საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. საზოგადოების მომსახურე პერსონალის რაოდენობას, შტატებსა და ხელფასის ფონდს ადგენს საზოგადოების პრეზიდიუმი.

ი. მაჩაბლის საზოგადოების მოქმედების შეწყვეტა

17. ი. მაჩაბლის საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს ანგარიში სახელმწიფო ბანკში, საკუთარი ემბლემა, ბეჭედი და დროშა.

18. საზოგადოება წყვეტს საქმიანობას დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, რომელიც საამისოდ ქმნის სალიკვიდაციო კომისიას.

19. ი. მაჩაბლის საზოგადოების ადგილსამყოფელია სოფელი თამარაშენი, მაჩაბელთა სახლ-მუზეუმი.

საჯარო ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული „სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თხოვნა და „მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად რეგისტრირებულ იქნეს ამ საზოგადოებასთან არსებული სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 იანვარი, № 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 10 იანვრის № 12
დადგენილებით

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული სულიერი აღორძინების და ჰარმონიული განვითარების ასოციაციის წესდება

I. ზოგადი დებულებანი

1. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული სულიერი აღორძინების და ჰარმონიული განვითარების ასოციაცია (შემდგომში მოიხსენიება მხოლოდ „ასოციაცია“ წარმოადგენს თანამოაზრეთა ნებაყოფლობით ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. ასოციაცია არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, აქვს იურიდიული პირის უფლებები და შეუძლია ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, საზოგადოებასთან თუ ცალკეულ პირებთან.

3. ასოციაციას აქვს თავისი ემბლემა და სხვა შესაბამისი სიმბოლური ნიშნები.

II. ასოციაციის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ასოციაციის მიზნები და ამოცანებია:

1. ადამიანის სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

2. კოსმიურ პროცესებთან და ბუნების მოვლენებთან ადამიანის ცხოველმოქმედებისა და მისი შინაგანი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების კვლევა (მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის კავშირი).

3. საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ხალხთა მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურის შესწავლა.

4. ფართო საქველმოქმედო საქმიანობა, მიმართული ეროვნული პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად (დემოგრაფიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვ.).

5. ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოვლენა და მათთვის პროფესიულ სრულყოფაში ხელის შეწყობა საქართველოს შემოქმედებითი, კულტურული და მეცნიერული ფონდის განვითარებისათვის.

6. მსოფლიოს ეზოტერიკულ მოძღვრებათა მიერ დაგროვილი პოზიტიური ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელ და სხვა საქმიანობაში.

7. ადამიანის ფარული სულიერი შესაძლებლობების გამოვლენა, შესწავლა და განვითარება.

ამ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, კანონით დადგენილი წესით, ასოციაცია:

— ატარებს ლექციებს, სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს;

— აყალიბებს არატრადიციულ მეთოდებზე დაფუძნებულ გამაჯანსაღებელ ცენტრებს, ფსიქოლოგიური განტვირთვის კაბინეტებს, შემოქმედებით სტუდიებს, სასწავლო ქვედანაყოფებს და სხვა ჯგუფებს;

— საქველმოქმედო ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრებისათვის ატარებს აუქციონებს, კონცერტებსა და სხვა ღონისძიებებს;

— ქმნის თავის ბეჭდვით ორგანოს და ეწევა სპეციალურ საგამომცემლო საქმიანობას;

— თანამშრომლობს მსგავსი პრობლემებით დაინტერესებულ საზოგადოებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორც კავშირის მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ;

— საჭიროებისდა მიხედვით აყალიბებს კოოპერატიულ და სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მოქმედ საწარმოებს;

— ეწევა სხვა საქმიანობასაც, რომელიც არ ეწინააღმდეგება წესდებით განსაზღვრულ მიმართულებებს.

III. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოები

1. ასოციაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელიც მოიწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ.

კონფერენცია ღია კენჭისყრით ირჩევს თავის წევრებისაგან ასოციაციის გამგეობას ათი წევრის შემადგენლობით და სარევიზიო კომისიას სამი წევრის შემადგენლობით 5 წლის ვადით.

გამგეობა წარმართავს კონფერენციებს შორის ასოციაციის ძირითად საქმიანობას.

კონფერენცია ირჩევს ასოციაციის საპატიო წევრებს, რომლებიც შეადგენენ საკონსულტაციო საბჭოს.

2. ასოციაციის კონფერენცია:

— ისმენს ასოციაციის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

— ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებანი;

— წყვეტს ასოციაციის მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

3. ასოციაციის გამგეობა:

— კონფერენციათაშორის პერიოდში ახორციელებს ხელმძღვანელობას და განიხილავს ასოციაციის უმნიშვნელოვანეს პერსპექტიულ საკითხებს, მათ შორის პროგრამებს, გეგმებსა და ანგარიშებს;

— ღია კენჭისყრით ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს 5 წლის ვადით.

— ატარებს სხდომებს საჭიროებისდა მიხედვით, წელიწადში არანაკლებ ერთისა;

—სხდომები უფლებამოსილია, თუ ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. დადგენილებები მიიღება ხმის უმრავლესობით.

4. ასოციაციის პრეზიდენტი:

— ქმნის თავის სამუშაო ჯგუფს ასოციაციის წევრებისაგან;

— წყვეტს მიმდინარე საკითხებს;

— წარმოადგენს ასოციაციას სხვა ორგანოების, დაწესებულებების და საზოგადოებების წინაშე;

— წარმართავს ასოციაციის ფინანსურ საქმიანობას;

— დებს ხელშეკრულებებს სხვა ორგანიზაციებთან.

IV. ასოციაციის სარევიზიო კომისია

1. ასოციაციის სარევიზიო კომისია კონტროლს უწევს გამგეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას.

2. სარევიზიო კომისიის წევრები ესწრებიან ასოციაციის გამგეობის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

V. ასოციაციის წევრობა

1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ყოველი სრულწლოვანი ადამიანი, რომელიც იზიარებს და ასრულებს ასოციაციის წესდებას.

2. გაწევრიანება ხდება ინდივიდუალური წესით განცხადების საფუძველზე.

3. ასოციაციის წევრს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს ასოციაციის ყველა მმართველ ორგანოში.

4. ასოციაციის გამგეობას უფლება აქვს ასოციაციის წევრობიდან გარიცხოს პირი, რომლის მოქმედებაც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებსა და ინტერესებს, ლახავს მის ღირსებას და სახელს.

VI. ასოციაციის ეკონომიკური ფონდი

1. ასოციაციის ეკონომიკურ საფუძველს ძირითადად წარმოადგენს შემდეგი ფინანსური შენატანები:

— ასოციაციასთან არსებული სხვადასხვა შესაძლო ეკონომიკურ ქვეგანაყოფთა მოღვაწეობიდან;

— ასოციაციის მიერ მომზადებული და პოლიგრაფიულ საწარმოებში შეკვეთის წესით გამოცემული ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებით მიღებული შემოსავლიდან;

— გამაჯანსაღებელი ცენტრების მოღვაწეობიდან;

— ქონების, ხელოვნების ნაწარმოებთა და ფულადი სახსრების ჩუქებიდან ან ანდერძით დატოვებიდან;

— საწევრო გადასახადები და შემოსავალი ასოციაციის სხვა ღონისძიებებისაგან.

2. ფულად შენატანებს ბანკის დაწესებულებები იღებენ ნაღდი ფულით, საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილებით ან მათი გადარიცხვით ასოციაციის სპეციალურ ანგარიშზე.

VII. ასოციაციის უფლებრივი მდგომარეობა

1. ასოციაცია და მასთან არსებული ყველა სხვა ორგანიზაცია მთლიანობაში წარმოადგენს ერთ იურიდიულ პირს შესაბამისი უფლებებით გამოდიოდეს თავის სახელით, ჰქონდეს ბეჭედი და შტამპი, საკუთარი ანგარიში ბანკში, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

ასოციაციის ბეჭდისა და შტამპის ნიმუშებს, აგრეთვე მის ემბლემას და სხვა სიმბოლურ ნიშნებს ადგენს გამგეობა.

2. ასოციაციას თავის მუშაობის უზრუნველსაყოფად:

— შეუძლია საკუთრებაში იქონიოს ან იჯარით აიღოს შენობები; ნაგებობები, აღჭურვილობა და სხვა ქონება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— შეუძლია დადგენილი წესით აწარმოოს მშენებლობა; მოახდინოს თავისთან არსებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

3. ასოციაციის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ მისი კონფერენციის გადაწყვეტილებით.

4. ასოციაცია უფლებამოსილია, იურიდიულად დამოუკიდებელი პირის უფლებების შენარჩუნებით, იყოს რომელიმე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის კოლექტიური წევრი ან გამოვიდეს მისი შემადგენლობიდან.

5. ასოციაცია იცავს თავის წევრებს ყოველგვარი უკანონო დევნისა და შევიწროებისაგან მათი რწმენისა და მოღვაწეობის გამო.

6. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

9 სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიფიკაციის საუკეთესო ნამუშევართა რესპუბლიკური კონკურსის დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიფიკაციის საუკეთესო ნამუშევართა რესპუბლიკური კონკურსის თანდართული დებულება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უზრუნველყოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიფიკაციის საუკეთესო ნამუშევართა რესპუბლიკური კონკურსების ჩატარება.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიფიკაციის საუკეთესო ნამუშევართა რესპუბლიკური კონკურსების ჩატარების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის № 246 დადგენილების მეორე პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 იანვარი, № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 13 იანვრის № 13 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიფიკაციის საუკეთესო ნამუშევართა რესპუბლიკური კონკურსისა

I. კონკურსის მიზანი

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიფიკაციის საუკეთესო ნამუშევართა რესპუბლიკური კონკურსის მიზანია:

— გამოავლინოს ეკონომიკურად ყველაზე ეფექტიანი საინჟინრო, აგროტექნიკური და საერთო-ორგანიზაციული სიახლეები, რომლებიც პირველადაა დანერგილი ერთ ან რამდენიმე საწარმოში ან მეურნეობაში და მნიშვნელოვნად ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას (მათ შორის მცირე და კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გამოყენებით), ამცირებს ძირითადი და დამხმარე მასალის, ნედლეულის, ენერგეტიკული რესურსის ხარჯვას, ზრდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთ ჰექტარ ფართობზე მოყვანილი პროდუქციის რაოდენობას, ხელს უწყობს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტიულობის ზრდას;

— ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სიახლეების დანერგვის გაფართოება და მათი მატერიალური და მორალური წახალისება, აგრეთვე მეცნიერი მუშაკების, ინჟინრების, აგრონომების, სხვა პროფესიის სპეციალისტების, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორთა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა სტიმულირება მაღალეფექტიანი სიახლეების შექმნისა და დანერგვისათვის;

— შექმნას ხელშემწყობი პირობები რესპუბლიკაში მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საერთო მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდისათვის, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

II. კონკურსის პირობები

კონკურსი ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი თემატიკის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საკონკურსო თემების შერჩევა ხდება სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც დღეისათვის აუცილებელია საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების

ზრდა, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მეცნიერების მოწინავე მიღწევათა გამოვლენისა და მათი ფართო დანერგვის საფუძველზე.

კონკურსის ჩასატარებლად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ცნობა საკონკურსო თემატიკისა და კონკურსის ჩატარების თარიღის შესახებ ქვეყნდება პრესაში და ცხადდება რადიოთი და ტელევიზიით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შემოქმედებით კოლექტივებს, აგრეთვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სპეციალისტებსა და ნოვატორებს, ცალკეულ მეცნიერ მუშაკებს.

თითოეულ ავტორს ან ავტორთა ჯგუფს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსით გამოცხადებული თემატიკიდან მხოლოდ ერთი თემის დამუშავებაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მასალები:

1. დანერგილი სიახლის აღწერილობა, სადაც აღინიშნება დანერგვის ობიექტი, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დანერგვამდე და მის შემდეგ.

2. ცნობა ფაქტობრივად მიღწეული ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ (დამოწმებული საწარმოს ან მეურნეობის დირექციის (გამგეობის), სამინისტროს ან უწყების მიერ დაქვემდებარების მიხედვით).

3. საპროექტო მასალები, რომელთა საფუძველზე განხორციელდა დანერგვა.

4. წინადადების ავტორის ან ავტორთა სახელი, მამის სახელი, გვარი.

5. ცნობა კოლექტიური ნამუშევრის თითოეული თანაავტორის შემოქმედებითი მონაწილეობის შესახებ, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს ნამუშევრის ყველა მონაწილე, ამასთან დამოწმებული იყოს საწარმოს ან მეურნეობის დირექციის (გამგეობის), სამინისტროს ან უწყების მიერ დაქვემდებარების მიხედვით.

6. ყველა მასალა (ნამუშევრები — მაგარ ყდაში, დანარჩენი მასალა — სწრაფჩამკერ საქაღალდეში) კონკურსზე იგზავნება ორ ეგზემპლარად შემდეგი მისამართით: 380018, ქ. თბილისი, მთავრობის სახლი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი. ტელეფონი: 99-57-82; 99-55-34.

კონკურსის შედეგებს აჯამებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ შექმნილი სპეციალური ჟიური, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კონკურსის მონაწილენი არ ირიცხებიან საორგანიზაციო კომიტეტისა და ჟიურის შემადგენლობაში და არ ღებულობენ მონაწილეობას მათს მუშაობაში.

III. პრემიები და მათი გაცემის წესი

კონკურსზე წარდგენილ საუკეთესო თემებზე დაწესებულია შემდეგი პრემიები:

— პირველი ხარისხის დიპლომი და პრემია 1200 მანეთი;
— მეორე ხარისხის დიპლომი და პრემია 500 მანეთი;
— მესამე ხარისხის დიპლომი და პრემია 300 მანეთი;
— წამახალისებელი სიგელები.

გამარჯვებულ ავტორთა ჯგუფისათვის პრემიის მინიჭება ხდება შემდეგი წესის მიხედვით: იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორი ორი კაცია, პრემია იყოფა სანახევროდ; თუ ავტორთა ჯგუფი სამი კაცისაგან შედგება, ხელმძღვანელს ეძლევა პრემიის ნახევარი, ხოლო დარჩენილი ნაწილი თანაბრად იყოფა დანარჩენ წევრებს შორის; როდესაც ავტორთა ჯგუფი შედგება ოთხი ან მეტი წევრისაგან, პრემიის მესამედი ეძლევა ხელმძღვანელს, დანარჩენი კი თანაბრად ნაწილდება ჯგუფის წევრებს შორის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ავტორთა ჯგუფი არ წარმოადგენს ხელმძღვანელს, პრემია **თანაბრად ნაწილდება** ყველა **წევრს შორის.**

კონკურსზე წარდგენილი ყველა წინადადების განხილვის **შემდეგ** ჟიურის ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება **საუკეთესო** ნამუშევრების დაჯილდოების შესახებ. ჟიურის მუშაობის ვადაა ერთი თვე. მის გადაწყვეტილებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ჯილდოების გაცემა მიმდინარეობს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით კონკურსის დამთავრების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში.

არაპრემირებული მასალა მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება ავტორს.

IV. პრემირებული ღონისძიებების ფართო დანერგვა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ორგანიზაციას უწევს პრემირებული ნამუშევრების სახალხო მეურნეობის დარგებში დანერგვას.

პასუხისმგებლობა პრემირებულ ღონისძიებათა დანერგვის თაობაზე ეკისრება სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ახორციელებენ პრემირებული წინადადებების ეკონომიკური ეფექტიანობის სისტემატურ კონტროლს და გზავნიან ნახევარი წლისა და მთლიანად წლის შედეგების მიხედვით გაანალიზებულ მასალებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში განსაზოგადებლად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მოსახსენებლად.

კონკურსის მასალები, პრემირებული წინადადებები და ღონისძიებები სახალხო მეურნეობის დარგებში მათი დანერგვის მიმდინარეობა სისტემატურად შუქდება რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის მიერ.

პრემირებული წინადადებების და მასალების ექსპონირება ხდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და შესაძლებელია აგრეთვე მათი წარდგენა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ექსპონირებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 იანვარი, № 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 13 იანვრის № 16
დადგენილებით

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის წესდება

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია თვითმმართველობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობას წარმართავს საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. ასოციაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს პრესის დემოკრატიზაციას, რესპუბლიკაში პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებას, რეალურ საქმედ აქციოს ერის ზნეკეთილი თვისებების აღდგენა, განავითაროს ეროვნული თვითშეგნება და იბრძოლოს ეროვნული ღირსების დასაცავად, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს უსამართლობას.

ასოციაციის უწმინდესი ვალია საქმით და კალმით იბრძოლოს დეზინფორმაციის წინააღმდეგ, რესპუბლიკის სუვერენიტეტის გასაფართოებლად, ფეხდაფეხ მიჰყვეს ცხოვრებას.

3. თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად ასოციაცია იყენებს ჟურნალისტური საქმიანობის საყოველთაოდ მიღებულ ფორმებს, ქმნის ფონდებს, აყალიბებს სადროშოებს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში.

ქმნის ჟურნალისტთა ასოციაციის დამოუკიდებელ გაზეთსა და საინფორმაციო ბიულეტენს, რომელთა მისიაა იქცნენ თავისი ეპოქის მედროშედ და მემატიანედ.

II. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის წევრები

4. ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია იქმნება ახალგაზრდა ჟურნალისტთა რესპუბლიკური კლუბის „ივერიის“ ბაზაზე, რომელიც ჩამოყალიბდა და მოქმედებს 1973 წლიდან. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს:

ა) ყველა ჟურნალისტი, ვინც აღიარებს ასოციაციის წესდებას და დადებს ფიცს;

ბ) სსრ კავშირისა და უცხოეთის ყველა მოქალაქე, საწარმო, სასწავლო ან სამეცნიერო ორგანიზაცია, საზოგადოებრივი ორგანო.

5. ასოციაციის წევრებს, როგორც წესი, ღებულობს პირველადი ორგანიზაცია, რომელიც იქმნება რეგიონალური სადროშოს სახით.

6. საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა ასოციაციის წევრის უფლება-მოვალეობანი:

ა) საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი ვალდებულია იბრძოლოს ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ და ღირსეულად ემსახუროს ჭეშმარიტ მამულიშვილურ საქმეს;

ბ) მიიღოს ინფორმაცია (ინტერვიუ) სხვადასხვა ორგანოსა და ორგანიზაციისაგან, საჭიროების შემთხვევაში მოპოვებული მასალის საფუძველზე დააყენოს საკითხი და წარუდგინოს შესაბამისი წინადადება და პროექტი ასოციაციას;

გ) იცავდეს წესდებას, ჟურნალისტური ეთიკისა და მორალის ნორმებს, ასევე მოითხოვოს წესდების დაცვა ასოციაციის სხვა წევრებისა და მმართველობის ორგანოებისაგან;

დ) გამოუცხადოს უნდობლობა ასოციაციის სახელის გამტეხ წევრს და მოსთხოვოს მისი საკითხის განხილვა ასოციაციის დარბაზს, საკრებულოს.

III. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის სტრუქტურა

7. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია აგებულია დემოკრატიულ პრინციპებზე. მისი პირველი ყრილობა ან კონფერენცია დამფუძნებელია. დამფუძნებელი ყრილობა (კონფერენცია) იღებს და ამტკიცებს საპროგრამო დოკუმენტებს, ირჩევს პრეზიდენტს, აგრეთვე საკრებულოს 5 წლის ვადით, ღია კენჭისყრით. პრეზიდენტი ნიშნავს დარბაზის წევრებს, რომლებიც პრეზიდენტის მმართველობის აპარატის დარბაზს შეადგენენ.

საკრებულოს წევრის არჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი ჟურნალისტური საქმიანობა. ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადაზე ადრე გაიწვიონ საკრებულოს წევრი.

8. საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წარმომადგენელთა ორ მესამედზე მეტი. სხდომები იმართება თვეში ერთხელ. ასოციაციის პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

9. ასოციაციის პრეზიდენტად ერთი პიროვნების ზედიზედ არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ (ხუთ-ხუთი წლის ვადით).

IV. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის საკრებულო

ა) განიხილავს ასოციაციის პროგრამას და წესდებას;

ბ) ირჩევს პრეზიდენტს ღია კენჭისყრით, 5 წლის ვადით;

გ) ისმენს პრეზიდენტის ანგარიშს და შეფასებას აძლევს მის მუშაობას;

დ) განიხილავს და ამტკიცებს ასოციაციის ხელფასის ფონდებსა და ხარჯთაღრიცხვას;

ე) ამტკიცებს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი დარბაზის ხუთ წევრს, ასოციაციის ბეჭდვითი ორგანოს რედკოლეგიას.

V. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის რეგიონალური სადროშოები

დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაციის რეგიონალური სადროშოები იქმნება საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიული დაყოფის მიხედვით: აფხაზეთში, აჭარაში, გურიაში, თუშეთში, იმერეთში, კახეთში,

ლეჩხუმში, მესხეთში, რაჭაში, სამეგრელოში, სვანეთში, ფშავში, ქართლში, ხევსურეთში, ხევში, ჯავახეთში და რესპუბლიკის გარეთ არსებულ ქართულ დასახლებებში.

რეგიონალურ სადროშოს საფუძვლად უდევს რესპუბლიკური ასოციაციის სტრუქტურა, სადაც განმკარგულებელი ორგანოს მოვალეობას ასრულებს რეგიონის სადროშოს საკრებულო.

VI. ასოციაციის საწარმოები და სახსრები

9. ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია ეწევა ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას მოქალაქეებისა და ორგანიზაციების ფულად შემოწირულობათა გზით მატერიალური სახსრების შესაქმნელად. დადგენილი წესით ქმნის სააქციო საზოგადოებებს, მათ შორის უცხოური ფირმების მონაწილეობით, აწყობს შემოქმედებითს ექსპედიციებს, ტურისტულ გაცვლებს საზღვარგარეთთან, საქველმოქმედო საღამოებსა და შაბათობებს.

10. ასოციაციაში წევრად მიღებისას დაწესებულია გადასახადი 5 მანეთი, ყოველწლიური საწევრო გადასახადი 10 მანეთია. ასოციაციის წევრი იხდის სხვადასხვა ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებული მასალებიდან თუ ნაშრომებიდან მიღებული ჰონორარის 1 პროცენტს.

11. საწევრო ანარიცხების, საგამომცემლო საქმიანობისა და სხვადასხვა შემოსავლის მთელი თანხა ჩაირიცხება არსებული წესის დაცვით ასოციაციის ანგარიშზე, რეგიონალური სადროშო პრეზიდენტის ანგარიშზე რიცხავს ოცი ისი შემოსავლის 50 პროცენტს, დანარჩენი ხმარდება რეგიონალური სადროშოს საქმიანობას.

12. ასოციაციის წლიურ ხარჯთაღრიცხვას და ხელფასის ფონდებს ამტკიცებს დარბაზი და საკრებულო. პრეზიდენტს (საჭიროების შემთხვევაში) შეუძლია შეიტანოს ცვლილებანი რეგიონისა და სადროშოს ხარჯთაღრიცხვაში, რაც შემდეგ უნდა დამტკიცოს დარბაზმა და საკრებულომ. დარბაზი უფლებამოსილია რეგიონალური სადროშოს ჭარბი თანხა გადაანაწილოს ამავე სადროშოების თანხმობით.

VII. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის უფლებრივი მდგომარეობა

13. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია იურიდიული პირია. აქვს საკუთარი ანგარიში საწევრო ანარიცხებისა და სხვა შემოსავლის, აგრეთვე უცხოური ვალუტის ჩასარიცხად. აქვს შტამპი, მრგვალი ბეჭედი, ემბლემა, ჰიმნი და ფიცის ტექსტი.

14. იურიდიული პირის უფლებები აქვთ აგრეთვე ასოციაციის რეგიონალურ სადროშოებს, აქვთ საკუთარი ანგარიში ბანკში, შტამპი და მრგვალი ბეჭედი.

15. დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაციის ორგანო, გაზეთი და საინფორმაციო ბიულეტენი საჭიროების შემთხვევაში გამოიცემა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

16. დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია უქმდება დარბაზისა და საზოგადოების საკრებულოს გადაწყვეტილებით. ასოციაციის ქონებას პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ანაწილებს დარბაზისა და საკრებულოს მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

17. ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის რესპუბლიკური ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის „მამულის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ახალგზარდობის ფონდის „მამულის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 იანვარი, № 27

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 23 იანვრის № 27
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის „მამულის“ შესახებ

I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის „მამული“-ს დამფუძნებლები არიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდის საქართველოს განყოფილება და სსრ კავშირის მშვიდობის ფონდის საქართველოს განყოფილება.

2. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული“ ახორციელებს თავის საქმიანობას თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპზე, არის დამოუკიდებელ ბალანსზე, დასრულებული საბუღალტრო ანგარიშით, აქვს მრგვალი ბეჭედი და კუთხოვანი შტამპი თავის სახელწოდებით, მიმდინარე ანგარიში საქბინსოცბანკში და წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, აღნიშნული წესდებით.

3. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული“ მოქმედებს საქართველოს სსრ მთელს ტერიტორიაზე, როგორც ფართო საზოგადოებრიობის ერთიანი ორგანო.

4. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის „მამული“-ს საქმიანობაში ნებაყოფლობით საწყისებზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებს, სასწავლო დაწესებულებებს, კოოპერატივებს, საქართველოს სსრ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფონდის ამოცანათა რეალიზაციაში. ფონდი ეყრდნობა ფართო საზოგადოებრივ აქტივს.

5. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული“ თავის მოღვაწეობას ახორციელებს სამინისტროებთან, უწყებებთან, მმართველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირით, რომელთა საქმიანობაზეც დამოკიდებულია რესპუბლიკის ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა.

6. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის „მამულის“ საქმიანობიდან დარჩენილი მოგების თანხა ძირითადად მოხმარდება საქველმოქმედო ღონისძიებებს (ახალგაზრდა მრავალშვილიანი ქართველი ოჯახების დახმარებას, საქართველოს მაღალმთიან რაიონებში ტელეგადაცემების ხარისხის გაუმჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესებას, სოფლის კულტურის სახლების მშენებლობას და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, ახალდაქორწინებული ოჯახებისათვის დასასვენებელი ობიექტების მშენებლობას და ა. შ.).

7. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული", მისი ის განყოფილებები, საწარმოები, რომელთა საქმიანობა საქველმოქმედო ხასიათს ატარებს თავისუფლდებიან სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან.

II. მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია

1. საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული" (შემდგომ, საფ „მამული" თავის საქმიანობას წარმართავს ახალგაზრდობის ეროვნული, პროფესიული, ასაკობრივი, პარტიული, რელიგიური და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, მისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოთხოვნილებების შესაბამისად.

2. საფ „მამულს" უფლება აქვს წარმართოს მოქალაქეობრივ-სამართლებრივი და ეკონომიკურ-საქმიანი ურთიერთობები ნებისმიერ სახელმწიფო, კოოპერაციულ თუ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის სახელმწიფო და კერძო ფირმებთან, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებთან.

3. საფ „მამული" ახორციელებს ახალგაზრდობის პრობლემების სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სხვა სახის სამეცნიერო კვლევებს. ამ მიზნით ქმნის სათანადო დროებით ან მუდმივ მოქმედ სამეცნიერო-შემოქმედებით გაერთიანებებს. გამოკვლევის შედეგების მიხედვით იღებს საჭირო ზომებს არსებული პრობლემების გადასაწყვეტად.

4. საფ „მამულის" ბაზაზე იარსებებს სპეციალურად შექმნილი სამეცნიერო ლაბორატორია ქართული ოჯახის კვლევის გრძელვადიანი პროგრამით, რომელიც ითანამშრომლებს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის ქვეყნების დაინტერესებულ სამეცნიერო ცენტრებსა და დაწესებულებებთან.

5. საფ „მამულის" ეგიდით რეგულარულად გამოიცემა: ბროშურები, ბუკლეტები, წიგნები და მიზნობრივი პერიოდიკა ახალგაზრდობისათვის აქტუალური პრობლემების გათვალისწინებით. ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა შრომების გამოცემისა დ პოპულარიზაციისათვის ხელის შეწყობის, ქართული ოჯახის, მისი ტრადიციების პროპაგანდის მიზნით ჩატარდება თემატური ლექცია-სემინარები, გამოიცემა აგრეთვე ლიტერატურა, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის განათლებასა და სოციალიზაციას.

6. საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის საქართველოს განყოფილების და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ხელშეწყობით ფუნქციონირებას დაიწყებს ორსულ ქალთა და ახალგაზრდა ოჯახების ფსიქოლოგიური, სექსოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი, შეიქმნება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფსიქო-თერაპიული ლაბორატორიები.

7. საფ „მამული“, როგორც დამოუკიდებლად, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებთან, კოოპერატივებსა და დაინტერესებულ უცხოურ ფირმებთან ერთად ქმნის: ახალგაზრდობისათვის სპეციალურ კომერციულ და საკომისიო სავაჭრო ცენტრებს, სპორტულ გამაჯანსაღებელ კომპლექსებს, შემოქმედებით საწარმოო ცენტრებსა და სახელოსნოებს.

ახალგაზრდობის მიერ თავისუფალი დროის უკეთ გამოყენების მიზნით ქმნის ახალგაზრდულ საოჯახო და სტუდენტურ კაფე-ბარებს, ქალაქგარეთ დასვენების ობიექტებს, კინო და ვიდეო ცენტრებს, ხელს უწყობს საკაბელო და კოსმოსური ტელევიზიის დანერგვას. აწყობს კინოფესტივალებს და კინოშემეცნებით საღამოებს, სპორტულ შეჯიბრებებს, ტურნირებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებს.

8. საფ „მამული“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის შრომით მოწყობას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ახალგაზრდულ კოოპერაციულ მშენებლობას, ახალგაზრდა ოჯახების სულიერ და მატერიალურ დახმარებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების გამოვლენას, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნებში მათ დაოსტატებას. აგრეთვე მორალური და მატერიალური მზრუნველობა გაუწიოს პატიმრობაში მყოფ მოზარდებსა და ახალგაზრდებს, დაიცვას რესპუბლიკიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდების ინტერესები, განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ინვალიდთა სოციალურ-ეკონომიკური ყოფის გაუმჯობესებისათვის.

9. რესპუბლიკისა და უცხოეთის ახალგაზრდობის შემდგომი კონტაქტების გაფართოების მიზნით, ფონდი ქმნის სპეციალურ გაერთიანებას, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოელ და რესპუბლიკის ახალგაზრდათა უვალუტო გაცვლას, აგრეთვე ახალგაზრდული ტურიზმის განვითარებას.

III. საფ „მამულის“ სახსრები

1. საფ „მამული“ მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის, აუცილებელი სახსრების მოზიდვას ახორციელებს დადგენილი წესის მიხედვით, როგორიც არის:

— ფულისა და ნივთების ლატარეა, აუქციონები, ხელოვნების ოსტატთა კონცერტები, კინო და ვიდეო პროდუქციის დემონსტრაცია, ფონდის გამოცემათა გავრცელება, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა, სპეციალური ახალგაზრდული კომერციული სავაჭრო ცენტრების საქმიანობა, აგრეთვე სამრეწველო წარმოებისა და კოოპერატივების მოგებათა დანარიცხები, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საგნებსა და სხვა პროდუქციას ფონდის ემბლემით.

2. საფ „მამული“:

— ორგანიზაციას უწევს და ატარებს სარეკლამო კომპანიებს.

— არსებული წესის ფარგლებში ახორციელებს საგარეო ეკონომიკურ კავშირებს;

— ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობით ხელს უწყობს საბჭოთა და უცხოელი მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ნებაყოფლობითი შენატანის მოზიდვას როგორც ფულადი, ასევე ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთა, მატერიალურ ფასეულობათა, უძრავი ქონებისა და სხვა სახით. ნებაყოფლობითი შენატანის სახით ფონდში შეიძლება მიღებულ იქნეს სსრ კავშირში პირად საკუთრებაში ან საზღვარგარეთის ქვეყნებში კერძო საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონება.

3. ფონდის განკარგულებაშია აგრეთვე მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ გადაცემული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, დოკუმენტები და კულტურის ძეგლები, ბიბლიოთეკები, კოლექციები, უძრავი ქონება და სხვა არაფინანსური ხასიათის შეწირულობები.

4. საფ „მამულის“ სახსრები იხარჯება მხოლოდ მისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად იმ ხარჯთაღრიცხვით, რომელსაც ამტკიცებს ფონდის გამგეობა.

ყველა შეწირულებანი, აგრეთვე ფონდისათვის აღმოჩენილი საორგანიზაციო დახმარება რეგისტრირდება გამგეობაში ან ფონდის ადგილობრივ სამუშაო ორგანოებში, ხოლო მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებმაც ფონდში უდიდესი ანგარიში შეიტანეს ან აღმოუჩინეს მას სხვა სახის მნიშვნელოვანი დახმარება, ქვეყნდება ფონდის გამოცემებში, რესპუბლიკური და ადგილობრივი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში.

ადგილობრივი განყოფილებების მატერიალური და ფულადი სახსრების წარმოების წესი და მათი ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობა განისაზღვრება ფონდის გამგეობის მიერ.

IV. საფ „მამულის“ სტრუქტურა

1. საფ „მამულის“ და მისი რეგიონალური რგოლების უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს კონფერენცია, რომელსაც იწვევენ არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ. მომავალი კონფერენციების ჩატარების ვადებს, აგრეთვე წარმომადგენლობის ნორმებსა და დელეგატების არჩევის წესს ადგენს საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის გამგეობა.

2. კონფერენცია მოისმენს, განიხილავს და ამტკიცებს გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს; განსაზღვრავს მისი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს და ძირითად მიმართულებებს.

3. საფ „მამულის“ გამგეობას ირჩევენ 5 წლის ვადით, კონფერენციის მიერ დადგენილი რაოდენობით.

4. საფ „მამულის“ გამგეობა:

— ორგანიზაციულად უზრუნველყოფს და აკონტროლებს კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ხელმძღვანელობს ფონდის საწარმოებს, კოოპერატივებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

— მართავს ფონდის ფინანსურ და მატერიალურ სახსრებს;

— განიხილავს და ამტკიცებს ფონდის შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვებს;

— წარმოადგენს ფონდს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან, აგრეთვე საზღვარგარეთის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოელ მოქალაქეებთან ურთიერთობისას;

— თავის პროგნოზებსა და ძირითად ღონისძიებებს უთანხმებს დამფუძნებელ ორგანიზაციებს, დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

— იღებს გადაწყვეტილებებს ფონდის საწარმოების, კოოპერატივების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ;

— ამტკიცებს ფონდის მუშა აპარატის სტრუქტურას და შტატებს.

— წარმართავს და კონტროლს უწევს ფონდის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას, ისმენს და ამტკიცებს ანგარიშებს მათი მუშაობის შესახებ;

— ირჩევს უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დელეგატობის კანდიდატებს;

— ამტკიცებს შესაბამის დებულებებსა და ინსტრუქციებს.

5. ფონდის გამგეობა უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს გამგეობის წევრთა კოოპტირება და დათხოვნა.

6. აღმასრულებელ, განმკარგულებელ ორგანოს, რომელიც გამგეობის სხდომებს შორის ახორციელებს ფონდის საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას, წარმოადგენს გამგეობის მუშა აპარატი, რომელსაც სათავეში უდგას დირექტორ-განმკარგულებელი.

7. საფ „მამულის“ გამგეობის თავმჯდომარე და დირექტორ-განმკარგულებელი გამგეობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და მისი სახელით საქსახბანკში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში ხსნიან ანგარიშებს, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში ხურავენ მათ საქართველოს სსრ კანონმდებლობის და აღნიშნული წესდების შესაბამისად, განაგებენ ფონდის ქონებას, ახორციელებენ ყოველგვარ გარიგებებს და სხვა იურიდიულ აქტებს, აკონტროლებენ გამგეობის აპარატის მუშაობას, სარგებლობენ მუშაკებისა და მომსახურების მიღებისა და დათხოვნის უფლებით, მთავარ ბუღალტერთან ერთად ხელს აწერენ საფინანსო დოკუმენტებს, გასცემენ მინდობილობებს.

V. საფ „მამულის“ უფლებრივი მდგომარეობა

1. სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმოები და ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელნი საფ „მამულის“ და მისი ადგილობრივი ორგანოების ვალდებულებებისათვის.

საფ „მამული“ და მისი ადგილობრივი ორგანოები არ არიან პასუხისმგებელნი სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ვალებულებებისათვის.

2. საფ „მამულის“ გამგეობის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 საქართველოს უცხოეთთან წარსულ და თანამედროვე ურთიერთობათა საზოგადოებრივი ცენტრის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს უცხოეთთან წარსულ და თანამედროვე ურთიერთობათა საზოგადოებრივი ცენტრის წარმოდგენილი წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 იანვარი, № 28

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 23 იანვრის № 28
დადგენილებით

წესდება

საქართველოს უცხოეთთან წარსულ და თანამედროვე ურთიერთობათა საზოგადოებრივი ცენტრის შესახებ

1. ზოგადი დებულება

1. საქართველოს უცხოეთთან წარსულ და თანამედროვე ურთიერთობათა საზოგადოებრივი ცენტრი (შემდგომ ტექსტში — „ცენტრი") წარმოადგენს დამოუკიდებელ, თვითმმართველობისა და თვითანაზღაურების საფუძველზე დაარსებულ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებს, ორგანიზაციებს საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობათა კვლევის, პროპაგანდისა და ხელშეწყობის მიზნით.

2. ცენტრის ამოცანებია:

— ქართული კულტურის ყველა უცხოელი მოამაგის ნამოღვაწარის წარმოჩენა უძველესი ისტორიით დაწყებული ვიდრე დღევანდელობამდე. ამ მიზნით „საქართველოს ეროვნული მადლიერების ინსტიტუტის (სამუზეუმო ექსპოზიციით)" დაარსება;

— საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის ისტორიულ ურთიერთობათა კვლევა;

— იტალიური კულტურის ცენტრის დაარსება (ყოფილ იტალიის საკონსულოს შენობაში), იტალიელთა მიერ საჩუქრად გადმოცემული იტალიური ბაღის მოვლა-პატრონობა;

— უცხოეთის ქვეყნებში ქართული კულტურის ცენტრების დაარსება;

— საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეთა შორის მეგობრული კონტაქტების დამყარებაში ხელის შეწყობა, ასეთი კონტაქტების ყოველმხრივი განვითარება;

— საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის ხელოვნების, მეცნიერების, განათლების, სპორტის, კომერციისა და სხვა სფეროებში მრავალმხრივი გაცვლებისა და შეხვედრების გააქტიურება; სხვადასხვა ქვეყნებთან საზოგადოებრივი, სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციების, კავშირების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო ცენტრებისა და საწარმოო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონტაქტების დამყარებაში ხელის შეწყობა;

— უცხოეთის ქვეყნების, მათი კულტურის, ხელოვნების პროპაგანდა საქართველოში. ამ მიზნით გამოფენების, გამოფენა-გაყიდვებისა და სხვა ღონისძიებათა ჩატარება;

— უცხოეთის ქვეყნებთან ერთობლივი კინოფილმების გადაღების ორგანიზაცია;

— უცხოელ მოქალაქეთათვის საქართველოსადმი, მისი აწმყოსა და წარსულისადმი ინტერესის გაღვივება. ამ მიზნით ჩამოსულ სტუმრებთან საუბრების ჩატარება საქართველოს, მისი ისტორიისა და კულტურის საკითხებზე;

— უცხოელთა კვალიფიციური თარჯიმნებითა და გიდებით უზრუნველყოფა, ასეთი გიდების მომზადება;

— უცხოური ენების შემსწავლელი კურსების მოწყობა;

— სარეკლამო საქმიანობა;

— დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალის, ლიტერატურის მიწოდება, წარმოება-დაწესებულებებში შეხვედრების, თემატური საღამოების მოწყობა;

— სპეციალური სიმბოლიკით სუვენირების, ფართო მოხმარებისა და სხვა პროდუქციის დამზადება და რეალიზაცია;

— მთარგმნელობითი მუშაობა;

— ჩამოსულ უცხოელ სტუმართათვის ყველა პირობის შექმნა საქართველოს უკეთ გაცნობისათვის — ამ მიზნით მათთვის კონსულტაციების მიცემა, რეალური დახმარების აღმოჩენა;

— ტურისტული მარშრუტების ორგანიზაცია, დასვენების კეთილმოწყობილი ზონების შექმნა.

3. ცენტრის წევრობა, წევრის უფლება-მოვალეობანი

— ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს სსრკ და საზღვარგარეთის ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც მხარს უჭერს ცენტრის მიზნებსა და ამოცანებს და იხდის საწევრო გადასახადს;

— საპატიო წევრობა, პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ პირს საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისა და აქტიური მონაწილეობისათვის;

— ცენტრის წევრად მიღება წარმოებს შეზღუდვის გარეშე, პირადი განცხადების საფუძველზე;

— ცენტრიდან გასვლა ასევე ნებაყოფლობითია;

— წევრის გარიცხვა ხდება პრეზიდიუმის დადგენილებით იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს წესდებას ან არ გადაიხდის საწევრო შესატანს ორი წლის განმავლობაში;

— ცენტრის კოლექტიური წევრი შეიძლება გახდეს სსრ კავშირის ან საზღვარგარეთის ნებისმიერი ორგანიზაცია.

წევრს უფლება აქვს:

ა) გამოთქვას თავისი მოსაზრება და წინადადება ცენტრის მუშაობის ყველა საკითხზე;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ცენტრის მიერ ჩატარებულ ნებისმიერ ღონისძიებაში;

გ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს ცენტრის ხელმძღვანელ ორგანოებში;

დ) უპირატესად — პირველ რიგში — ისარგებლოს ცენტრისა და მისი ორგანიზაციების მომსახურებით;

ე) ჰქონდეს საზოგადოების წიგნაკი და სამკერდე ნიშანი;

ვ) გავიდეს საზოგადოების წევრობიდან.

— წევრი ვალდებულია:

ა) აქტიურად ჩაებას ცენტრის საქმიანობაში გამოიჩინოს ინიციატივა;

ბ) შეასრულოს ცენტრის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებები;

გ) გაიმდიდროს ცოდნა როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესახებ;

დ) შეისწავლოს ერთ-ერთი უცხოური ენა;

ე) არ დაუშვას ცენტრის დისკრედიტაცია თავისი მოქმედებით;

ვ) დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი.

4. ცენტრის სტრუქტურა

— საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელიც იკრიბება 3 წელიწადში ერთხელ;

— კონფერენციებს შორის პერიოდში ცენტრს მართავს პრეზიდიუმი;

— ცენტრში იქმნება განყოფილებები (სექციები) წესდებით განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით. განყოფილებათა ნუსხა მტკიცდება პრეზიდიუმის მიერ;

— ცენტრს შეუძლია შექმნას საკუთარი კულტურული, სპორტული, მეცნიერული თუ კომერციული გაერთიანებები, საწარმოო უბნები, შემოქმედებითი ჯგუფები, სარეკლამო სააგენტოები, სავაჭრო ორგანიზაციები როგორც იურიდიული პირის უფლებით, ისე მის გარეშე. ცენტრთან შეიძლება შეიქმნას კოოპერატივები;

— ცენტრი, რესპუბლიკის კანონმდებლობის ფარგლებში, ქმნის ერთობლივ საწარმოებს, მონაწილეობს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში და ამ მიმართულებით დახმარებას უწევს სხვა ორგანიზაციებს.

— საჭიროების შემთხვევაში ცენტრი ქმნის რეგიონალურ განყოფილებებს ან თავის ფილიალებს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის ქვეყნებშიც.

5. ცენტრის კონფერენცია

— წარმართავს ცენტრის საქმიანობას ფართო დემოკრატიის, საჯაროობისა და მისი წევრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

— ამტკიცებს წესდებას, მასში პრეზიდიუმის მიერ შეტანილ შესწორებებსა და დამატებებს, ირჩევს პრეზიდიუმს, ამტკიცებს საფინანსო ანგარიშებს;

— ისმენს პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ანგარიშებს, ამტკიცებს პერსპექტიულ სამუშაო გეგმებს;

— კონფერენცია უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება წევრთა 1/2-ზე მეტი. გადაწყვეტილებათა მიღება ხდება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით;

— კონფერენციის რიგგარეშე მოწვევა ხდება პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან მის წევრთა 1/3 მოთხოვნით.

6. ცენტრის პრეზიდიუმი

— ხელმძღვანელობს ცენტრის მუშაობას კონფერენციებს შორის პერიოდში;

— ირჩევს პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს;

— ისმენს ანგარიშებს ცენტრის მუშაობის სხვადასხვა საკითხების შესახებ;

— წყვეტს ფილიალების შექმნისა და მუშაობის საკითხებს;

— წყვეტს წევრის გარიცხვის საკითხს;

— პრეზიდიუმის სხდომა ტარდება წელიწადში ორჯერ მაინც.

7. ცენტრის პრეზიდენტი

— ირჩევა პრეზიდიუმის სხდომაზე ხმის უმრავლესობით სამი წლის ვადით;

— ხელმძღვანელობს ცენტრის ყოველდღიურ მუშაობას;

— უზრუნველყოფს პრეზიდიუმისა და კონფერენციის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, წარმოადგენს ცენტრს სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

— ნიშნავს პრეზიდიუმის სხდომებს.

8. ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი

— ირჩევა პრეზიდიუმის მიერ პრეზიდენტის წარდგენით;

— პასუხისმგებელია აპარატის მუშაობის, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის, ფილიალებისა და ქვედანაყოფების მუშაობისათვის.

9. ცენტრის პასუხისმგებელი მდივანი

— ინიშნება პრეზიდენტის მიერ;

— პასუხისმგებელია კონფერენციებისა და პრეზიდიუმის სხდომების ჩატარების, უცხოელ სტუმართა მიღებისა და მათთვის შესაფერისი პირობების შექმნისათვის;

— ასრულებს პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის სხვა დავალებებსაც.

10. ცენტრის სარევიზიო კომისია

— ირჩევა კონფერენციის მიერ;

— ახორციელებს კონტროლს წესდების დაცვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფრთხილების, სამეურნეო ოპერაციებისა და ხელშეკრულებების კანონიერების, ფულადი სახსრების შემოტანისა და ხარჯვის, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების სისწორის, წევრთა საჩივრების სწორი განხილვის, წევრთა ინტერესების დაცვისადმი;

— სარევიზიო კომისია პასუხისმგებელია კონფერენციის წინაშე;

— სარევიზიო კომისია თავის სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას.

11. ცენტრის სახსრები შედგება:

ა) საწევრო შესატანებისაგან;

ბ) საქველმოქმედო ნებაყოფლობითი შესატანებისაგან. ამასთან, საქველმოქმედო შენაწირს ფულად სახსრებთან ერთად, შეიძლება შეადგენდეს უძრავი ან მოძრავი ქონება;

ვ) საკუთარი საწარმოო, კომერციული და სხვა სახის აქტივობით მიღებული შემოსავლებისაგან.

მიღებული შემოსავალი გამოიყენება მატერიალური დანახარჯების ანაზღაურებისა და აუცილებელი გადასახადების გადახდისათვის.

— ცენტრის განკარგულებაში არსებული შემოსავალი გამოიყენება განვითარების, სადაზღვევო და შრომის ანაზღაურების ფონდების შესაქმნელად. საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება შეიქმნას სხვა ფონდებიც.

12. ცენტრის წესდების მიღება და რეგისტრაცია

— წესდების მიღება ხდება კონფერენციის მიერ;

— წესდებას რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

— ცვლილებებისა და დამატებების შეტანა წესდებაში ხდება ასეთივე წესით.

13. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა

— ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა ხდება კონფერენციის გადაწყვეტილებით;

— ცენტრის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმსაც;

— ლიკვიდირებული ცენტრის ქონება ნაწილდება არსებული კანონმდებლობის მიხედვით.

14. ცენტრის იურიდიული სტატუსი

— ცენტრი არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი ბეჭედი და ანგარიშები (მათ შორის სავალუტოც) ბანკში;

— ცენტრი თავის მოღვაწეობას წარმართავს საქართველოს სსრ კანონმდებლობის ფარგლებში;

— ცენტრის დამფუძნებელი ორგანიზაციაა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება.

13 საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-ჭ ო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 იანვარი, № 29

მუზ. 13
ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 23 იანვრის № 29
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციის შესახებ

I. საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციის სტატუსი

1. საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაცია (შემდგომ საქართველოს „სბფ“) იქმნება დამფუძნებელ კონფერენციაზე და მის წესდებას რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სბფ დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ-სპორტული ორგანიზაციაა. სბფ იურიდიული პირია — აქვს ემბლემა, ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიში ბანკში.

სბფ შექმნილია სპორტულ ბრიჯში ღონისძიებათა ორგანიზაციებისა და ჩატარებისათვის, მისი პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის და ამ წესდების ფარგლებში. სბფ ხელმძღვანელობს სპორტულ ბრიჯთან დაკავშირებულ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებს და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2. სბფ ხელმძღვანელობს ოლიმპიური ქარტიით, აღიარებს ბრიჯის ევროპულ ლიგას და ბრიჯის საერთაშორისო ფედერაციას, უფლება აქვს შევიდეს ამ და ბრიჯის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

3. სბფ თავად წყვეტს ბრიჯის რეგიონალურ, საკავშირო თუ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის საკითხს.

4. სბფ თანამშრომლობს საქართველოს სსრ სპორტსახკომთან და საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან.

II. საქართველოს სბფ-ის მიზნები და ამოცანები

სბფ-ის მიზნები და ამოცანებია:

1. სპორტული ბრიჯის განვითარება.

2. სბფ-ის ბრიჯის ორგანიზაციებში სპორტულ ღონისძიებათა კოორდინირება.

3. სბფ-ის ბრიჯის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარება.

4. მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარება ბრიჯის იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც სბფ-ში არ შედიან.

5. მოსახლეობის ინტელექტუალური განვითარება და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქართველოს სბფ-ის წევრობა

1. სბფ შედგება კოლექტიური წევრებისაგან.

2. სბფ-ის წევრობის პრეტენდენტ ბრიჯის ორგანიზაციას თავისი თხოვნა წერილობით შეაქვს საქართველოს სბფ-ის მდივანთან. საქართველოს სბფ-ის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბრიჯის ორგანიზაცია, რომელიც აღიარებს სბფ-ის წესდებას.

3. სბფ-ის წევრობის პრეტენდენტი ბრიჯის ორგანიზაცია უნდა აერთიანებდეს, სულ ცოტა, რვა ინდივიდუალურ წევრს.

4. სბფ-ში მიღებული ბრიჯის ორგანიზაცია სბფს ცნობს როგორც ხელმძღვანელ ორგანიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე.

IV. საქართველოს სბფ-ის საქმიანობის შინაარსი

1. სბფ-ს უფლება აქვს შექმნას კომისიები, აგრეთვე, დაიქირავოს სპეციალისტები, რომელთაც აუნაზღაურებს შრომას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სბფ ამუშავებს ბრიჯის ლონისძიებათა კალენდარულ გეგმებს, ტურნირების დებულებებს, აგრეთვე, საქმიანობისათვის აუცილებელ სხვა დოკუმენტებს.

3. სბფ შეიმუშავებს იმ გუნდების შერჩევის პრინციპებს, რომლებიც გამოვლენ საქართველოს სს რესპუბლიკის სახელით, ამტკიცებს ამ გუნდების შემადგენლობას, ხელმძღვანელობს მათ და პასუხისმგებელია მათი საქმიანობისათვის.

4. ფედერაციის კოლექტიურ წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში სბფ არბიტრის ფუნქციას ასრულებს.

5. სბფ ეწევა კანონით ნებადართულ სამეურნეო და ფინანსურ საქმიანობას მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან და კერძო პირებთან საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

6. სბფ ხელს უწყობს ბრიჯის თეორიის განვითარების, ჩატარებული ლონისძიებების შედეგებისა და მსაჯობის პრობლემების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

7. სბფ ეწევა სხვა სახის მოღვაწეობას, რაც უზრუნველყოფს ბრიჯის განვითარებას და კანონით არ არის აკრძალული.

V. საქართველოს სბფ-ის სტრუქტურა

1. სბფ-ის უმაღლესი ორგანოა კოლექტიური წევრების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც ირჩევს სბფ-ის საბჭოს ოთხი წლით, 36 კაცის შემადგენლობით.

2. საარჩევნო კონფერენციები ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ.

3. სბფ-ის პრეზიდენტს ირჩევს კონფერენცია ოთხი წლით.

4. სბფ-ის საბჭო ირჩევს სბფ-ის პრეზიდიუმს ათი კაცის შემადგენლობით, პრეზიდიუმი თავისი შემადგენლობიდან — ორ ვიცე-პრეზიდენტსა და მდივანს ოთხი წლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ბრიჯის იმ ორგანიზაციების წარმომადგენლობის კვოტას, რომლებიც თავის წევრებად აღიარა სბფ-მ, ამტკიცებს პრეზიდიუმი.

6. ქვორუმს შეადგენს საბჭოს წევრთა ორი მესამედი.

7. საბჭო თავის გადაწყვეტილებებს იღებს ხმის უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში პრეზიდენტს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

8. სბფ-ის საბჭოს სხდომები ტარდება სამ თვეში ერთხელ მაინც. აუცილებლობის შემთხვევაში სბფ-ის საბჭოს შეუძლია მოიწვიოს სბფ-ის რიგგარეშე კონფერენცია, კონფერენციას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის და საბჭოს წევრების ვადაზე ადრე გაწვევის შესახებ.

9. სბფ-ის საბჭოს წინადადებით, კონფერენციას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სბფ-ის საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე.

10. რიგგარეშე კონფერენცია შეიძლება ჩატარდეს სბფ-ის წევრთა არანაკლებ 50 პროცენტის მოთხოვნით.

VI. საქართველოს სბფ-ის ფინანსები და სამეურნეო საქმიანობა

1. სბფ-ის საფინანსო წელი მთავრდება ყოველი წლის 1 იანვარს.

2. სბფ-ის საბჭო ამტკიცებს მომდევნო წლის საფინანსო გეგმას, რომელსაც შეიმუშავებს საფინანსო კომისია.

3. სბფ-ის შემოსავალს შეადგენს:

ა) ბრიჯთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შემოსავალი;

ბ) სბფ-ის ატრიბუტიკისა და მისი გამოყენების უფლების გაყიდვა;

გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და აგრეთვე კერძო პირთა შეწირულებანი;

სხვა კანონიერი შემოსავალი.

4. სბფ-ის ფინანსური საშუალებანი (ვალუტის ჩათვლით) გამოიყენება სბფ-ის კოლექტიური წევრების წარმომადგენელთა კონფერენციის შეხედულებისამებრ.

VII. საქართველოს სბფ-ის პრეზიდიუმის უფლებები

საქართველოს ბრიჯის ფედერაციის პრეზიდიუმს უფლება აქვს:

1. შექმნას ან გააუქმოს კომისიები, განსაზღვროს მათი უფლება-მოვალეობანი.

2. გამოიყენოს უკანასკნელი ინსტანციის უფლება ყველა კომისიის მუშაობაში, მიიღოს ან არ მიიღოს აპელაციები, რომლებიც მათ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებას ეხება.

3. დააკმაყოფილოს ან არ მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი და მოქმედი ბრიჯის ორგანიზაციის თხოვნა სბფ-ის წევრად გახდომის თაობაზე.

4. წამოაყენოს კანდიდატურები საპატიო წოდებათა მისანიჭებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. წაუყენოს სბფ-ის კონფერენციას ფედერაციის წესდების შეცვლის პროექტები.

6. გადაწყვიტოს ბრიჯის ორგანიზაციის სბფ-ის წევრად დარჩენის საკითხი, თუ იგი, პრეზიდიუმის აზრით, თავისი საქმიანობით სახელს უტეხს სბფ-ს.

VIII საქართველოს სბფ-ის სარევიზიო კომისია

1. სბფ-ის კონფერენცია ირჩევს სარევიზიო კომისიას სამი წევრის შემადგენლობით ოთხი წლის ვადით.

2. სარევიზიო კომისია ამოწმებს სბფ-ის საფინანსო, სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას და წელიწადში ერთხელ ამ შემოწმების შედეგების შესახებ მოახსენებს საბჭოს.

3. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ან მის მიერ სარევიზიო კომისიის წევრთაგან დანიშნულ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საბჭოსა და მისი ყველა კომისიის სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

4. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს სბფ-ის კონფერენციას შესთავაზოს სბფ-ის საბჭოს მთელი შემადგენლობის ან მისი ცალკეული წევრების გადარჩევა.

14 ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმების თაობაზე მემორანდუმთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

ხელმძღვანელობს რა ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის 1987 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულების, თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით ანგარიშსწორებაზე გადასვლის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის 1982 წლის 20 მაისის ოქმის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური, სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 1984 წლის 26 დეკემბრის გრძელვადიანი პროგრამის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვრისპირა და სანაპირო ვაჭრობის შესახებ 1989 წლის 6 ივლისს ქალაქ მოსკოვში მიღწეული შეთანხმების, აგრეთვე ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმების თაობაზე 1989 წლის 14 დეკემბერს ქალაქ ანკარაში ხელმოწერილი მემორანდუმის (თან ერთვის) დებულებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედმა სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და საგარეო ვაჭრობის სფეროში თავიანთი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიიჩნიონ ზემოაღნიშნულ მემორანდუმში ჩამოყალიბებულ შეთანხმება-გარიგებათა შესრულების უზრუნველყოფა.

2. მემორანდუმის 1-ლი პუნქტის შესაბამისად დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ სამეურნეოანგარიშიან საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „საქიმპექსს“ განახორციელოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თურქეთის რესპუბლიკასთან სანაპირო და საზღვრისპირა ვაჭრობის მომზადებისა და წარმართვის წამყვანი უწყების ფუნქციები.

ნება დაერთოს „საქიმპექსს“ შეასრულოს აგრეთვე დაინტერესებულ მოკავშირე რესპუბლიკებსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ანალოგიური გარიგებებისას შუამავლის ფუნქციები.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, ცეკავშირმა, საწარმოო გაერთიანება „საქენერგომ“, საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიამ“, საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვამ“, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ, სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს უცხოეთის ტურიზმის გაერთიანებამ იმ მიზნით, რომ განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი თურქეთის მხარესთან თანამშრომლობის დამყარებისა და განვითარებისათვის ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დარგში, კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების (სოია, ციტრუსები, ხილი, ჩაი), აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების გადამუშავების, მსუბუქი მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მოდერნიზაციის, სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო მიმოსვლის განვითარების, ენერგეტიკული და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების, ტურიზმის თანამედროვე ტექნიკური ბაზის შექმნის, ეკოლოგიური დაცვის უზრუნველყოფისა და სხვა სფეროებში, რომლებიც გამოვლინდება თურქეთის რესპუბლიკასთან ყოველმხრივი თანამშრომლობის დამყარების კვალობაზე, ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებას ღონისძიებათა გეგმები, რომლებსაც განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის კომისია.

4. საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი თურქეთის ფირმების მონაწილეობას საქართველოში ჩატარებულ ბაზრობებსა და გამოფენებში და შესაბამისად რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა მონაწილეობას თურქეთში განხორციელებულ ღონისძიებებში, საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაციების რეგულარულ გაცვლას პარტნიორის საშინაო ბაზარზე საქონლის უფრო აქტიური დანერგვის მიზნით, ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო კავშირურთიერთობის დამყარებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ერთობლივი საწარმოების შექმნა, სამრეწველო და აგრარული კოოპერაცია, ლიზინგი, საბარტერო ოპერაციები, სარეკლამო, საშუამავლო და საკონსულტაციო მომსახურება.

5. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ შესაბამის საკავშირო ორგანოებთან შეთანხმებით მოამზადოს წინადადებანი ბარტერული ავიარეისების შემოსაღებად თურქეთის მხარესთან კონტრაქტების დადების შესახებ.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა, საქართველოს სსრ სახმშენმა უზრუნ-

ველყონ პირდაპირი ინვესტიციებისა და საფინანსო ლიზინგების შესაძლებლობის შემცველი მცირე და საშუალო პროექტების დაფინანსების ყველაზე ეფექტიანი მოდელების შერჩევა.

7. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ და ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თურქეთის რესპუბლიკასთან საზღვრისპირა და სანაპირო ვაჭრობის დამყარებისას იხელმძღვანელონ იმით, რომ საქართველოს მხრივ ნავსადგურები ბათუმი და ფოთი, პუნქტი სარფი და თურქეთის მხრივ ნავსადგურები ტრაბზონი, სამსუნი, ქალაქი ართვინი, პუნქტი ერზერუმი, მემორანდუმის თანახმად, წარმოადგენენ სანაპირო და საზღვრისპირა ვაჭრობის ძირითად ნავსადგურებსა და ქალაქებს.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა სამეურნეო-ანგარიშიანმა საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „საქიმპექსმა“ საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ორი კვირის ვადაში მოამზადოს კონკრეტული წინადადებანი ახლანდელ ეტაპზე თურქეთის მხარისათვის საინტერესო შემდეგ საკითხებზე:

— საქართველოდან თურქეთისათვის ლითონის მადნისა და არმატურის, საპარფიუმერიო ნედლეულის, მურა ნახშირის, მერქნისა და სხვა საქონლის მიწოდება თურქეთის მხარესთან დამატებითი შეთანხმებით;

— თურქეთიდან საქართველოსათვის თხილის, ფართო მოხმარების საქონლის, ცემენტის, კვების პროდუქტების, ქსოვილების, მატყლის მოწოდება;

— ერთობლივ საწარმოთა შექმნა ჩაის, საკონდიტრო, ხის დამმუშავებელ და ცემენტის მრეწველობაში, ტურიზმის სფეროში, აგრეთვე ჩამოწერილი ხომალდების დემონტაჟი და მათი ლითონის ნაწილების უტილიზაცია;

— საექსპორტო საქონლის მოძრავ გამოფენათა მოწყობა ქალაქ ბათუმში და თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ხოფაში.

9. ბათუმის, ფოთის, სარფის საბაჟო სამსახურებმა ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მასალები სანაპირო და საზღვრისპირა ვაჭრობის ხაზით ორივე მხარის ტვირთების გასატარებლად მზადყოფნის შესახებ.

10. საქართველოს საზღვაო სანაოსნომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს თურქეთთან სავაჭრო ოპერაციების პრაქტიკულ რეალიზაციაში.

11. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველომ და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მოამზადონ წინადადებანი თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს სსრ დიპლომატიური და სავაჭრო წარმომადგენლობების შექმნის შესაძლებლობის შესახებ, ამასთან შეუთანხმონ ეს შესაბამის საკავშირო ორგანოებს.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებამ (ამხ. ნ. კომახიძე) აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით სამი დღის ვადაში მოამზადოს და შემოი-

ტანოს დასამტკიცებლად წინადადება თურქეთის რესპუბლიკასთან ყოველმხრივი თანამშრომლობის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაზე.

13. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს დამატებით გამოეყოს ერთი საშტატო ერთეული თურქეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის სხვადასხვა საკითხების სისტემატური მოწესრიგების და კოორდინაციის მიზნით.

14. ჩაითვალოს მიზანშეწონილად, რომ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირების საზოგადოებამ დაინტერესებულ საქართველოს ქალაქების აღმასკომებთან ერთად შეისწავლონ და მოამზადონ წინადადებები თურქეთის რესპუბლიკის ქალაქებთან — ბათუმის და ართვინის მსგავსად — დაძმობილების თაობაზე, აგრეთვე საქართველოს და თურქეთის მოსახლეობის დაახლოების ისეთი ფორმების ფართო გამოყენებაზე, როგორიცაა ოჯახებით გაცვლა-გამოცვლა, „ხალხური დიპლომატია“ და სხვა.

15. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან, საქართველოს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირების საზოგადოებასთან ერთად 2 თვის ვადაში შეიმუშაოს თურქეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური გეგმა, რომლის მიხედვითაც მიზანშეწონილია განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებები მეცნიერების, კულტურის, განათლების და სხვა დარგებში.

16. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში შეისწავლოს საკითხი თურქეთის რესპუბლიკის საქართველოსთან მოსაზღვრე ტერიტორიაზე საქართველოს სატელევიზიო და რადიოგადაცემების მიღების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების შესახებ და შემოიტანოს კონკრეტული წინადადებები ამ გადაცემების ტექნიკური ბაზის სრულყოფის თაობაზე.

17. მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმა ფართოდ გააშუქონ საქართველოს სსრ და თურქეთის რესპუბლიკის მრავალმხრივი კონტაქტების გაუმჯობესების და პერსპექტიული განვითარების საკითხები.

18. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ო. ჭვილითაია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 იანვარი, № 30

15 საქართველოს რაგბის ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს რაგბის ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 იანვარი, № 32

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 23 იანვრის № 32
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს რაგბის ასოციაციის

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რაგბის ასოციაცია არის დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მორაგბეთა და რაგბის მოყვარულთა ინტერესებს და თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. ასოციაცია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მიზნად ისახავს:

ა) სრული სუვერენიტეტის მიღწევას, ანუ:

— საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გადაქცევას მთავარ შეჯიბრებად;

— რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ.) საქართველოს დამოუკიდეციალურ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში;

— რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ი. რ. ბ.) საქართველოს დამოუკიდებელ წევრად შესვლას;

ბ) რაგბის შემდგომ პოპულარიზაციას;

გ) რაგბის მოთამაშეთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას და ოსტატობის სრულყოფას;

დ) რაგბის მოთამაშის სამოყვარულო სტატუსის განუხრელ დაცვას (ირბ-ს კანონმდებლობის გათვალისწინებით);

ე) პირდაპირი, დამოუკიდებელი კონტაქტების დამყარებას საკავშირო და საერთაშორისო დონეზე.

ვ) დასახული მიზნების განხორციელებისათვის ასოციაცია იყენებს არსებული კანონმდებლობით ნებადართული მოქმედების ფორმებს: ფონდების შექმნას, სამუშაო კომისიების ჩამოყალიბებასა და დაფინანსებას; პრემირებასა და რეკლამირებას; საჯარო ღონისძიებათა (კრებების, სემინარების, დისკუსიების და სხვა) ორგანიზაციას; თანამშრომლობას საქართველოს რაგბის კავშირთან, საქართველოს სპორტსახკომთან, კოოპერატივებთან და ა. შ. ყველა ორგანიზაციასა და მოქალაქესთან, რომელთა საქმიანობაც არ ეწინააღმდეგება ასოციაციის იდეალებს და ხელს უწყობს მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას.

II. საქართველოს რაგბის ასოციაციის წევრები

1. საქართველოს რაგბის ასოციაციის ინდივიდუალური წევრი შეიძლება გახდეს (მორაგბე, მწვრთნელი, მსაჯი) საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე განურჩევლად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა, რწმენისა. პარტიულობისა და სოციალური წარმოშობის, თუკი ის აღიარებს ასოციაციის პროგრამას და წესდებას, გადაიხდის საწევრო გადასახადს და დაემორჩილება ასოციაციის კრებების გადაწყვეტილებებს.

2. ასოციაციის წევრად მიღება ხდება საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით.

3. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

ა) წარმოადგინოს კანდიდატურა, აირჩიოს ან იყოს არჩეული ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში;

ბ) დააყენოს საკითხი, წარუდგინოს წინადადებანი და პროექტები ასოციაციას;

გ) მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია;

დ) პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს კომისიების მუშაობაში;

ე) გავიდეს ასოციაციიდან.

4. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

ა) იცავდეს ასოციაციის წესდებას და პირადად მონაწილეობდეს ასოციაციის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელების საქმეში;

ბ) მოსთხოვოს წესდების დაცვა ასოციაციის სხვა წევრებს;

გ) წინ აღუდგეს ასოციაციის ავტორიტეტის შელახვის ყოველგვარ ცდას;

5. ასოციაცია ვალდებულია:

ა) დაიცვას ეროვნული ნაკრების, საკლუბო გუნდების, მორაგბეების სპეციალისტებისა და ასოციაციის ყველა წევრის ინტერესები;

ბ) იბრძოლოს ეროვნული ჩემპიონატებისა და სხვა საშინაო შეჯიბრებების უმაღლეს დონეზე ჩატარებისათვის;

გ) იმუშაოს ბავშვთა რაგბის განვითარების სწორი გზით წარმართვისათვის;

დ) მოიზიდოს სპონსორები და რაგბის გაუწიოს რეკლამა.

III. საქართველოს რაგბის ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა

1. საქართველოს რაგბის ასოციაცია აგებულია დემოკრატიულობის პრინციპებზე, რაც გულისხმობს ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას და გადაწყვეტილებათა მიღების პარლამენტურ წესს.

2. ასოციაციის უმაღლესი განმკარგულებელი ორგანოა ასოციაციის წევრთა კრება.

3. ასოციაციის წევრთა კრება უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება წარმომადგენელთა ოთი მეხუთედი.

4. წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტა ხდება კენჭისყრით. გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა სამი მეოთხედი.

5. ასოციაციის წევრთა კრება ტარდება წელიწადში სამჯერ (გარდა საგანგებო შემთხვევებისა). კრებას ამზადებს ასოციაციის პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ასოციაციის კრება:

— ამტკიცებს ასოციაციის წესდებას, პროგრამას, ცვლილებები შეაქვს მათში;

— ფარული კენჭისყრით ორი წლის ვადით ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს, საჭიროების შემთხვევაში მას ვადაზე ადრე გადაირჩევს, აწყობს პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს;

— ისმენს პრეზიდენტის ანგარიშს და შეფასებას აძლევს გაწეულ მუშაობას;

— განიხილავს და ამტკიცებს ასოციაციის ხარჯთაღრიცხვებს;

— ამტკიცებს პრეზიდიუმის შემადგენლობას, სარევიზიო და სხვადასხვა კომისიების ხელმძღვანელობასა და შემადგენლობას;

— ამტკიცებს ასოციაციის ბეჭდვითი ორგანოს რედკოლეგიას;

— განიხილავს მიმდინარე პერიოდის ყველა აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხს.

ასოციაციის გადაწყვეტილებათა აღმასრულებლის მოვალეობას პრეზიდიუმისა და ასოციაციის სხვა წევრთა თანხმობით ასრულებს პრეზიდენტი.

IV. საქართველოს რაგბის ასოციაციის სახსრები

1. ასოციაციის წევრები შესვლისას იხდიან ათ მანეთს, ყოველწლიურად კი — საწევრო გადასახადს სამოც მანეთს.

2. საწევრო გადასახადს არ იხდიან მოსწავლეები.

3. საწევრო ანარიცხები და სხვა სახის შემოსავლები (სპონსორთა მიერ ჩარიცხული თანხები) მთლიანად ჩაირიცხება ასოციაციის ანგარიშზე.

4. ასოციაციის წლიურ ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანა შეუძლია პრეზიდენტს, რაც შემდგომ უნდა დაამტკიცოს კრებამ, სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

V. საქართველოს რაგბის ასოციაციის უფლებრივი მდგომარეობა

1. საქართველოს რაგბის ასოციაცია სარგებლობს ავტონომიის უფლებით; მას ენიჭება იურიდიული პირის უფლება, რაც საჭიროა მის წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების შესასრულებლად, აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში საწევრო ანარიცხებისა და სხვა შემოსავლების, აგრეთვე უცხოური ვალუტის ჩასარიცხავად; აქვს შტამპი, მრგვალი ბეჭედი, ემბლემა. დროშა, ჰიმნი.

2. ასოციაცია უქმდება კრების დადგენილების საფუძველზე. ასოციაციის არსებულ ქონებას გაანაწილებს კრების მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

3. ასოციაციის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 გარდაბნის რაიონში სოფელ კრწანისისა და კრწანისის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს გარდაბნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება იმის შესახებ, რომ სვანეთიდან და აჭარიდან სტიქიურ უბედურებათა გამო გადმოსახლებულთა ბაზაზე გაზრდილი ფონიჭალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული კრწანისის მეღორეობის კომპლექსისა და კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის დასახლებები მიეკუთვნოს სოფლის კატეგორიას, ეწოდოს მას სოფელი კრწანისი და შეიქმნას ამ სოფლის ბაზაზე კრწანისის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელი კრწანისი.

2. წარედგინოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ბრძანებულების პროექტი გარდაბნის რაიონში სოფელ კრწანისისა და კრწანისის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 იანვარი, № 33

17 მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ[1]

მოქალაქეთათვის მისაყიდი საცხოვრებელი სახლებისა და ბინების ღირებულების განსაზღვრის გამარტივებისა და დაჩქარების მიზნით, მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

---

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოქმედება დროებით შეჩერებულია.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1989 წლის 21 ივნისის № 311 დადგენილებით დამტკიცებული დებულება.

3. გამოქვეყნდეს პრესაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 21 ივნისის № 311 დადგენილება და ეს დებულება მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჩხეიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 25 იანვარი, № 35

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1990 წლის 25
იანვრის № 35 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 2 დეკემბრის № 1400 დადგენილებისა და „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის № 500 დადგენილების შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინებისა და საცხოვრებელი სახლების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების ძირითად წესებს, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომისათვის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციისათვის.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიჰყიდონ მოქალაქეებს პირად საკუთრებაში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები ან ბინები სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში რიცხულ სახლებში, მათ შორის წინათ კონფისკებული ან მუნიციპალიზებული, ავარიული და დაძველებული, აგრეთვე შეუსახლებელი ბინები სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში. მოქალაქეთა წასვლის შემთხვევაში განთავისუფლებული ბინები, აგრეთვე ახალაშენებული სახლების ბინები შეიძლება მიეყიდოთ პირად საკუთრებაში მოქალაქეებს დადგენილი წესით მათი შესახლების შემდეგ.

იმ სახლებში არსებული ბინების გაყიდვა, რომლებიც ისტორიისა და კულტურის ძეგლებს წარმოადგენენ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად დაიშვება ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისათვის სავალდებულო წინასწარი შეტყობინებით.

მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში ბინების მიყიდვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ერთ ოჯახს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ ერთი ბინა ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული ბინები პირად საკუთრებაში შეიძლება მიეყიდოთ მხოლოდ ოჯახის ყველა ერთად მცხოვრები სრულწლოვანი წევრის თანხმობით. მათი სურვილისამებრ ბინები შეიძლება მიეყიდოთ მათ საერთო საკუთრებაში.

3. მოქალაქეებს პირად საკუთრებაში არ შეიძლება მიეყიდოთ:

ა) ბინები, რომლებიც შეტანილია სამსახურებრივი სადგომების შემადგენლობაში;

ბ) ბინები დახურულ სამხედრო ქალაქებში არსებულ სახლებში.

4. სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში შეუსახლებელი ბინების პირად საკუთრებაში შეძენის უფლება პირველ რიგში აქვთ საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 21 ივნისის № 311 დადგენილების მე-4 პუნქტის პირველ აბზაცში აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებს და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ ბინის პირველ რიგში მიცემის უფლებით.

5. ახორციელებენ რა მოქალაქეთათვის ბინების მიყიდვას მრავალბინიან სახლებში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები ხელს უწყობენ სახლში (ან სექციაში) არსებული ყველა ბინის გაყიდვას, აგრეთვე ამ მიზნით ბინების გაცვლას და სახლებისა და ბინების ინდივიდუალურ მფლობელთა ამხანაგობების შექმნას კოლექტიური მართვისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე სახლების ეფექტიანი ექსპლუატაციის პირობების დასამყარებლად.

6. მოქალაქენი, რომელთაც სურთ შეიძინონ პირად საკუთრებაში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლები (ბინები), აგრეთვე სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში შეუსახლებელი ბინები, მიმართავენ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც ირიცხება ისინი.

საბინაო ფონდის ზემოაღნიშნული მფლობელნი ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოფენ გასაყიდი საცხოვრებელი სახლების (ბინების) შეფასებას და მოქალაქეთათვის მათი მიყიდვის ოპერატიულად გაფორმებას.

7. გასაყიდი საცხოვრებელი სახლების ან ბინების ღირებულებას განსაზღვრავენ სამინისტროთა და უწყებათა საპროექტო ორგანიზაციები ამ სახლების ან ბინების მფლობელთა (სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების) შეკვეთით.

ბინების (საცხოვრებელი სახლების) საბაზო ღირებულების განსაზღვრისათვის ამოსავალ ერთეულად მიიღება სახლის საერთო ფართობის 1 კვადრატული მეტრი.

მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მისაყიდი ბინების (საცხოვრებელი სახლების) საერთო ფართობის 1 კვადრატული მეტრის საბაზო ღირებულება განისაზღვრება 1984 წლის 1 იანვრის შემდეგ აშენებული საცხოვრებელი სახ-

ლების მშენებლობის პროექტებში ასახული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საფუძველზე ახალ ფასებში.

1984 წლის 1 იანვრამდე აშენებულ საცხოვრებელ სახლებში (ძველი სახარჯთაღრიცხვო ფასების მიხედვით) საერთო ფართობის 1 კვადრატული მეტრის ღირებულება განისაზღვრება ძირითადი ფონდების გადასაფასებლად საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების აღდგენითი ღირებულების გამსხვილებულ მაჩვენებელთა № 28 კრებულის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახმშენის მიერ, 1969 წლის ფასებიდან 1984 წლის 1 იანვრის შემდეგ შემოღებულ ფასებში გადასაყვანი გასაშუალებული კოეფიციენტის (კ=1,236) გამოყენებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახმშენის 1983 წლის 11 მაისის № 94 დადგენილებით.

ბინების (საცხოვრებელი სახლების) ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად: ბინის (საცხოვრებელი სახლის) საერთო ფართობი მრავლდება მოცემული სახლის (ბინის) საერთო ფართობის 1 კვადრატული მეტრის დაწესებულ ღირებულებაზე და ემატება გასაყიდი სახლის (ბინის) ღირებულების 5 პროცენტი მათი შეფასების და გაყიდვისათვის საჭირო დოკუმენტების გაფორმების ხარჯების დასაფარავად.

ამ სახსრების ხარჯზე (გასაყიდი სახლის ან ბინის ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით) სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები (ეს სახსრები გადაირიცხება საბინაო-კომუნალურ ორგანოთა სამსახურების საანგარიშსწორებო ანგარიშზე), საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები ანაზღაურებენ გასაყიდი სახლების ან ბინების შეფასების სამუშაოებს.

ზემოაღნიშნული წესით გამოანგარიშებული სახლის ღირებულება მცირდება ძირითადი კონსტრუქციების (საძირკველი, კედლები, კიბეები, გადახურვები, საფარები, სახურავი, საინჟინრო მოწყობლობა და სხვ.) ცვეთის დაწესებული პროცენტით კ. დ. პამფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიის მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის 1981 წლის 24 დეკემბრის № 446 ბრძანებით დამტკიცებული საცხოვრებელ შენობათა ფიზიკური ცვეთის წესების (სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის საუწყებო სამშენებლო ნორმა 53-86რ) შესაბამისად. თუ საცხოვრებელი სახლის ნაწილი გამოყოფილია არასაცხოვრებელი სათავსებისათვის (სავაჭრო, საგანმანათლებლო, სამკურნალო და ა. შ.), ამ სათავსების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ შეიტანება სახლის საცხოვრებელი ნაწილის საერთო ღირებულებაში.

ბინების (სახლების) საერთო ფართობი უნდა განისაზღვროს როგორც საცხოვრებელი და დამხმარე სათავსების (ჰოლი, სამზარეულო, სანკვანძები, დერეფნები, შემინული ლოჯიები — შუშაბანდები, ჩაშენებული კარადები, ღია შეუმინავი ლოჯიები, აივნები-ტერასები, აგრეთვე დამქირავებელთა მიერ სამეურნეო საჭიროებისათვის მოწყობილი და გამოყენებული სარდაფისა და სხვენის სათავსები) ფართობის ჯამი შემდეგი შემცირების კოეფიციენტებით: ღია

ლოჯიებისათვის — 0,5, აივნების-ტერასების, სარდაფისა და სხვენის სათავსებისათვის — 0,3-0,3.

ცალკე ბინების ფართობის განსაზღვრისას დგინდება აგრეთვე მათი წილი სახლის საერთო ფართობიდან.

ცალკე ბინის ღირებულებაში არ შედის დადგენილი წესით დამქირავებლის სახსრების ხარჯზე ჩაშენებული სათავსების ფართობის ღირებულება, აგრეთვე მაღალხარისხოვანი შინასაბინაო საინჟინრო მოწყობილობისა და დამქირავებლის მიერ შესრულებულ მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ღირებულება.

არაიზოლირებული კომუნალური ბინების ღირებულებაში არ შედის საერთო სარგებლობის დამხმარე სათავსების ფართობის ღირებულება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში დამხმარე სათავსები რჩება საცხოვრებელი სადგომების მესაკუთრეთა და დამქირავებელთა საერთო სარგებლობის წინანდელ უფლებებზე.

კომისიას უფლება აქვს საპროექტო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული საცხოვრებელი სახლის (ბინის) სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიმართ გამოიყენოს:

ა) გადიდების კოეფიციენტები 1,05-1,15 ფარგლებში, რომლებიც განისაზღვრება სახლის კატეგორიის, კონსტრუქციული გადაწყვეტის, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობის დონის, რაიონის (მიკრორაიონის) ადგილმდებარეობის, კეთილმოწყობისა და ეკოლოგიის შესაბამისად;

ბ) შემცირების კოეფიციენტები:

— საერთო სარგებლობის დამხმარე სათავსებიანი არაიზოლირებული ბინებისათვის (კომუნალური) — 0,92;

— ცოკოლის სართულზე, ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის მაგისტრალებზე განლაგებული ბინებისათვის — 0,92-0,92;

— პირველ სართულზე განლაგებული ბინებისათვის — 0,97;

— ბინებისათვის, რომელთა ჭერის სიმაღლე 2,7 მეტრზე ნაკლებია, — 0,96;

— ულიფტო სახლებში 5 სართულზე და მაღლა განლაგებული ბინებისათვის — 0,98.

შენიშვნები:

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს უფლება აქვთ დააწესონ შემცირების კოეფიციენტები 0,98-0,95 ფარგლებში საცხოვრებელი სადგომების სხვა დეფექტებისათვის (სინესტე, არასაკმარისი ბუნებრივი განათება და სხვ.).

2. აღნიშნული ბინის მთელი რიგი დეფექტებისათვის შემცირების კოეფიციენტები გადამრავლდება და მიღებული შედეგი გამოაკლდება თავდაპირველ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას.

3. საპროექტო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული საცხოვრებელი სახლის ან ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ფორმდება იმ კომისიის აქტით, რომელიც იქმნება სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან შემდეგი შემადგენლობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კუთვნილი სახლებისათვის — ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე), საქალაქო (რაიონული) საფინანსო ორგანოს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის საქალაქო (რაიონული) ორგანოს წარმომადგენლები და სახალხო დეპუტატი;

ბ) საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი სახლებისათვის — საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი (დირექტორი) ან მისი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე), საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი, პროფკავშირის კომიტეტისა და შრომითი კოლექტივის წარმომადგენლები.

კომისიის აქტს საცხოვრებელი სახლის ან ბინის საბოლოო გასაყიდი ღირებულების შესახებ ამტკიცებენ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, საწარმო, გაერთიანება, ორგანიზაცია.

9. მოქალაქეებს შეუძლიათ სახლის ან ბინის ღირებულება გადაიხადონ ნაწილ-ნაწილ, არა უმეტეს 10 წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ თავდაპირველად შეიტანონ სახლის ან ბინის ღირებულების (გასაყიდი ფასის) არანაკლებ 50 პროცენტი. დანარჩენი თანხა მყიდველებს შეაქვთ თანაბარ ნაწილებად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადებში 10 წლის განმავლობაში სახლის ან ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების რეგისტრაციის შემდეგ მომდევნო თვიდან დაწყებული.

10. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, რომლებმაც მიჰყიდეს მოქალაქეებს სახლები ან ბინები, ანგარიშს უსწორებენ მათ, აღრიცხავენ ამ სახლების ან ბინების ღირებულების ასანაზღაურებლად შემოსულ სახსრებს.

ამ მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები მოქალაქეებისაგან, რომლებმაც იყიდეს სახლი ან ბინა განვადებით, იღებენ ვალდებულებას, რომელიც ითვალისწინებს სახლის ან ბინის ღირებულების (გასაყიდი ფასის) დარჩენილი 50 პროცენტის გადახდას ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად.

მოქალაქეებს, რომლებმაც იყიდეს სახლი ან ბინა განვადებით, შეუძლიათ ვადამდე დაფარონ სახლის ან ბინის ვალი, აგრეთვე მთლიანად გაასწორონ ანგარიში გადასახდელის საბოლოო ვადის დადგომამდე.

გადასახდელთა მიხედვით დავალიანების გადახდევინება ხდება უდავო წესით, სანოტარო მოქმედების შემსრულებელ ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.

მოვალემ, რომელმაც გადააცილა სახლის ან ბინის ღირებულების გადახდის ვადას, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის შესაბამისად უნდა გადაიხადოს გადაცილებული დროის სარგებელი ვადაგადაცილებული თანხისა წლიური 3 პროცენტი.

11. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ დააწესონ მრავალშვილიანი და ნაკლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოფილი ოჯახებისათვის პირად საკუთრებაში ბინების შეძენის შეღავათები, მათ შორის იმ გზით, რომ გაადიდონ ასეთი ოჯახებისათვის სახლების ან ბინების ღირებულების გადახდის ხანგრძლივობა 15 წლამდე ვადით მათი გაყიდვის დოკუმენტების გაფორმების დღიდან და შეამცირონ თავდაპირველი შესატანის ოდენობა სახლის ან ბინის დაწესებული ღირებულების (გასაყიდი ფასის) 30 პროცენტამდე.

12. სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენებული სახლების ან სახლებში არსებული ბინების მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში მიყიდვით შემოსული სახსრები ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში (სოციალური სფეროს განსავითარებლად), ხოლო საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე აშენებულ სახლებში არსებული ბინებისა — ამ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სოციალური განვითარების ფონდებში და მოხმარდება საბინაო, კომუნალურ მშენებლობას, საბინაო ფონდის რემონტსა და რეკონსტრუქციას.

13. საცხოვრებელი სახლების (ბინების) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი დამოწმდება ნოტარიულად და რეგისტრაციაში გატარდება 3 თვის ვადაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში.

14. ნაყიდი სახლის ან ბინის სამართლებრივი რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, სააგარაკო და საკურორტო დასახლებებში ნაგებობათა რეგისტრაციის წესის შესახებ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის, აგრეთვე სააღრიცხვო დოკუმენტაციის ტიპობრივი ფორმებით საბინაო ფონდის რეგისტრაციის ჩატარების წესის შესახებ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკიური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად (ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტები აქვთ სახელმძღვანელოდ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ტექნიკური აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ყველა ბიუროში).

15. საცხოვრებელი სახლი ან ბინა გადადის მოქალაქის პირად საკუთრებაში მას შემდეგ, რაც გადაიხდის გასაყიდ ღირებულებას ან მის ნაწილს დაწესებული შეღავათების თანახმად ნაწილ-ნაწილ ანაზღაურებისას. უკანასკნელ შემთხვევაში მოქალაქეს უფლება არა აქვს გაასხვისოს საცხოვრებელი სახლი ან ბინა (გაყიდვა, ჩუქება, გაცვლა, ანდერძით დატოვება და სხვ.) საცხოვრებელი სახლის ან ბინის მთლიანი ღირებულების გადახდამდე.

16. შეძენილი ბინის ფლობის, სარგებლობისა და გამგებლობის უფლება ხორციელდება მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ფლობის, სარგებლობისა და გამგებლობის ანალოგიურად.

17. საჩივრები მოქალაქეთა მიერ სახლების ან ბინების პირად საკუთრებაში შეძენის საკითხებზე, აგრეთვე ასეთი სახლების ან ბინების ფლობასთან, სარგებლობასა და გამგებლობასთან დაკავშირებული დავა განიხილება დადგენილი წესით.

18. მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული ბინის მემკვიდრეობით მიღება ხორციელდება საერთო საფუძველზე.

19. ინდივიდუალურ მფლობელთა ბინების ექსპლუატაცია და რემონტი ხორციელდება ბინის (სახლის) მფლობელის სახსრების ხარჯზე სახლების ექსპლუატაციისა და რემონტის ერთიანი წესებისა და ნორმების სავალდებულო დაცვით, სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლებისათვის განსაზღვრული პირობების მიხედვით.

20. საცხოვრებელი სახლების (სექციების, ბინების) ტექნიკურ მომსახურებას ეწევიან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები ინდივიდუალურ ბინათმფლობელთა ამხანაგობებთან ან ცალკეულ მოქალაქეებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

21. ბინათმფლობელნი დაკავებული ფართობის შესაბამისად მონაწილეობენ მთელი სახლის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტთან, მათ შორის კაპიტალურ რემონტთან, დაკავშირებულ საერთო ხარჯებში.

22. საცხოვრებელი სახლის (სექციის, ბინის) ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებენ ბინათმფლობელნი სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების მომსახურებისა და რემონტისათვის დაწესებული განაკვეთებისა და პირობების მიხედვით.

23. სახლების გათბობის, ელექტროენერგიით, გაზით, წყალმომარაგებითა და კანალიზაციით უზრუნველყოფის ხარჯებს ანაზღაურებენ ბინათმფლობელნი სახელმწიფო საბინაო ფონდისათვის დაწესებული ტარიფების მიხედვით.

24. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელ სახლებში მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული ბინებით მათი მფლობელნი სარგებლობენ საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 29 აგვისტოს № 581 დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ

რესპუბლიკაში მიწების გამოყენებისა და დაცვის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გამოიყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისაგან მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველო, დაექვემდებაროს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ეწოდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველო.

2. გამოიყონ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებისაგან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების აგროსამრეწველო გაერთიანებებისაგან მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის სამსახურები და დაექვემდებაროონ ისინი შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

ეს სამსახურები ერთდროულად დაექვემდებაროონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს.

3. გამოიყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისაგან საქართველოს სსრ მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი და დაექვემდებაროს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს.

4. რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მიწების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია განახორციელოს ახლად შექმნილმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარმა სამმართველომ, მანვე შეასრულოს სახელმწიფო ბიუჯეტით ახალი მიწების ათვისების, კაპიტალური ნაპირგამაგრების, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა და მიწათმოწყობის საპროექტო სამუშაოთა დაგეგმვა, შესრულებულ სამუშაოთა კონტროლი და მიღება. ამასთან დაკავშირებით გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის განყოფილებიდან და ბუნების დაცვის სამმართველოდან ორ-ორი საშტატო ერთეული.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტით მიწათმოწყობისათვის გამოყოფილი თანხები და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდების ლიმიტები, მოყოლებული 1990 წლიდან, ყოველწლიურად გამოუყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან არსებულ მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს აგროსამრეწველო კომპლექსისათვის გათვალისწინებული ლიმიტებისა და სახსრების ხარჯზე.

6. მიწათმოსარგებლეებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე ეროზიის საწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებათა სამუშაოების შესრულება დაევალოთ:

— ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისა — გაერთიანება „საქწყალმშენს";

— მარტივი აგროტექნიკური, დატერასების, რეკულტივაციის, ეროზირებული ფართობების გატყევებისა და სხვა სამუშაოთა შესრულება — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მექანიზებულ კოლონებსა და შესაბამის რაიონულ სამსახურებს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა გამოუყოს 1990 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები დასაბუთებული განაცხადის თანახმად, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1991 წლიდან მისთვის მასალების, მოწყობილობის, ტექნიკის, ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტსა და მთავარ სამმართველოს შორის გაყოფის უწყისის საფუძველზე.

8. საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა გამოუყოს 1990 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს საჭირო მასალები, ინვენტარი, მოწყობილობა, ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებანი, მისი განაცხადის თანახმად.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ახლად შექმნილ მთავარ სამმართველოსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიწათმოწყობის სამსახურების სტრუქტურა და მათი შენახვისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები.

10. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა პირველ რიგში მიჰყიდონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს მიწათმოწყობის სპეციალისტებს მსუბუქი ავტომობილები.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარმა სამმართველომ ერთი თვის ვადაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოამზადოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველად მთავარი სამმართველოს დებულების პროექტი.

12. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა წარმოადგინოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოსათვის შესაბამისი სამუშაო ფართობის გამოყოფის შესახებ.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში არიან აყვანილი საცხოვრებელი ბინების მიღების აღრიცხვაზე, შეუნარჩუნდეთ ბინის მიღების უფლება ამ კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა თანაბარი უფლებით და ისინი კომიტეტმა დააკმაყოფილოს არსებული წესების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 იანვარი, № 43

19 რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების წარჩინებულ მოსწავლეთათვის ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის წინადადება და დაწესდეს ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია წინამძღვრიშვილის სახელობის ორი სტიპენდია რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების წარჩინებული მოსწავლეებისათვის, თითოეული 80 მანეთის ოდენობით, აღნიშნული პროფილის ტექნიკუმებისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 იანვარი, № 45

მუზ. 20 ეროვნული ბიბლიოთეკა

20 საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ გამგეობის შუამდგომლობა და რეგისტრირებულ იქნეს საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ პირველი დამფუძნებელი ყრილობის მიერ 1989 წლის 9 დეკემბერს დამტკიცებული წესდება (ოქმი № 1), შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 იანვარი, № 46

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 29 იანვრის № 46
დადგენილებით

საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“

ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ (შემდგომ საზოგადოება „რაჭა“) თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე დამყარებული საქველმოქმედო ნებაყოფლობითი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და მოცემული წესდების საფუძველზე.

2. საზოგადოება „რაჭა“ თავის საქმიანობაში იზიდავს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს, იყენებს მათს უნარსა და შესაძლებლობებს წესდებით გათვალისწინებული საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

3. საზოგადოება „რაჭა“ თავისი ფუნქციების შესაბამისად ფართოდ თანამშრომლობს სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებთან.

II. საზოგადოება „რაჭის“ ძირითადი მიზნები და ამოცანები

საზოგადოება „რაჭის“ ძირითადი მიზნებია:

აქტიურად იღვაწოს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის რაჭის გამჩანაგებელი პროცესის — მიგრაციის — შესაჩერებლად, ხელი შეუწყოს რაჭის მოსახლეობის ზრდის დაჩქარებასა და მათს ადგილზე დამკვიდრებას, იზრუნოს რაჭის ეკოლოგიური სიწმინდისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების აღდგენა-მოვლისათვის, მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს რესპუბლიკის გარეთ, უწინარეს ყოვლისა, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასთან, დაეხმაროს მათ საქართველოდან ინფორმაციის მიღებაში, იღვაწოს სამშობლოში მათი დაბრუნებისათვის.

III. საზოგადოება „რაჭის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობა

1. საზოგადოება „რაჭის“ უმაღლესი ორგანოა ყრილობა.

2. საზოგადოების მუშაობას ყრილობებს შორის პერიოდში წარმართავს ყრილობის მიერ არჩეული გამგეობა.

3. საზოგადოების ყრილობა იმართება ყოველწლიურად. მისი მოწვევის შესახებ წევრებს ეცნობება არა უგვიანეს ერთი თვით ადრე.

4. ყრილობებს იწვევს საზოგადოების გამგეობა, რომელიც წყვეტს ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

5. საზოგადოება შედგება ტერიტორიული პრინციპით ჩამოყალიბებული რეგიონალური ორგანიზაციებისაგან.

6. საზოგადოების ყრილობა:

ა) ისმენს და ამტკიცებს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებებს და ანგარიშებს, განსაზღვრავს მათს მორიგ ამოცანებს;

ბ) განიხილავს და ხმის უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს საზოგადოების წესდებას, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მასში სათანადო ცვლილებანი;

გ) განსაზღვრავს საზოგადოების გამგეობის რაოდენობას და ირჩევს პირდაპირი, ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით საზოგადოების გამგეობას, საზოგადოების თავმჯდომარეს და მის სამ თანათავმჯდომარეს, აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარესა და ერთ თანათავმჯდომარეს;

დ) განიხილავს და წყვეტს საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხებს.

7. საზოგადოების წევრებს, მათი მესამედის მოთხოვნით, უფლება აქვთ მოიწვიონ რიგგარეშე ყრილობა.

8. საზოგადოების გამგეობა:

ა) ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმიანობას ყრილობებს შორის პერიოდში;

ბ) ადგენს და ამტკიცებს სამუშაო გეგმებს, იღვწის ამ გეგმების შესასრულებლად;

გ) ქმნის ფულად ფონდს და განსაზღვრავს მისი გამოყენების წესს;

დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს ცალკეულ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვას და ამოწმებს მის შესრულებას;

ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს საზოგადოების სტრუქტურასა და მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, ქმნის მართვის აპარატს და წყვეტს მისი შენახვის საკითხს;

ვ) გამოსცემს საზოგადოების ბეჭდვით ორგანოს. აარსებს სხვადასხვა სახის სტუდიებს დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საზოგადოების ემბლემის, ბეჭდის, შტამპის, ბლანკებისა და სხვა ნიმუშებს;

თ) ყველა დოკუმენტს საზოგადოების სახელით ხელს აწერს თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე;

ი) თავმჯდომარე და თანათავმჯდომარეები საზოგადოების წარმომადგენლები არიან ყველა სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში და უფლება აქვთ გამოვიდნენ საზოგადოების სახელით ყველა რანგის დაწესებულებაში.

9. საზოგადოების სარევიზიო კომისია:

ა) ახორციელებს ფულადი და სხვა მატერიალური სახსრების ხარჯვის რევიზიას და შედეგებს მოახსენებს საზოგადოების ყრილობას;

ბ) სარევიზიო კომისიის წევრებს უფლება აქვთ დაესწრონ გამგეობის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით;

ვ) სარევიზიო კომისიის სხდომების მოწვევის ვადებს განსაზღვრავენ კომისიის წევრები.

IV. საზოგადოება „რაჭის“ წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

1. საზოგადოება „რაჭის“ წევრი შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეროვნებისა, სქესისა, რწმენისა, სოციალური მდგომარეობისა და რასისა, რომელიც აღიარებს მის წესდებას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალურად ეხმარება მას. ამ საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს აგრეთვე წარმოება-დაწესებულება და ორგანიზაცია.

2. საზოგადოების წევრი უფლებამოსილია:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების ყველა ორგანოში;

ბ) დააყენოს საზოგადოების მუშაობის ესა თუ ის საკითხი და მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხების განხილვაში;

გ) საზოგადოების შტატიანი ან დაქირავებული წევრი სარგებლობს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

3. საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) მატერიალურად დაეხმაროს საზოგადოებას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში;

ბ) აქტიურად დაეხმაროს საზოგადოებას წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაში;

გ) საზოგადოების წევრი, რომელიც დაარღვევს აღნიშნულ მოთხოვნებს გაირიცხება საზოგადოებიდან.

V. საზოგადოება „რაჭის“ ფულადი სახსრები, მათი გამოყენების წესი

1. საზოგადოება „რაჭის“ ფულადი სახსრებია:

ა) საზოგადოების წევრთა შენატანები;

ბ) დაწესებულებათა და კერძო პირთა შემოწირულობანი;

გ) მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვადასხვა საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

2. საზოგადოება და მისი გამგეობა იღწვის ხალხური რეწვისა და ხელოსნობის მივიწყებული ან მივიწყებამდე მისული დარგების აღდგენა-აღორძინებისათვის, რეგიონის ბუნებრივი რესურსების გონივრულად და ფართოდ გამოყენებისათვის, მოსახლეობის სრული დასაქმებისა და სოფლების სოციალური განვითარებისათვის, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის გადაწყვეტილებებით, არსებული წესის შესაბამისად, ხელს უწყობს რაჭის სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში საწარმოების, სახელოსნოების, კოოპერატივების, მოჯარეთა ორგანიზაციებისა (მათ შორის საზღვარგარეთის ფირმების მონაწილეობით) და სხვა კანონით ნებადართული ორგანიზაციების შექმნას.

3. საზოგადოება „რაჭა“ ფუნქციონირებს თვითმმართველობისა და სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით.

4. საზოგადოება საკუთარ სახსრებს, მათი წარმოშობის წყაროს მიუხედავად, იყენებს საჭიროებისამებრ, გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

5. საზოგადოება „რაჭის“ სახსრებს განაგებს მისი გამგეობა, ხოლო უშუალო განმკარგულებლები არიან საზოგადოების თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. საზოგადოება „რაჭის“ იურიდიული სტატუსი

საზოგადოება „რაჭა“ არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი ბეჭედი საზოგადოების ემბლემით, შტამპი, საკუთარი ემბლემა და ანგარიშსწორების ანგარიში სახელმწიფო ან სხვა ბანკში.

VII. საზოგადოება „რაჭის“ წესდების მიღებისა და რეგისტრაციის წესი

1. საზოგადოება „რაჭის“ დამფუძნებელი ყრილობის მიერ დამტკიცებული წესდება ერთი თვის განმავლობაში წარედგინება სარეგისტრაციოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. წესდებაში დამატებები და ცვლილებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანხმობით შეაქვს საზოგადოების ყრილობას.

VIII. საზოგადოება „რაჭის“ ლიკვიდაციის წესი

1. საზოგადოება „რაჭა“ თავის საქმიანობას წყვეტს საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით, ხმის უბრალო უმრავლესობით.

2. საზოგადოების გაუქმების შემთხვევაში მისი დარჩენილი ქონების განკარგვის უფლება ეძლევა ყრილობის მიერ არჩეულ სალიკვიდაციო კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სსრ პოლიტოლოგთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 იანვარი, № 49

მუზ 21
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 29 იანვრის № 49 დადგენილებით

საქართველოს სსრ პოლიტოლოგთა ასოციაციის

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ პოლიტოლოგთა ასოციაცია (შემდგომ „ასოციაცია") ნებაყოფლობითი სამეცნიერო საზოგადოებაა, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად და აერთიანებს პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით დაკავებულ პირებს. ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

2. ასოციაცია ახორციელებს რესპუბლიკაში პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციას.

3. ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეოანგარიშიან საზოგადოებრივ ორგანიზაციას და ამ სტატუსით არის პოლიტოლოგთა საკავშირო და საერთაშორისო ასოციაციის წევრი, მონაწილეობს მისი ორგანოების მუშაობაში, აგრეთვე პოლიტიკური მეცნიერების პრობლემებზე მოწყობილ საკავშირო და საერთაშორისო კონგრესებში, კონფერენციებში სიმპოზიუმებსა და თათბირებში.

II. ასოციაციის ძირითადი ამოცანები

ასოციაციის ძირითადი ამოცანებია:

1. აწარმოოს სახელმწიფო წყობილების, ხელისუფლების ფორმების, პოლიტიკური ორგანიზაციების, მათი როლისა და ფუნქციების, მთლიანად საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური თეორიის, პოლიტიკური აზრის ისტორიის, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საარჩევნო სისტემების აქტუალური პრობლემების, მსოფლიო პოლიტიკური სისტემების განვითარების კანონზომიერებათა, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, საერთაშორისო თანამშრომლობის პრობლემების პოლიტიკური ასპექტების კვლევა და განზოგადება.

2. მონაწილეობა მიიღოს კომპლექსური საინსტიტუტთაშორისო და საერთაშორისო კვლევითი კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებასა და მუშაობაში.

3. ხელი შეუწყოს პოლიტიკურ მეცნიერებათა პრობლემების მეცნიერული კვლევის შედეგების შეგროვებას, აგრეთვე საინფორმაციო მასალების მომზადებას, გამოქვეყნებასა და გავრცელებას.

4. გააცნოს საბჭოთა და უცხოეთის საზოგადოებრიობას საქართველოს სს რესპუბლიკაში, პოლიტიკის აქტუალური პრობლემების კვლევის შედეგები.

5. ხელი შეუწყოს პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგების მკვლევართა მომზადებას, მეცნიერ სპეციალისტთა შორის ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას.

6. ხელი შეუწყოს პოლიტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქმიანობას, განამტკიცოს სამეცნიერო კავშირი ეროვნულ ასოციაციებთან.

7. ასოციაციის ამოცანებთან დაკავშირებული სამეცნიერო და ორგანიზაციული საკითხების განხილვის მიზნით მოაწყოს საერთო კრებები, ასოციაციის გამგეობის სხდომები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები და სკოლები.

8. შექმნას ასოციაციის საქალაქო, რაიონული და საოლქო განყოფილებები, პირველადი ჯგუფები და კომისიები, უხელმძღვანელოს და კოორდინაცია გაუწიოს მათს საქმიანობას.

9. დადგენილი წესით გამოაქვეყნოს ასოციაციის ყოველწლიურები, სადაც თავმოყრილი იქნება სტატიები სამეცნიერო კვლევის შედეგებზე, აგრეთვე საინფორმაციო მასალები.

10. გააუმჯობესოს ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიის, მეცნიერული სოციალიზმის, სამართალმცოდნეობის, ფსიქოლოგიის, ეთიკისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგებში ჩატარებული და ჩასატარებელი პოლიტიკური გამოკვლევების კოორდინაცია.

11. რეგულარულად გაცვალოს ინფორმაციები და ითანამშრომლოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვა ასოციაციებთან და სამეცნიერო საბჭოებთან, სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

12. დაუგზავნოს რეკომენდაციები სამეცნიერო გამოკვლევების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და პუბლიკაციის საკითხებზე სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზაციებსა და გამომცემლობებს.

13. წარადგინოს სამეცნიერო შრომები პოლიტიკის პრობლემებზე საქართველოს სსრ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ კონკურსებზე.

14. დაამყაროს სამეცნიერო კავშირი პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში მომუშავე უცხოელ მეცნიერებთან, აგრეთვე შესაბამის საერთაშორისო და ეროვნულ ასოციაციებთან და გაუცვალოს მათ ინფორმაციები.

III. ასოციაციის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

1. ასოციაცია შედგება კოლექტიური და ინდივიდუალური წევრებისაგან. ასოციაციის შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ საპატიო წევრები.

ასოციაციის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ სამეცნიერო დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლების კათედრები, სექტორები, ლაბორატორიები, სასწავლო დაწესებულებები, რედაქციები და პოლიტიკური პროფილის გამომცემლობები.

ასოციაციის ინდივიდუალური წევრები შეიძლება იყვნენ საქართველოს სსრ მოქალაქეები, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით, პედაგოგიურ და პროპაგანდისტულ მუშაობას პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგებში, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგების მაღალი კურსის სტუდენტები და ასპირანტები.

ასოციაციის წევრებად მიღება ხდება ასოციაციის გამგეობის მიერ:

კოლექტიურ წევრებს მიიღებენ აძის შესახებ დაწესებულებათა (ორგანიზაციების) ხელმძღვანელების წერილობითი თხოვნის საფუძველზე, ინდივიდუალურ პირებს — პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ასოციაციის წევრები იხდიან შესასვლელ და წლიურ საწევრო გადასახადებს.

შესასვლელი და წლიური გადასახადების ვადებს, თანხას და გადახდის წესს ადგენს ასოციაციის გამგეობა.

2. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

— აირჩიოს და იქნეს არჩეული ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში;

— მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთო კრებების, სამეცნიერო კონფერენციების სიმპოზიუმების, სემინარების, სკოლების მუშაობაში, აგრეთვე გამგეობის სხდომებში;

— არსებული წესის შესაბამისად გამოაქვეყნოს სამეცნიერო შრომები;

— თავის შრომებში გამოიყენოს ასოციაციის მიერ მომზადებული სამეცნიერო და საინფორმაციო მასალები;

— მიიღოს გამგეობის მიერ დადგენილი ნიმუშის საწევრო ბილეთები.

3. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

— დაიცვას წესდება და შეასრულოს ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების დავალებები და გადაწყვეტილებები;

— მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემების მეცნიერულ დამუშავებაში;

— ხელი შეუწყოს პოლიტოლოგიური მეცნიერების დარგში მიღებული დასკვნების პრაქტიკაში დანერგვას.

4. ასოციაციის კოლექტიური წევრის დამატებითი უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს ასოციაციის გამგეობასა და კოლექტიურ წევრს შორის დადებული ხელშეკრულებით.

ასოციაციის წევრის მიერ წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ზომები, მათ შორის, ასოციაციიდან გარიცხვაც.

გარიცხვის გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა გამგეობის სხდომაზე დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. იგი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ასოციაციის საერთო კრების წინაშე, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

IV. ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი მართვა

1. ასოციაციის უმაღლესი ორგანოა მის წევრთა საერთო კრება, რომელიც ტარდება არანაკლებ ერთხელ წელიწადში. კრების ჩატარების დროსა და ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილს განსაზღვრავს, აგრეთვე დღის წესრიგსა და რეგლამენტს ადგენს გამგეობა.

2. ასოციაციის საერთო კრება:

— ისმენს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

— განიხილავს პოლიტოლოგიის აქტუალურ პრობლემებს;

— ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, გამგეობის წევრებს, აგრეთვე ასოციაციის სარევიზიო კომისიის წევრებს;

— გამგეობის რეკომენდაციით ირჩევს ასოციაციის საპატიო წევრებს;

— იღებს წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

— წყვეტს ასოციაციის საქმიანობის სფეროში შემავალ სხვა საკითხებს.

3. საერთო კრებებზე წარმომადგენლობის ნორმას და დელეგატების არჩევის წესს განსაზღვრავს ასოციაციის გამგეობა.

4. ასოციაციის საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრით, მოცემულ წესდებაში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

5. საერთო კრებებს შორის პერიოდში ასოციაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს საერთო კრების მიერ 3 წლის ვადით არჩეული ასოციაციის გამგეობა.

6. ასოციაციის გამგეობა:

— ასრულებს ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებებს და ხელმძღვანელობს ყველა მისი ქვეგანყოფილების საქმიანობას;

— განიხილავს და ამტკიცებს მუშაობის წლიურ გეგმას, შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთაღრიცხვას, ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ;

— აყალიბებს ასოციაციის საოლქო, საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს, დარგობრივ სექციებს, პოლიტოლოგიის ცალკეული საკითხების გამომკვლევ პრობლემურ ჯგუფებს და განსაზღვრავს მათი საქმიანობის საერთო წესს;

— განიხილავს ასოციაციის წევრების მიერ მომზადებულ სამეცნიერო მოხსენებებს და აცნობს ასოციაციას პოლიტიკურ მეცნიერებათა აქტუალურ პრობლემებს;

— ამტკიცებს ასოციაციის საქმიანობის საკოორდინაციო გეგმებს;

— ახორციელებს კავშირებს პოლიტოლოგთა საერთაშორისო და ეროვნულ ასოციაციებთან, მათთან ერთად აწყობს ერთობლივ ღონისძიებებს;

— ამტკიცებს ასოციაციის ძირითად ბეჭდვით ორგანოს — ყოველწლიურის და ასოციაციის სხვა გამომცემლობების სარედაქციო კოლეგიების წევრებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას;

— პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის მდივანს;

— ამზადებს და ასოციაციის საერთო კრებას წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

— ახორციელებს ასოციაციის კოლექტიური და ინდივიდუალური წევრების მიღებას.

7. გამგეობის სხდომა ტარდება არანაკლებ 6-ჯერ წელიწადში. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით.

8 .ასოციაციის პრეზიდენტი ახორციელებს ასოციაციის, მისი გამგეობის და სხვა ქვეგანყოფილებების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

პრეზიდენტი ითვლება პოლიტოლოგთა ასოციაციის წარმომადგენლად, მისი ინტერესების გამომხატველად სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, პოლიტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციაში.

9. მოვალეობების განაწილებას ვიცე-პრეზიდენტსა და გამგეობის წევრებს შორის ამტკიცებს ასოციაციის გამგეობა.

10. ასოციაციის მდივანი ორგანიზაციას უწევს გამგეობისა და საერთო კრების მოწვევას, ხელმძღვანელობს ასოციაციის აპარატის მუშაობას. იგი უზრუნველყოფს ასოციაციის განყოფილებების საქმიანობის კოორდინაციას და პასუხს აგებს მისი სამეცნიერო-საინფორმაციო მასალების პუბლიკაციებისათვის.

11. ადგილებზე მუშაობის ორგანიზაციის მიზნით ასოციაციის გამგეობა აყალიბებს საოლქო, საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნიან ასოციაციის პირველად ჯგუფებს.

12. საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების შესაქმნელად აუცილებელია აღნიშნულ ტერიტორიაზე (ოლქი, ქალაქი, რაიონი) მცხოვრები არანაკლებ 25 წევრის გაერთიანება ასოციაციაში.

13. ასოციაციის სარევიზიო კომისიას ირჩევენ ასოციაციის საერთო კრებაზე კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, წევრებს.

14. სარევიზიო კომისია ახორციელებს ზედამხედველობას ასოციაციის წესდების დაცვისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, რევიზიის შედეგებს წელიწადში ერთხელ მოახსენებს ასოციაციის საერთო კრებას. კომისიის გადაწყვეტილებებს იღებენ კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

V. ასოციაციის ფულადი სახსრები

1. ასოციაციის ფულადი სახსრები იქმნება:

— ინდივიდუალური შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შენატანისაგან;

— საგამომცემლო საქმიანობით მიღებული შემოსავლისაგან;

— სხვა შემოსავლებისაგან.

2. ასოციაციის ფულადი სახსრების გამოყენების წესს განსაზღვრავს ასოციაციის გამგეობა.

3. ასოციაციის (განყოფილების) შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს ასოციაციის გამგეობა (განყოფილების ბიურო).

4. ასოციაციის ხელშეკრულებებს, ვალდებულებებს, მინდობილობებს, ფინანსურ დოკუმენტებს ხელს აწერს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი. განყოფილებებში — ბიუროს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. ასოციაციის სტატუსი და უფლებრივი მდგომარეობა

1. ასოციაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს;

2. ასოციაციას აქვს ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდების მითითებით, ანგარიში სახელმწიფო ბანკში;

3. ასოციაციის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების ადგილსამყოფელს ადგენს ასოციაციის გამგეობა.

VII. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს საერთო კრების გადაწყვეტილებით ან მთავრობის დადგენილებით.

2. ასოციაციის ადგილობრივი განყოფილებები უქმდება ასოციაციის საერთო კრების დადგენილებით. გაუქმებული ადგილობრივი ორგანიზაციის ქონება და ფულადი სახსრები გადადის ასოციაციის გამგეობის განკარგულებაში.

22 საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ — წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ — წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 31 იანვარი, № 51

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 31 იანვრის № 51
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ შესახებ

I. ზოგადი დებულება

არჩევნების დემოკრატიულად და საჯაროდ ჩატარების ხელშემწყობი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ (შემდგომ „დას“-ი) — წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითს გაერთიანებას, რომლის ძირითადი მიზანია მოსახლეობის პოლიტიკური აქტიურობის ზრდის საფუძველზე ხელი შეუწყოს კონსტიტუციით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი ხელისუფლების ისეთი ორგანოების ფორმირებას, რომლებიც შესძლებენ ხალხის ნების დაფუძნებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

დას-ი ხელისუფლების ერთადერთ სამართლიან ფორმად აღიარებს წარმომადგენლობითს ხელისუფლებას.

დას-ი ხელმძღვანელობს დემოკრატიული პრინციპებით, უზრუნველყოფს შეხედულებათა თავისუფლად გამოთქმას, მუშაობს კოლეგიალურად და განსხვავებულ აზრთა პატივისცემის საფუძველზე.

დას-ი მოქმედებს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

დას-ის ამოცანები

დას-ი ისახავს შემდეგ ამოცანებს:

1. გააქტიუროს საქართველოს მოსახლეობა საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

2. ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მოსახლეობაში კონსტიტუციური უფლებებისა და საარჩევნო კანონების ცოდნის გავრცელებას, აგრეთვე სახელმწიფოთმცოდნეობის სამართლებრივი საფუძვლებისა და დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურების განვითარების მსოფლიო ისტორიული გამოცდილების გაცნობას.

3. ყველა დაინტერესებულ ამომრჩეველთან, სახალხო დეპუტატთან, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციასთან და ორგანოსთან ურთიერთობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კონტროლი საარჩევნო კამპანიისა და თვით არჩევნების კანონიერად ჩატარებისადმი.

4. ქმედითი მონაწილეობა მიიღოს ყველა დონის საარჩევნო კომისიის მუშაობაში.

5. მონაწილეობა მიიღოს ყველა დონის წინასაარჩევნო კრებების მომზადებასა და ჩატარებაში, უზრუნველყოს არჩევნების პროცესუალური მხარეების საზოგადოებრივი კონტროლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სისტემატურად ადევნოს თვალყური და ხელი შეუწყოს დეპუტატობის კანდიდატთა და ამომრჩეველთა ურთიერთობას.

7. ხელი შეუწყოს ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

8. ხელი შეუწყოს ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობას საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწაში.

დას-ის წევრი

9. დას-ის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს „დას"ის წესდებას და მონაწილეობს ორგანიზაციის საქმიანობაში.

10. დას-ის წევრის მუშაობის ძირითადი პრინციპებია მოხალისეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.

დას-ის სტრუქტურა

11. დას-ის ძირითადი შემადგენელი ერთეულია პირველადი ჯგუფი, რომელიც იქმნება წარმოება-დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მეზობლებითს კავშირებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და სხვ.

12. პირველადი ჯგუფები ერთიანდებიან დას-ის რაიონულ რგოლებში, რომლებსაც ეკისრებათ პირველადი ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია.

13. რაიონული რგოლები შეიძლება გაერთიანდნენ საქალაქო და საოლქო რგოლებად საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით.

14. დას-ის უმაღლესი ორგანოა რწმუნებულთა ყრილობა, რომელსაც იწვევს დას-ის გამგეობა საჭიროების მიხედვით ან თუ ამას მოითხოვს რაიონული რგოლების არანაკლებ ერთი მეხუთედისა.

ყრილობებს შორის მაქსიმალური ხუალედი განისაზღვრება ორი წლით.

15. დას-ის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგირებულ რწმუნებულთა სულ ცოტა ორი მესამედი.

16. ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.

17. პირველადი ჯგუფებიდან ყრილობაზე დელეგირების ნორმებს ადგენს გამგეობა.

18. ყრილობა ირჩევს დას-ის გამგეობას და სარევიზიო კომისიას.

19. გამგეობის კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის სამი მეოთხედი მაინც.

20. გამგეობის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს გამგეობის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

21. გამგეობა უფლებამოსილია საჭიროების მიხედვით დამატებით შეიყვანოს თავის შემადგენლობაში წევრები, რომელთა რაოდენობა არ აღემატება ყრილობაზე არჩეულ წევრთა საერთო რაოდენობის ერთ მესამედს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. გამგეობა ახორციელებს რაიონული რგოლების მუშაობის კოორდინაციას და დას-ის საერთო ხელმძღვანელობას ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

23. გამგეობის წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, ხაზინადარს და გამგეობის მდივანს.

24. რაიონული, საქალაქო და საოლქო რგოლები თვითონ განსაზღვრავენ თავის სტრუქტურას დას-ის მუშაობის პრინციპების საფუძველზე.

25. დას-ის რაიონული, საქალაქო და საოლქო რგოლები, აგრეთვე დას-ის გამგეობა სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვს საკუთარი სახსრები, ბალანსი, მიმდინარე ანგარიში ბანკში, ბეჭედი, ბლანკი, შტამპი.

26. დას-ის სახსრები შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური შემოწირულებისაგან.

27. დას-ის სარევიზიო კომისია პერიოდულად აწარმოებს წინამდებარე წესდებასთან დას-ის გამგეობის, საოლქო, საქალაქო და რაიონული რგოლების მოქმედების შესაბამისობის შემოწმებას, აკონტროლებს დას-ის ფინანსურ საქმიანობას. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ დას-ის ყრილობის წინაშე.

28. მხოლოდ დას-ის ყრილობაა უფლებამოსილი შეიტანოს ცვლილებანი წინამდებარე წესდებაში ან მოახდინოს დას-ის საქმიანობის ლიკვიდაცია. ამისათვის საჭიროა, გადაწყვეტილებას მხარი დაუჭიროს რწმუნებულთა სამმა მეოთხედმა. რწმუნებულთა აზრი შეიძლება მიღებულ იქნეს წერილობითი ფორმითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ცვლილებების შეტანის შესახებ

სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების უფლებათა გაფართოების, მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოიხსნას საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და გადატანილ იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტებში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო სამმართველოს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებების ზღვრული რიცხოვნობა და შესანახი ხარჯები, მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიტანოს სათანადო ცვლილებანი 1990 წლის შესაბამის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 თებერვალი, № 56

24 საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების და მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დოკუმენტაციის დამტკიცების წესის შესახებ

„საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დოკუმენტაციის დამტკიცების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის № 468 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განისაზღვროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების და მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტრუქციის დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების შემდეგი წესი:

1. საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების და მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებებს შეიმუშავებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო საქართველოს სსრ საავტომობილო გზების ქსელის განვითარების რესპუბლიკური გენერალური სქემის შესაბამისად შედგენილი მშენებლობათა ნუსხის მიხედვით და შეუთანხმებს:

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — 10 მილიონი მანეთი და მეტი გაანგარიშებული ღირებულების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ნაწილში;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — 1 მილიონი მანეთიდან 10 მილიონ მანეთამდე გაანგარიშებული ღირებულების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების და 1 მილიონი მანეთი და მეტი გაანგარიშებული ღირებულების რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ნაწილში.

2. იმ მშენებლობათა ნუსხები, რომლებისთვისაც მუშავდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებანი და ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებანი, ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიები საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის მტკიცდება, თუ გაანგარიშებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა:

— 10 მილიონი მანეთი და მეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით და ეგზავნება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ცნობისათვის (საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნაწილში);

— 1 მილიონი მანეთიდან 10 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით;

— 1 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

3. საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახმშენის წარდგენით.

საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებანი მტკიცდება, თუ გაანგარიშებული ღირებულებაა:

— 10 მილიონი მანეთი და მეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ სახმშენის წარდგენით;

— 10 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

4. საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიები, მიუხედავად ობიექტების გაანგარიშებული ღირებულებისა, მტკიცდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

5. საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტები მტკიცდება ობიექტების მიხედვით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა:

— 10 მილიონი მანეთი და მეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ სახმშენის წარდგენით;

— 1 მილიონი მანეთიდან 10 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ;

— 1 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

6. საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების, მათი შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების შემადგენლობა მტკიცდება ობიექტების მიხედვით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა:

— 10 მილიონი მანეთი და მეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს წარდგენით;

— 1 მილიონი მანეთიდან 10 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ;

— 1 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 თებერვალი, № 57

25 საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 19 თებერვალი, № 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 19 თებერვლის № 66
დადგენილებით

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (სმმ) თვითმმართველობაზე დამყარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და თავისი წესდების შესაბამისად.

2. სმმ მიზნად ისახავს ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული გარემოს დაცვას, ბრძოლას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ეკოლოგიური ცოდნისა და ცნობიერების პროპაგანდას მასებში, ბუნებისადმი ტექნოკრატიულ-მომხმარებლური დამოკიდებულების აღმოფხვრას, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობას.

3. სმმ თავის სამოქმედო პრინციპად აცხადებს სრულ საჯაროობას, პლურალიზმს, აზრთა თავისუფალ გაცვლას, არაძალადობას.

4. სმმ არის იურიდიული პირი, გახსნილი აქვს თავისი ანგარიში ბანკში, გააჩნია ბლანკი, შტამპი საკუთარი სახელწოდებით და მრგვალი ბეჭედი ემბლემითა და წარწერით „მწვანეთა მოძრაობა“.

5. სმმ-ს აქვს თავისი დროშა, ემბლემა და სხვა სიმბოლოები, რომელთაც ამტკიცებს სმმ კონგრესი.

6. სმმ მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

II. სმმ-ს საქმიანობა

სმმ თავისი მიზნების მისაღწევად კანონით დადგენილი წესით:

— იღვწის კანონმდებლობის სრულყოფისათვის;

— მონაწილეობს ყველა დონის არჩევნებში;

— ხელს უწყობს შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულებას;

— იბრძვის იმ პირთა და უწყებათა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ზიანს აყენებენ საარსებო გარემოს;

— ახორციელებს სხვადასხვა სახის გეგმებისა და პროექტების საზოგადოებრივ ექსპერტიზას;

— ავრცელებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას საკუთარი პრესცენტრისა და ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით, თანამშრომლობს პრესასთან, ტელევიზიასა და რადიოსთან;

— აწყობს სიმპოზიუმებს, სემინარებს, საჯარო განხილვებს, გამოკითხვებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამყარებს კონტაქტებს უცხოეთის შესაბამის ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან;

— მართავს მიტინგებს, დემონსტრაციებს, პიკეტებს, მიმართავს პროტესტისა და აგიტაციის სხვა მშვიდობიან ფორმებს;

— თავისი ამოცანების შესრულებისათვის შეუძლია ისარგებლოს მუშაობის სხვა ფორმებითაც.

III. სმმ-ის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

1. სმმ შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან.

სმმ-ის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს და სხვა ქვეყნების ნებისმიერი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი 18 წლის ასაკიდან. გამონაკლისს შეადგენენ ის მოქალაქენი, რომელთა საქმიანობა ეწინააღმდეგება სმმ-ის წესდებას, მის მიზნებსა და ამოცანებს.

2. სმმ-ში შესვლის მსურველს იღებს პირველადი ორგანიზაცია ან რეგიონალური ორგანიზაცია და ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო პირადი განცხადების საფუძველზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოქალაქეებს მათი სურვილისა და განცხადების საფუძველზე აერთიანებს ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო.

3. სმმ-ის წევრს უფლება აქვს:

— აქტიური მონაწილეობა მიიღოს სმმ-ის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით, აირჩიოს ან არჩეულ იქნეს ამ ორგანოებში;

— სურვილისამებრ გავიდეს სმმ-ის რიგებიდან;

— ისარგებლოს სმმ-ის კუთვნილი ქონებით დადგენილი წესის შესაბამისად;

4. სმმ-ის წევრი ვალდებულია:

— ასრულებდეს სმმ-ს წესდებას, ახორციელებდეს სმმ-ის სამოქმედო პრინციპებს, პროპაგანდას უწევდეს ეკოლოგიურ მოძრაობას;

— სმმ-ის ხელმძღვანელი ორგანოების დავალებით ნებაყოფლობით საფუძველზე მოახდინოს მოქალაქეთა, წარმოება-დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის მობილიზაცია სმმ-ის წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად;

— უზრუნველყოს სმმ-ის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ყველა იმ საშუალებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს.

5. სმმ-ის ცენტრალურ საკოორდინაციო საბჭოსა და რეგიონალურ საკოორდინაციო საბჭოებს უფლება აქვთ გარიცხონ სმმ-ის რიგებიდან ის წევრები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხენ სმმ-ს და ეწინააღმდეგებიან მის მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე სამოქმედო პრინციპებს.

IV. სმმ-ის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

1. სმმ-ის სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ პირველადი და რეგიონალური (ან საქალაქო) ორგანიზაციები და საგანგებო სტატუსით მასთან შექმნილი სხვა გაერთიანებები.

2. თითოეული პირველადი ორგანიზაცია იქმნება არანაკლებ 3 წევრისაგან და თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და პასუხისმგებელ მდივანს, საჭიროებისამებრ ხელმძღვანელობს სხვა ორგანოებს.

3. რეგიონალური ორგანიზაცია, როგორც წესი, შედგება პირველადი ორგანიზაციებისაგან. რეგიონალური ორგანიზაციის მოქმედებას ადგილზე წარმართავს მისი შემადგენლობიდან არჩეული საკოორდინაციო საბჭო და თავმჯდომარე.

4. რეგიონალური ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოში შედიან მასში შემავალი პირველადი ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი, აგრეთვე არჩეული სმმ-ის წევრები (არჩეულ წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს რეგიონალური ორგანიზაცია).

5. რეგიონალური ორგანიზაცია მწვანეთა მოძრაობის სახელით მოქმედების უფლებას იძენს ცენტრალურ საკოორდინაციო საბჭოში რეგისტრაციის შემდეგ. პირველადი ორგანიზაცია რეგისტრაციას გადის ცენტრალურ საკოორდინაციო საბჭოში. პირველადი ორგანიზაციის შექმნისა და რეგისტრაციის შესახებ ცენტრალურ საკოორდინაციო საბჭოს დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის რეგიონალური საკოორდინაციო საბჭო.

6. სმმ-ის ხელმძღვანელი ორგანოებია სმმ-ის კონგრესი და სმმ-ის ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო, მთავარი აღმასრულებელი ორგანოა სმმ-ის ცენტრალური სამდივნო, სარევიზიო ორგანოა სმმ-ის სარევიზიო კომისია.

7. სმმ-ის კონგრესი წარმოადგენს სმმ-ის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს.

სმმ-ის კონგრესის დელეგატებს ირჩევენ რეგიონალური და ის პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან რომელიმე რეგიონალურ ორგანიზაციაში. ორგანიზაციებისაგან დელეგატთა რაოდენობას განსაზღვრავს ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის მიხედვით. დელეგატები შეიძლება იყვნენ აგრეთვე სმმ-ის ცალკეული წევრები, რომელთაც ასახელებს სმმ-ის ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო.

8. სმმ-ის კონგრესი მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.

9. სმმ-ის კონგრესი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორ მესამედზე მეტი.

10. სმმ-ის კონგრესი:

— ირჩევს ხმების უბრალო უმრავლესობით ორი წლის ვადით სმმ-ის სამ თავმჯდომარეს, სმმ-ის აღმასრულებელ მდივანს, პრესმდივანს, სწავლულ მდივანს, სარევიზიო კომისიის წევრებს და თავმჯდომარეს, ცენტრალურ საკოორდინაციო საბჭოს შვიდ არჩევით (არადელეგირებულ) წევრს;

— ისმენს, იხილავს და ამტკიცებს ცენტრალური საკოორდინაციო საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

— ამტკიცებს ცვლილებებსა და დამატებებს წესდებაში;

— განსაზღვრავს სმმ-ის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, მოქმედების მიმართულებებსა და ფორმებს;

— იხილავს სხვა საკითხებს თავისი შეხედულებისამებრ.

11. სმმ-ის ცენტრალურ საკოორდინაციო საბჭოში ერთიანდება ყოველი რეგიონალური ორგანიზაციის (ან საქალაქო ორგანიზაციის) თითო წარმომადგენელი და კონგრესის მიერ არჩეული სმმ-ის შვიდი წევრი.

12. სმმ-ის ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

13. ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო ხელმძღვანელობს სმმ-ის საქმიანობას კონგრესის სხდომებს შორის და იკრიბება თვეში ერთხელ მაინც.

14. ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო იწვევს კონგრესის სხდომებს. ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს კონგრესის რიგგარეშე სხდომა. კონგრესის რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს ნებისმიერი პირველადი ან რეგიონალური ორგანიზაციისაგან და სხდომა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ორგანიზაციის ნახევარზე მეტი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო ვალდებულია ამ ინიციატივის შესახებ შეატყობინოს ყველა პირველადს ორგანიზაციას.

15. ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო, მის სხდომებს შორის კი სამი თავმჯდომარე:

— იხილავს და ამტკიცებს სამდივნოს ანგარიშს აღმასრულებელი აპარატის შემადგენლობისა და მუშაობის, სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფების შექმნის, სამეურნეო და სხვა საქმიანობის შესახებ;

— იღებს მიმართვებს, დეკლარაციებს, დადგენილებებსა და სხვა საპროგრამო დოკუმენტებს.

16. უმაღლეს წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს სმმ-ის ცენტრალური საკოორდინაციო საბჭოს სამი თანათავმჯდომარე.

17. სმმ-ის ცენტრალურ სამდივნოში შედიან აღმასრულებელი მდივანი, სწავლული მდივანი და პრესმდივანი, ისინი ასრულებენ უმაღლეს აღმასრულებელ ფუნქციას, თავიანთი შეხედულებისამებრ, ცენტრალურ საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით, ირჩევენ აღმასრულებელი აპარატის შემადგენლობას, აყალიბებენ სპეციალიზებულ სამუშაო ჯგუფებს, წარმართავენ სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობას. აღმასრულებელი მდივანი, სწავლული მდივანი და პრესმდივანი არიან ცენტრალური საკოორდინაციო საბჭოს წევრები ხმის უფლების გარეშე.

18. სმმ თავის გარემოს დაცვის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სმმ-ის მრჩეველთა საბჭოს (ეკოლოგიური ასოციაციის) რეკომენდაციებით. მრჩეველთა საბჭო აერთიანებს მეცნიერებს, ექსპერტებს, სხვა კომპეტენტურ პირებს, რომელთა პოზიცია არ ეწინააღმდეგება მწვანეთა მოძრაობის ძირეულ პრინციპებს. მრჩეველთა საბჭო (ეკოლოგიური ასოციაცია) თავისი რიგებიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ახორციელებს მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლობით ფუნქციას და არის ცენტრალური საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

19. სმმ-ის სარევიზიო კომისია პერიოდულად კონტროლს უწევს პირველადი და რეგიონალური ორგანიზაციების, აღმასრულებელი აპარატის სამე-

ურნეო და საფინანსო საქმიანობას. სარევიზიო კომისია ანგარიშს აბარებს კონგრესს და საჭიროების შემთხვევაში — ცენტრალურ საკოორდინაციო საბჭოს.

V. სმმ-ს სახსრები

1. სმმ-ის საფინანსო სახსრებია:

— სმმ-ში ინდივიდუალურად შესასვლელი თანხა (5 მანეთი) და ყოველწლიური საწევრო შესატანი (10 მანეთი), კოლექტიური წევრების გადასახადი (საწევრო შესატანს არ იხდიან სკოლის მოსწავლეები, რიგითი ჯარისკაცები და სმმ-ის საპატიო წევრები);

— სპონსორთა შესატანები;

— სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

— ნებაყოფლობითი შეწირულობანი კერძო პირთაგან და ორგანიზაციებისაგან.

2. სმმ-ის სახსრებისა და ხარჯვის კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია.

3. სმმ-ის ფულადი სახსრები ხმარდება მხოლოდ მისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებას და გამოიყენება იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს ცენტრალური საკოორდინაციო საბჭო.

4. სმმ-ის საქმიანობა შეწყდება კონგრესის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

5. სმმ-ის კონგრესი ქმნის სალიკვიდაციო კომისიას, რომლის საქმიანობას საფუძვლად უდევს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიკვიდაციის წესი.

6. სმმ-ის ცენტრალური საკოორდინაციო საბჭოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

*

* *

წესდება მიღებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობის (ეკოლოგიური ასოციაციის) საორგანიზაციო კონფერენციის მიერ 1989 წლის 12 მაისს ქ. თბილისში.

26 საქართველოს უ-შუს ფედერაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს უ-შუს ფედერაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 19 თებერვალი, № 67

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 19 თებერვლის № 67
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს უ-შუს ფედერაციის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს უ-შუს ფედერაცია (შემდგომ „ფედერაცია") არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მოქმედი სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპით. ფედერაცია იქმნება გამაჯანსაღებელი და სპორტული უ-შუს განვითარებისა და გავრცელების მიზნით და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად. ფედერაცია მოქმედებს დემოკრატიულ საწყისებზე და თავის მუშაობაში უ-შუს წამყვანი სპეციალისტების, მწვრთნელების, მსაჯების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ინფორმაციის მასობრივი საშუალებების ჩაბმით ხელს უწყობს უ-შუს შემდგომ განვითარებას საქართველოში;

2. საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის ინტერესებს ამ სახეობაში წარმოადგენს მხოლოდ ფედერაცია.

3. ფედერაცია წარმართავს, კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს უ-შუს რეგიონალური, საქალაქო და რაიონული სექციების, სპორტული ბაზებისა და საზოგადოებების, კოოპერატივების და კლუბების მუშაობას, აძლევს რეკომენდაციებს სასწავლო-საწვრთნელ პროცესებზე და მეთოდურ მუშაობაში.

4. ფედერაცია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სპორტსახკომთან, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

II. ფედერაციის ამოცანები

ფედერაციის მთავარი ამოცანებია:

1. უ-შუს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში, სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლება, მწვრთნელთა, ინსტრუქტორთა და მსაჯთა კადრების მომზადება.

2. ჩემპიონატების, პირველობების, სემინარების, ფესტივალებისა და სპორტული სანახაობების მომზადება და ჩატარება, საკლუბო და რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ჩამოყალიბება, მონაწილეობის მიღება საერთაშორისო რანგის ღონისძიებებში.

3. სპორტის ამ სახეობაში საქართველოს მოსახლეობის მასობრივი მოზიდვა და სისტემატური მეცადინეობების ჩატარება.

III. ფედერაციის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

1. საქართველოს უ-შუს ფედერაციის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს უ-შუს ხელოვნებასთან და მონაწილეობს ფედერაციის მუშაობაში.

2. ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს როგორც კერძო პირი, ისე სპორტსმენთა საზოგადოება (კლუბი, სკოლა და ა. შ.), სპორტსმენთა საზოგადოების წევრებისათვის დასაშვებია ფედერაციაში მონაწილეობის ორი წესი:

ა) წევრები ფედერაციაში შედიან საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად;

ბ) კოლექტივი ფედერაციაში შედის ერთობლივად, როგორც ერთი წევრი და ფედერაციის მუშაობაში მონაწილეობს რწმუნებულების მეშვეობით.

3. ფედერაციის წევრის მოვალეობაა: აღიარებდეს წინამდებარე წესდებას, იხდიდეს საწევრო გადასახადს ყოველთვიურად, ასრულებდეს ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

4. ფედერაციის წევრის უფლებებია: აირჩიოს და არჩეულ იქნეს ყველა არჩევით ორგანოში, გამოიჩინოს ინიციატივა ფედერაციის საქმანობის მიმართულებების დასახვაში, კრიტიკულად შეაფასოს ფედერაციის ცალკეული წევრების და ორგანოს მუშაობა და გამოთქვას თავისი აზრი, მოსთხოვოს ფედერაციას დახმარება ვარჯიშის ელემენტარული პირობების შექმნაში, გავიდეს ფედერაციის შემადგენლობიდან.

5. უღირსი საქციელისა და წესდების დარღვევისათვის ფედერაციის წევრი კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს ფედერაციიდან.

6. ფედერაციის საპატიო წევრად შეიძლება არჩეულ იქნენ გამოჩენილი სპორტსმენები და საზოგადო მოღვაწეები, საპატიო წევრებს ირჩევს ფედერაციის კონფერენცია.

IV. ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოები

1. ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) ფედერაციის კონფერენცია.

ბ) ფედერაციის საბჭო.

გ) ფედერაციის საბჭოს პლენუმი.

დ) ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმი.

2. ფედერაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელსაც იწვევენ ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ოთხ წელიწადში ერთხელ, კონფერენციის ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი ცხადდება 3 თვით ადრე.

3. კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს და დელეგატთა არჩევნების წესებს ადგენს ფედერაციის საბჭო.

4. ფედერაციის კონფერენცია:

ა) ისმენს და ამტკიცებს ფედერაციის საბჭოს ანგარიშს.

ბ) გადასინჯავს, ცვლის ან ამტკიცებს ფედერაციის წესდებას.

გ) ირჩევს ფედერაციის საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ირჩევს ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმსა და პრეზიდენტს.

ე) ირჩევს სარევიზიო კომისიას.

ვ) განიხილავს კონფერენციის დღის წესრიგში საბჭოს მიერ შეტანილ სხვა საკითხებს.

5. ფედერაციის საბჭოს ირჩევენ 35 წევრის შემადგენლობით, იგი არსებული წესდების შესატყვისად ხელმძღვანელობს ფედერაციის მუშაობას კონფერენციებს შორის პერიოდში.

6. ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ფედერაციის საბჭო წელიწადში ერთხელ ან ორჯერ იწვევს ფედერაციის საბჭოს პლენუმს, რომელიც არის ფედერაციის საბჭოს ძირითადი სამუშაო ორგანო.

7. პლენუმებს შორის პერიოდში, ფედერაციის მუშაობას ხელმძღვანელობს კონფერენციაზე არჩეული ფედერაციის პრეზიდიუმი, რომელშიც შედიან: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტის ორი მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი და პრეზიდიუმის 6 წევრი. პრეზიდიუმი წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს, გამოაქვს გადაწყვეტილებები ფედერაციის საქმიანობის ყველა საკითხზე, განაგებს ფედერაციის ფინანსებს. პრეზიდიუმი ნიშნავს და გამოიწვევს ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებსაც ენიჭებათ სრული უფლებები ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის ფედერაციის საქმიანობაში.

8. კონფერენციის დელეგატებს, საბჭოს წევრებს, პრეზიდენტს, ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ ღია ან ფარული კენჭისყრით. ყოველ თანამდებობაზე ასარჩევად შეიძლება წამოყენებული იქნეს რამდენიმე კანდიდატურა. არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებსაც ხმა მისცა კონფერენციის დელეგატთა ნახევარზე მეტმა.

9. ფედერაციის საბჭო კანონით დადგენილი წესით:

— უზრუნველყოფს საზოგადოების აქტიურად ჩაბმას საქართველოს უ-შუს განვითარებაში, ამ მიზნისათვის ამყარებს კავშირს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან;

— შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატებისათვის, სასწავლო საწვრთნელ პროცესში ნერგავს მოწინავე მეთოდურ გამოცდილებას და ხელს უწყობს საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა მომზადებას.

— მონაწილეობს რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებისა და ფესტივალების დაგეგმვასა და ჩატარებაში, ამტკიცებს შეჯიბრების წესებს და კალენდარს, წყვეტს სპორტსმენთა და გუნდების შეჯიბრებებზე დაშვების საკითხებს, ნიშნავს არბიტრებს და მსაჯთა კოლეგიას, განიხილავს გუნდების განაცხადებს, აპელაციებს და პროტესტებს, წესდების დამრღვევთა მიმართ იყენებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებს, წყვეტს შეჯიბრებათა ორგანიზაციის სხვა საკითხებს;

— აქტიურად მონაწილეობს მწვრთნელთა კადრების, ოსტატთა გუნდების და საქართველოს ნაკრები გუნდის მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა, დაკომპლექტების და შეჯიბრებისათვის მათი მზადების საქმეში;

— წყვეტს სპორტსმენებისა და მწვრთნელების საზღვარგარეთის კლუბებში კონტაქტით წარგზავნის საკითხს;

— სპორტული შედეგების მიხედვით, პრესაში გამოსაქვეყნებლად ამტკიცებს სეზონის 10 საუკეთესო სპორტსმენის, 5 საუკეთესო მსაჯისა და 5 საუკეთესო მწვრთნელის სიას;

— შეიმუშავებს წინადადებებს რესპუბლიკური (საქალაქო, რაიონული, რეგიონალური) შეჯიბრებების ორგანიზების ფორმების შემდგომი სრულყოფისათვის, იღებს ზომებს, რომლებიც ხელს უწყობენ ამ შეჯიბრთა პოპულარობას, კულტურის, სანახაობრიობის ზრდას, უზრუნველყოფს მათ თვითანაზღაურებას;

ეწევა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პროგრამების, მეთოდური რეკომენდაციების და სახელმძღვანელოების შემუშავების კოორდინირებას, ატარებს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, თათბირებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს, უშვებს საინფორმაციო მასალებს სპორტის ამ სახეობაში მოწინავე გამოცდილების, წინადადებებისა და სიახლეთა შესახებ;

— სპორტულ მოწყობილობებზე, ინვენტარზე, ფორმაზე, მოსახლეობის და ფიზკულტურული ორგანიზაციების მოთხოვნილებიდან გამომდინარე მონაწილეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების გეგმის შედგენასა და რეალიზაციაში;

— ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ (საქალაქო, რაიონულ, რეგიონალურ) ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტის გზით ეწევა უ-შუს პროპაგანდას;

— საქართველოს უ-შუს ფედერაციას წარადგენს საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ქვეყნების უ-შუს ფედერაციებთან და კლუბებთან.

V. ფედერაციის კომისიები

ფედერაციის ყოველდღიური ოპერატიული საქმიანობისათვის ფედერაციის პრეზიდიუმი ქმნის: სამეცნიერო-მეთოდურ, სამედიცინო, იურიდიულ, სააღესტაციო კომისიებს, მწვრთნელთა საბჭოს, მსაჯთა კოლეგიას და სხვა.

კომისიათა შემადგენლობას, მუშაობის მიმართულებებსა და გეგმებს განსაზღვრავს ფედერაციის პრეზიდიუმი.

VI. ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების ჩამოყალიბების პრინციპები

ფედერაციის წინაშე დასახული ამოცანების მაღალ პროფესიულ დონეზე გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით, მის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევად, კანდიდატებად, უპირატესად უნდა დასახელდნენ საზოგადო მოღვაწეები, მწვრთნელები, მსაჯები, უ-შუს წამყვანი სპეციალისტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

VII. უ-შუს რაიონული (რეგიონალური, საქალაქო) განყოფილებები

რაიონში (რეგიონში, ქალაქში) ორი ან მეტი სხვადასხვა მიმართულების (სტილის) ჯგუფების არსებობისას ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით შეიძლება შეიქმნას ფედერაციის განყოფილებები, რომელთაც შეუძლიათ შექმნას თავიანთი გამგეობები, შეიმუშაოს პროგრამა სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად, ჰყავდეთ წარმომადგენელი ფედერაციის საბჭოში. რაიონულმა განყოფილებებმა უცილობლივ უნდა შეასრულონ ფედერაციის მძართველი ორგანოების გადაწყვეტილებები, ქ. თბილისში მოქმედ ჯგუფებს უნელმძღვანელეს უშუალოდ ფედერაციის საბჭო, საქალაქო განყოფილების შეუქმნელად.

VIII. ფედერაციის სარევიზიო კომისია

1. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაა ირჩევს ფედერაციის კონფერენცია;

2. კომისიის წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს პრეზიდიუმის წევრი.

3. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია:

ა) გაეცნოს გამგეობის და რეგიონალური (რაიონული, საქალაქო) განყოფილებების საქმიანობას და დოკუმენტაციას;

ბ) შეამოწმოს ფედერაციის ფინანსური საქმიანობა;

გ) დააყენოს საკითხები საბჭოს წინაშე;

4. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია კონფერენციის წინაშე;

IX. ფედერაციის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

1. ფედერაცია სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციაა, თავის საწარმოო-სამეურნეო და კომერციულ საქმიანობას გეგმავს დამოუკიდებლად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად.

2. ფედერაცია თავის ფულად სახსრებს, მათ შორის ვალუტას, ინახავს საქართველოს სახელმწიფო ბანკის და საგარეო ეკონომბანკის სარგებლიან და სხვა ანგარიშებზე და ყველა საკასო ოპერაციას აწარმოებს დადგენილი წესის მიხედვით. ფულადი სახსრების გადარიცხვა ან გაცემა ფედერაციის ანგარიშიდან ხდება ფედერაციის პრეზიდიუმის განკარგულებით, პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, მთავარი ბუღალტრის ან მათი ნდობით აღჭურვილი პირების ხელმოწერით.

3. ფედერაცია თავად აწესებს სახელშეკრულებო ფასებს საკუთარ საქონელზე, სამუშაოსა და მომსახურებაზე.

4. ფედერაცია აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას დადგენილი წესით და პასუხს აგებს მისი უტყუარობისათვის.

X. ფედერაციის სახსრების შექმნა და გამოყენება

1. ფედერაციის სახსრები იქმნება დაფინანსების შემდეგი წყაროებიდან:

— საწევრო გადასახადები;

— სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ნებაყოფლობითი შენატანები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საწარმოო-სამეურნეო და კომერციული საქმიანობა.

2. ფედერაციის შემოსავალი ხმარდება მატერიალური დანახარჯების ანაზღაურებას, აუცილებელ გადასახადებს, გადარიცხვებსა და საშემოსავლო გადასახადს. გარდა ამისა, ელექტროენერგიით, გაზით, ცხელი წყლით, კოძუნალური მომსახურებით სარგებლობისათვის ფედერაცია, არსებული წესის ძესაბამისად და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის დადგენილი გადასახადის ნორმების შესატყვისად, იხდის გადასახადს.

ფედერაციის განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლით იქმნება ფედერაციის განვითარების, დაზღვევისა და ძომუშავეთა შრომის ანაზღაურების ფონდები.

3. სადაზღვევო ფონდის დანიშნულებაა დაფაროს გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზარალი, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო-საძუამავლო ოპერაციების ჩატარებასთან, აგრეთვე ხმარდება ფედერაციის ვალების გადახდას ძისი გაუქმების შემთხვევაში.

4. ფედერაციას ძეუძლია თავისი სახსრების ნაწილი წილობრივ საწყისებზე გამოუყოს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სამოეწველო, საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, აგრეთვე სხვა მიზნებისათვის.

5. ფედერაცია პასუხს აგებს თავისი ბიგა ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის, ვალუტის რაციონალური გამოყენებისათვის, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ძემთხვევაში, იგი დანაკლისს ანაზღაურებს მთელი თავისი ქონებით, ვალუტის ჩათვლით, აგრეთვე ჯარიმას უხდის უცხოელ მომხმარებელს ან პარტნიორს თავისი სავალუტო დანაზოგებიდან, თუ დარღვევები მოხდა მისი მიზეზით.

6. ძოგებული უცხოური ვალუტა, რომელიც ფედერაციამ მიიღო თავისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, საქართველოს სსრ ძინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით სახელმწიფოსათვის გადარიცხვის შემდეგ გადადის ფედერაციის განკარგულებაში, ამოღებას არ ექვემდებარება და შეიძლება დაგროვდეს ძემდგომ წლების მოსახმარებლად.

7. სახსრები უცხოეთის ვალუტის სახით გამოიყენება მოწყობილობების, ნედლეულის, მასალების და სხვა საქონლის (სამუშაოები, მომსახურება) იმპორტისათვის, რომლებიც აუცილებელია ფედერაციის საქმიანობის, საქონელბრუნვის, სამუშაოთა და მომსახურების გასაფართოებლად, წარმოების გასავითარებლად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სოციალურ-კულტურული სფეროს განსამტკიცებლად.

8. ფედერაცია პასუხს აგებს თავის ვალდებულებებისათვის საკუთარი სახსრებითა და ქონებით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს ფედერაციის ვალდებულებებისათვის.

XI. სოციალური უზრუნველყოფა

1. კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფედერაციის წევრები ექვემდებარებიან სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას. ამისათვის, სოციალური დაზღვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სახელმწიფო ფონდში ფედერაციას შეაქვს გარკვეული რაოდენობის თანხა, დაწესებული ანალოგიური პროფილის ორგანიზაციათა მუშაკებისათვის.

2. ფედერაციის წევრის დასახიჩრების ან სიკვდილის შემთხვევაში მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ფედერაცია დაზარალებულს აუნაზღაურებს მატერიალურ დანაკარგს, ამავე დროს, შესაბამისი პროფკავშირული ორგანოების წარმომადგენლის მონაწილეობით აწარმოებს უბედური შემთხვევების მიზეზთა გამოძიებას, მოქმედი კანონმდებლობის შესატყვისად, რომელიც ითვალისწინებს ანალოგიური საკითხების გადაწყვეტას.

3. ფედერაციის წევრთა სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება ხორციელდება ფედერაციის საკუთარი სახსრების ხარჯზე, მისი წევრების უფასო და უპირატესი მომსახურების გზით, ასევე ფედერაციის ქვედანაყოფებში წარმოებული საქონლის ხარჯზე, რომელსაც დადებული კონტაქტის ან ხელშეკრულების თანახმად შეისყიდიან ფედერაციის პარტნიორი საწარმოები.

XII. შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება და დისციპლინა

1. ფედერაციაში ყველა სამუშაოს ასრულებენ მისი წევრები. ფედერაციის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლია საზოგადოებრივ, სახელმწიფო, კოოპერაციულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს, ასევე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

2. მუშაობის რეჟიმი, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დასვენების დღეებისა და შვებულების განრიგი, ფედერაციის საქმიანობაში შრომითი მონაწილეობის მიღების მინიმუმი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს ფედერაციის პრეზიდიუმი ყველა კატეგორიის მუშაკთა მიმართ.

3. თვეში ერთხელ ფედერაცია უზრუნველყოფს ხელფასის, მათ შორის ვალუტის დროულ გაცემას პირებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მის საქმიანობაში. თუ სამუშაო სრულდება საიჯარო ხელშეკრულებით, მაშინ ანაზღაურება ხდება საბოლოო შედეგების მიხედვით.

4. ფედერაციის სამეურნეო, სასწავლო, სამედიცინო და საწარმოო საქმიანობა ხორციელდება უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარიული მოთხოვნების წესებისა და ნორმების დაცვით.

5. ფედერაციის საქმიანობაში მონაწილე პირთა შრომის ანაზღაურება ხდება იმ თანხებით, რომლებიც დარჩება ფედერაციის განკარგულებაში მას შემდეგ, რაც მისი შემოსავალი განაწილდება დადგენილი წესის მიხედვით.

6. ფედერაცის საქმიანობაში მონაწილე პირთა მიერ წესდების დარღვევის შემთხვევაში, მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, ასევე მოხდეს მათი დისკვალიფიკაცია და ფედერაციაში მუშაობის უფლების ჩამორთმევა..

7. ფედერაციის საქმიანობაში მონაწილე პირთა შორის სადავო საკითხებს განიხილავს ფედერაციის პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII. ფედერაციის ატრიბუტიკა

ფედერაცია არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდებით, კუთხოვანი შტამპი, ბეჭედი მოწმობებისათვის და ბლანკი. ფედერაცია სარგებლობს საავტორო უფლებებით, აქვს თავისი დროშა, ვიმპელი, ემბლემა, სამკერდე ნიშანი, ჟეტონი, მედალი, სიგელები და დიპლომები დასაჯილდოებლად.

ყალბისმქნელობა ან არაკანონიერი სარგებლობა ფედერაციის საბუთებით, ბეჭდით, ბლანკით, მისი ატრიბუტიკით, ასევე საავტორო უფლებების დარღვევა, ისჯება მოქმედი კანონმდებლობით.

XIV. ფედერაციის საქმიანობის შეწყვეტა

ფედერაციის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ფედერაციის კონფერენციის გადაწყვეტილებით, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს დელეგატთა 2/3. კონფერენცია ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიას და ამტკიცებს მისი მუშაობის გეგმას.

---

27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 ოქტომბრის № 506 დადგენილებით რეგისტრირებული საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“ წესდებაში დამატებათა და ცვლილებათა რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“ მიერ თავის წესდებაში შეტანილი შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. II თავში:

მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე აბზაცი:

— „ქმედით დახმარებას უწევს ცალკეულ მოქალაქეებს, უწყებებს და ორგანიზაციებს ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე ტრადიციული ხალხური ხელოვნების აღდგენისა და განვითარებისათვის“.

მე-7 პუნქტს სიტყვების „კულტურის სამინისტროსთან“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, სასწავლებლებთან“.

2. III თავის მე-11 პუნქტს სიტყვების „ორგანიზაციები (საწარმოები)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მათ შორის უცხოელი მოქალაქეები, საზღვარგარეთის ორგანიზაციები, დაწესებულებები და ფირმები“.

3. IV თავის 21-ე პუნქტი შეივსოს შემდეგი აბზაცებით:

„დადგენილი წესით ეწევა კინო-ვიდეო საქმიანობას;

— ამზადებს ფერად სლაიდებს, ფერად და შავ-თეთრ ფოტოებს;

— აქტიურ შემოქმედებით კონტაქტებს ამყარებს კინო და ტელესტუდიებთან;

— ეწევა საგამომცემლო და სხვა ბეჭდვით საქმიანობას“.

4. IV თავის 29-ე პუნქტის პირველ აბზაცს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება: „დამხმარე მეურნეობებს, ტურისტულ, კულტურულ-სპორტულ კომპლექსებს, გამაჯანსაღებელ ცენტრებს, სადისკუსიო კლუბებს, სკოლა-სტუდიებს“.

5. V თავის 36-ე პუნქტი შეივსოს შემდეგი წინადადებით:

„მრავალშვილიანი ქართული ოჯახების, უპატრონო და ობოლი ბავშვების, მარტოხელა მოხუცთა დასახმარებლად“.

6. VI თავში:

45-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასოციაცია „პეგასში“ შრომის ანაზღაურება და მატერიალური სტიმულირება ხორციელდება მომუშავე პირთა შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით, მხარეთა შეთანხმებით, ხელფასის მაქსიმალური ოდენობით შეუზღუდავად, შრომის საბოლოო შედეგების მიხედვით“.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამავე თავის 48-ე პუნქტი.

7. VII თავის 56-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს კულტურის ასოციაცია „პეგასის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება და რევიზია შეიძლება მოხდეს მხოლოდ ასოციაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ასოციაციის სარევიზიო საბჭოს მიერ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 19 თებერვალი, № 68

28 სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 თებერვალი, № 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 23 ოქტომბრის № 76
დადგენილებით

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის

წ ე ს დ ე ბ ა

§ 1. ზოგადი დებულებანი

1. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია (შემდგომ „ასოციაცია“) წარმოადგენს ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ-შემოქმედებით ორგანიზაციას.

2. ასოციაცია მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, არსებული კანონმდებლობისა და მოცემული წესდების შესაბამისად. მის საქმიანობას საფუძვლად უდევს წევრთა ინიციატივა, დაკისრებული მოვალეობისათვის მათი პერსონალური პასუხისმგებლობა, თვითმმართველობის, დემოკრატიისა და კოლეგიალობის პრინციპები.

3. ასოციაცია იურიდიული პირია, აქვს საკუთარი ემბლემა, მრგვალი ბეჭედი, შტამპი თავისი სახელწოდებით და საკუთარი ანგარიში ბანკში.

4. ასოციაცია იზიარებს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წესდებას და თავის საქმიანობას წარმართავს რუსთაველის საზოგადოების მიზნების განსახორციელებლად.

5. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

§ 2. ასოციაციის მიზანი და საქმიანობა

(უფლება-მოვალეობანი)

6. ასოციაციის მთავარი მიზანია:

— ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედებითს ზრდას.

— დაიცვას ასოციაციის წევრთა პროფესიული და სოციალური ინტერესები.;

7. ასოციაცია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას:

— აწყობს კონცერტებს, სპექტაკლებს, შემოქმედებითს საღამოებს, ლექციებს, საუბრებს, შეხვედრებს, გამოფენებს, გამოფენა-გაყიდვას, ფესტივალებს, კონკურსებს, დათვალიერებებს, შემოქმედებითს მივლინებებს;

— გამოსცემს ასოციაციის ამოცანების შესაბამის პოლიგრაფიულ პროდუქციას.

— ქმნის ფოტო-კინო-ვიდეო პროდუქციას, ორგანიზაციას უწევს ამ პროდუქციის გაცვლას, გაყიდვას, გაქირავებასა და საჯარო ჩვენებას.

— ქმნის სატელევიზიო მავთულოვანი მაუწყებლობის (კაბელური ტელევიზიის) სტუდიებს, ადგენს ვიდეოპროგრამებს და ახდენს მათ ტრანსლიაციას;

— ეწევა ორგანიზაციულ, საწარმოო და საქველმოქმედო საქმიანობას.

8. ასოციაცია ქმნის სამეურნეო ანგარიშიან სტრუქტურულ ქვეგანაყოფებს (საწარმოო საამქრო, განყოფილება, ბიურო, სტუდია, სალონი, ბრიგადა, ფერმა და სხვა) დადგენილი წესის შესაბამისად.

9. სხვა ორგანიზაციებთან საქმიანი თანამშრომლობის ყველა ფორმას ასოციაცია ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს ასოციაციის საქმიანობას მოცემულ დებულებასთან ერთად.

10. ასოციაციას თავისი ამოცანებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვს დადოს ყველა სახის გარიგება, ააშენოს, შეისყიდოს, გაასხვისოს, დაიქირავოს და გააქირავოს მისი საქმიანობისათვის საჭირო დამხმარე სათავსოები, აგრეთვე ყველა სახის მოძრავი და უძრავი ქონება, გამოუშვას და შეიძინოს აქციები, გამოვიდეს მომჩივანისა და მოპასუხის როლში სასამართლოსა და არბიტრაჟში, მონაწილეობა მიიღოს ყველა სახის საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობაში, რომელთა საქმიანობა შეესაბამება ასოციაციის ამოცანებს.

11. ასოციაციას უფლება აქვს დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა საზღვარგარეთელ პარტნიორებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ასოციაცია პასუხს აგებს ნაკისრი ვალდებულებებისათვის.

სახელმწიფო, მისი ორგანოები და ორგანიზაციები პასუხს არ აგებენ ასოციაციის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის, ხოლო ასოციაცია პასუხს არ აგებს სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის.

13. ასოციაციის გაცემულ მინდობილობებს არ სჭირდება ნოტარიუსის დამოწმება.

14. ასოციაცია ვალდებულია:

— წარმართოს თავისი საქმიანობა წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

— დაიცვას თავისი და ყოველი წევრის ინტერესები სხვადასხვა ორგანიზაციაში.

— იყოს პრინციპული, ბოლომდე მიიყვანოს მის მიერ დაყენებული საკითხი ან დაწყებული საქმე.

§ 3. ასოციაციის წევრობის შესახებ

15. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს:

ა) ხელოვნების დარგში სპეციალური განათლების მქონე პირი;

ბ) ხელოვნებაში მოღვაწე არასპეციალური განათლების მქონე პირი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პირი, რომელსაც სურს თავისი მუშაობით ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედებითს ზრდას.

16. ასოციაციაში მისაღებად განცხადებით უნდა მიმართონ გამგეობას.

17. ასოციაციის წევრთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს ორმოც წელს, ყველა გამონაკლისი შემთხვევისათვის გამგეობა იღებს საგანგებო გადაწყვეტილებას.

18. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

— ისარგებლოს ასოციაციის ყოველგვარი შემოქმედებითი, იურიდიული და მატერიალური დახმარებით;

— გამოთქვას თავისი მოსაზრება და წინადადება ასოციაციის მუშაობის ყველა საკითხზე;

— მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ყველა ღონისძიებაში;

— აირჩიოს და არჩეულ იქნეს ასოციაციის მმართველობაში.

19. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

— დაიცვას ასოციაციის წესდება, შეასრულოს ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებანი;

— ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ასოციაციის ავტორიტეტისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და განმტკიცებას;

— დროულად გადაიხადოს საწევრო გადასახადი.

20. ასოციაციის წევრს ეძლევა წევრობის წიგნაკი და სამკერდე ნიშანი, რომლებზეც გამოსახულია ასოციაციის ემბლემა.

21. მორალურსა და სხვა სახის პასუხისმგებლობას თავისი წევრის საქმიანობისათვის ასოციაცია კისრულობს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ასოციაციის საქმიანობას განეკუთვნება. შესაბამისად, ასოციაციის წევრი ასოციაციის წინაშე პასუხისმგებელია თავის მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რომელიც ასოციაციის შემადგენლობაში ან ასოციაციის სახელით სრულდება.

22. ასოციაციის წევრის გარიცხვის საკითხს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განიხილავს ასოციაციის საერთო კრება;

— საკუთარი სურვილით ასოციაციის წევრობიდან გასვლისათვის საკმარისია წევრის განცხადება პრეზიდენტის ან გამგეობის სახელზე.

§ 4. ასოციაციის მმართველობა

23. ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც იმართება წელიწადში ერთხელ (გარდა რიგგარეშე კრებისა).

რიგგარეშე კრება იმართება გამგეობის ინიციატივით ან ასოციაციის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, ამ შემთხვევაში გამგეობა ვალდებულია კრება ორი კვირის ვადაში მოიწვიოს.

კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა ორი მესამედი.

კრება გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით.

24. კრება ამტკიცებს წესდებას, პროგრამას, წესდებასა და პროგრამაში შესატან ცვლილებებს, ისმენს და ამტკიცებს ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშებს, განსაზღვრავს ასოციაციის საქმიანობის მიმართულებებს, სახავს ვითარების შესატყვის ძირითად კონკრეტულ ამოცანებს და მათი გადაჭრის გზებს, იღებს მიმართვებს და მოწოდებებს ასოციაციის სახელით, გადაწყვეტილებებს ასოციაციის საფინანსო, სამეურნეო და სხვა საკითხებზე.

25. კრება კენჭისყრით ირჩევს:

— გამგეობას, რომელიც ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა კრებებს შორის პერიოდში;

— ასოციაციის პრეზიდენტს, რომელიც არის გამგეობის წევრი.

— სარევიზიო კომისიას;

— სხვა კომისიებს საჭიროების მიხედვით.

26. არჩევით ორგანოს წევრობის კანდიდატის დასახელებისას კრებას უნდა მოხსენდეს წევრობის კანდიდატად დასახელების მოტივი. ასოციაციის თითოეულ წევრს აქვს კანდიდატის აცილების უფლება. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც ხმების უმრავლესობა მიიღო.

27. ასოციაციის მთელს საქმიანობას კრებებს შორის პერიოდში წარმართავს გამგეობა. გამგეობის ყოველ წევრს ირჩევენ ხუთი წლის ვადით, კრებას უფლება აქვს გადაირჩიოს იგი ვადამდეც. განმეორებითი არჩევა დასაშვებია ახალი წევრის არჩევის, აგრეთვე გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ ასოციაციის საერთო კრებას.

28. გამგეობის სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ (გარდა რიგგარეშე სხდომისა), სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით.

29. გამგეობის სხდომებს შორის პერიოდში ასოციაციის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობენ ასოციაციის პრეზიდენტი და გამგეობის ორი წევრი, რომელთა კანდიდატურები მტკიცდება საერთო კრებაზე, ისინი უფლებამოსილი არიან ასოციაციის სახელით ხელი მოაწერონ სამეურნეო-საფინანსო და სხვა საბუთებს და დაამოწმონ ბეჭდით. ასოციაციის ბეჭედს განაგებს პრეზიდენტი და უფლებამოსილია ასოციაციის სახელით ხელი მოაწეროს სამეურნეო-საფინანსო და სხვა საბუთებს.

30. გამგეობის წევრებს ხელფასი არ ენიშნებათ.

31. ასოციაციის წესდების შესრულების კონტროლისათვის, ასოციაციისა და მასთან მოქმედი ყველა ორგანიზაციის საფინანსო საქმიანობის, ასოციაციის სახსრების, ქონებისა და საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენების შესამოწმებლად კრება ასოციაციის წევრებისაგან ირჩევს ასოციაციის სარევიზიო ჯგუფს სამი კაცის შემადგენლობით.

სარევიზიო ჯგუფი ადგენს და ამტკიცებს თავის სამუშაო გეგმას; წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებს ასოციაციის კრებას. სარევიზიო ჯგუფის წევრებს არ ირჩევენ გამგეობის შემადგენლობაში, სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით.

§ 5. ასოციაციის ქონება, სახსრების წყაროები და მათი გამოყენების წესი

32. ასოციაცია მოქმედებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების პრინციპით.

33. ასოციაციის საწესდებო ფონდს ქმნის ძირითადი და საბრუნავი სახსრები.

34. ასოციაციის საქმიანობა შეიძლება დაფინანსდეს დაინტერესებული ორგანიზაციების შესაბამისი ფონდებიდან. ასოციაციას უფლება აქვს ისარგებლოს კრედიტით დადგენილ ფარგლებში.

— ასოციაციას უფლება ეძლევა დადგენილ ფარგლებში შეისყიდოს აუცილებელი ძირითადი და საბრუნავი სახსრები პირებისაგან, სხვა წარმოებებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ.

— ასოციაციას შეუძლია მიიღოს ორგანიზაციისაგან ბალანსიდან ბალანსზე ძირითადი ფონდები.

35. გამოყოფილი ძირითადი ფონდების გარდა ასოციაციას უფლება აქვს: აიღოს იჯარით ან შეისყიდოს კულტურის დაწესებულებების, სპორტული ნაგებობების, სასწავლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების შენობები; აიღოს იჯარის მიწის ნაკვეთები.

36. ასოციაციის შემოსავლის წყაროებია:

— წევრთა ყოველწლიური საწევრო გადასახადი;

— ასოციაციის შემოქმედებითი, საწარმოო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

— სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული, მათ შორის საზღვარგარეთის ორგანიზაციების, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შემოწირებულობანი და გადმორიცხვები.

37. ასოციაციას შეიძლება გადაეცეს ბალანსზე დადგენილი წესით შესაყიდად წარმოებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და ცალკეულ მოქალაქეთა მატერიალური ფასეულობანი.

38. ასოციაციის ყველა საკუთარი ფინანსური სახსრები გადაირიცხება ბანკის დაწესებულებებში.

39. ასოციაციის ფულადი სახსრები გამოიყენება:

— ასოციაციის მიმდინარე საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

— ასოციაციის წევრთა შემოქმედებითი საქმიანობის დასაფინანსებლად;

— საქველმოქმედო ღონისძიებებისა და ასოციაციის ამოცანების შესაბამისი სხვა მიზნებისათვის (ახალი ობიექტების მშენებლობისათვის), მოქმედი ობიექტების გასაფართოებლად, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო, საცდელ-საკონსტრუქტორო, მხატვრულ-გაფორმებითი, სარემონტო და სხვა სამუშაოთა შესასრულებლად, სხვა საწარმოო ხარჯების დასაფინანსებლად, საკუთარი საბრუნავი სახსრების შესავსებად, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და არასაწარმოო

სფეროს სხვა ობიექტების ასაგებად და შესანახავად, ასოციაციის წევრთა სოციალურ-კულტურული და სხვა ხარჯებისათვის.

40. შემოსავლის საერთო თანხა, ანუ ასოციაციის შემოქმედებით-საწარმოო საქმიანობით შემოსული თანხა, მატერიალური დანახარჯების გამოკლებით, გამოიყენება:

— ბანკების კრედიტების პროცენტის გადასახდელად;

— სხვა ორგანიზაციებისათვის გადასარიცხავად, თუკი ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ასოციაციასა და სხვა ორგანიზაციას შორის;

— ყველა ხარჯებსა და მთლიან შემოსავალს შორის სხვაობა ასოციაციის წმინდა შემოსავალია.

სამეურნეო ანგარიშის შემოსავლისაგან ასოციაცია ქმნის შრომის ანაზღაურების, საწარმოო და სოციალური განვითარების, საქველმოქმედო ფონდებს.

ნებადართულია ფინანსური რეზერვისა და სავალუტო გადარიცხვის ფონდის შექმნა.

ასოციაცია, დადგენილი წესის მიხედვით, შესაბამის ბიუჯეტში იხდის საათანადო თანხას.

41. სამეურნეო ანგარიშიანი შემოსავლის გამოყენების წესს განსაზღვრავს გამგეობა.

42. მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები გადადის შემდეგ წელს და არ ექვემდებარება ჩამორთმევას.

43. შრომის ანაზღაურების ფონდი იხარჯება:

— ასოციაციის მუშაკებისა და იმ პირთა შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც ასოციაციაში მუშაობენ ვადიანი ხელშეკრულების პირობებში ან ასოციაციაში სამუშაოდ მიწვეულ იქნენ ერთჯერადად.

— ფულად წანამატისა და დამატებისათვის პრემირების, ერთდროული დაჯილდოებისა და ასოციაციის ამოცანების შესაბამისი სხვა მიზნებისათვის.

44. ასოციაციას შეუძლია ფინანსური რეზერვის სახსრები გამოიყენოს ახალი ტექნიკის შესამუშავებლად და დასანერგავად საჭირო დამატებითი ხარჯებისათვის, კუთვნილი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შესავსებად, დანაკარგების დასაფარავად და ასოციაციის ამოცანების შესაბამისი სხვა მიზნებისათვის.

45. ასოციაციის ხელფასის ფონდი შეადგენს ასოციაციის საერთო შემოსავლის 52-დან 78-მდე პროცენტს.

46. ასოციაციაში შრომის ანაზღაურება და პრემირება ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად და თითოეულის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

47. ასოციაციას შეუძლია, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, რეალიზაცია უყოს პროდუქციას, რომელსაც ასოციაცია და მისი ქვეგანაყოფები უშვებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 6. ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტის წესი

48. ასოციაციის გაუქმება შეუძლია მხოლოდ ასოციაციის წევრთა საერთო კრებას.

49. ასოციაციის გაუქმების შემთხვევაში, მისი კუთვნილი მატერიალური და ფინანსური სახსრები ანგარიშსწორების შემდეგ ბალანსით გადაეცემა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 რესპუბლიკური საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

ადამიანის ინფექციური დაავადებების ეპიდემიის თავიდან აცილების, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა ოპერატიულად შემუშავებისა და განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება რესპუბლიკური საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ რესპუბლიკურ საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სამინისტროთა, უწყებათა, კოოპერატივთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პრაქტიკული და მეცნიერული საქმიანობის კოორდინაციის საკითხებზე, რომლებიც მიმართულია ადამიანის ინფექციური დაავადებების (შიდსი, ქოლერა, გრიპი და სხვ.) ეპიდემიის ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისაკენ, აგრეთვე შეიმუშაოს და განახორციელოს მათი აღმოცენების თავიდან აცილების ღონისძიებანი.

აღნიშნულ საკითხებზე კომისიის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

3. რესპუბლიკური საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს რესპუბლიკაში.

ნება დაერთოს კომისიის თავმჯდომარეს დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან შეთანხმებით დაამტკიცოს კომისიის პერსონალური შემადგენლობა.

დაწესდეს, რომ კომისიის წევრები მონაწილეობენ სხდომებში მათი შეცვლის უფლების გარეშე.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა იხელმძღვანელონ რესპუბლიკური საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიის დებულებით, შეიმუშაონ და დაამტკიცონ შესაბამის ტერიტორიებზე შექმნილი საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიების დებულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯიოევანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 თებერვალი, № 77

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 23 თებერვლის № 77
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რესპუბლიკური საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. რესპუბლიკური საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისია (შემდგომ „კომისია") სახელმწიფო ორგანოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია აღამიანის ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა, ამ დაავადებების (შიღსი, ქოლერა, გრიპი და სხვ.) ეპიდემიის ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია, აგრეთვე კვებითი მოწამვლის მასობრივი შემთხვევების თავიდან აცილება.

კომისია უზრუნველყოფს სამინისტროებისა და უწყებების, კოოპერატივების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციას ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებისას მეთოდურ ხელმძღვანელობას და კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების საგანგებო ეპიდსაწინააღმდეგო კომისიების მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკულად ეხმარება მათ ინფექციურ დაავადებათა შემცირებისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებაში.

2. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საზოგადოებრივ საწყისებზე. მის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი და კომისიის წევრები.

კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს კომისიის წევრთა რაოდენობას და ამტკიცებს პერსონალურ შემადგენლობას.

კომისიის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, სამოქალაქო თავდაცვის შტაბის, სხვა დაინტერესებული უწყებების, ორგანიზაციებისა და წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

3. კომისია თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მუშაობას წარმართავს საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კომისიებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

II. კომისიის უფლება-მოვალეობანი

4. ამ დებულების 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებული ამოცანების შესასრულებლად კომისიას ევალება:

— ადამიანთა შორის ინფექციური დაავადებების ეპიდემიის ლიკვიდაციისა და პროფილაქტიკის ღონისძიებათა შემუშავება და შესრულების ორგანიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების, აგრეთვე ადგილობრივი ეპიდსაწინააღმდეგო კომისიების მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობა და კოორდინაცია;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმირება მასობრივი ინფექციური დაავადებების აფეთქების, კვებითი მოწამვლის შემთხვევებისა და მათი ლიკვიდაციისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

5. კომისია ინფექციური დაავადებების აფეთქებებისა და კვებითი მოწამვლის მასობრივი შემთხვევების აღმოცენებისას:

— შრომითს კოლექტივებთან შეთანხმებით კონკრეტული ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესასრულებლად მოიზიდავს სამეურნეო სამსახურის, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ძალებსა და საშუალებებს და ნიშნავს შესრულებისათვის პასუხისმგებლებს;

— პერიოდულად ისმენს პასუხისმგებელ პირთა მოხსენებებს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, იღებს შესაბამის ორგანიზაციულ და პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს;

— აანალიზებს ყველა მასალას ინფექციურ დაავადებათა აფეთქების ან კვებითი მოწამვლის მასობრივი შემთხვევების აღმოცენების მიზეზებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა შედეგების შესახებ, ადგენს აღნიშნული დაავადებების გავრცელების ან მოწამვლისათვის დამნაშავე პირებს;

— განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების რეგისტრაციის შემთხვევაში კომისია საჭიროების მიხედვით ახორციელებს დამატებით საკარანტინო-შემზღუდავ ზომებს ინფექციის აღმოცენების ადგილას ან აწესებს კარანტინის შემოღება-მოხსნის პირობებს, ამტკიცებს ინფექციის კერის სალიკვიდაციო დროებით კომიტეტს და მის სამუშაო გეგმას. სისტემატურად ისმენს ინფორმაციებს ინფექციის კერის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესრულების თაობაზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

6. კომისიას უფლება აქვს:

— მიიღოს ინფორმაციები სამინისტროებიდან და უწყებებიდან მასობრივი ინფექციური დაავადებების შემთხვევების და ადამიანთა კვებითი მოწამვლის შესახებ;

— შეამოწმოს ორგანიზაციებსა და საწარმო-დაწესებულებებში ინფექციური დაავადებებისა და კვებითი მოწამვლის პროფილაქტიკისათვის გაწეული მუშაობა;

— მიიღოს გადაწყვეტილება ადამიანთა შორის ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად ორგანიზაციებში, საწარმო-დაწესებულებებში, ცალკეულ დასახლებულ პუნქტებსა და ტერიტორიაზე საკარანტინო-შემზღუდავი და საკარანტინო ზომების შემოღების შესახებ;

— გამოითხოვოს დოკუმენტები და კომისიის სხდომებზე მოისმინოს შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის, სანიტარიულ-პროფილაქტიკური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე დააყენოს საკითხი, რომ სამსახურიდან გათავისუფლონ ან ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმო-დაწესებულებათა თანამდებობის პირები, რომელთა მიზეზით მოხდა ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიური აფეთქება და ადამიანთა შორის კვებითი მოწამვლის შემთხვევები;

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სხდომებზე განიხილონ საკითხები ინფექციური დაავადებების გავრცელების შემცირებისა და პროფილაქტიკის, აგრეთვე კვებითი მოწამვლის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

III. კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

7. კომისია მუშაობას წარმართავს გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე და პერსპექტიული საკითხების გადაწყვეტას, ინფექციური დაავადებებისა და კვებითი მოწამვლის აღმოცენებისა და გავრცელების თავიდან აცილებას, სამინისტროებისა და უწყებების მიერ შიდსისა და სხვა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისა და გამაფრთხილებელი ღონისძიებების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულებას.

8. კომისიის თავმჯდომარე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის განვითარების გათვალისწინებით უზრუნველყოფს კომისიის გეგმიური და რიგგარეშე სხდომების მოწყობას და აწესებს კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

9. განსახილველი საკითხების არსის მიხედვით კომისიის სხდომაზე მოიწვევენ სამინისტროების, უწყებების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებათა და შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელებს.

კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომლის ამონაწერები დაეგზავნებათ დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და პასუხისმგებელ პირებს, აგრეთვე გადაეცემათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი.

10. კომისიის წევრები თავიანთ მოვალეობას, როგორც წესი, ასრულებენ სამუშაო საათებში, დავალებების შესრულების ხასიათის შესაბამისად, რომლის დროსაც ისინი თავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოსაგან, ხოლო ხელფასი უნაზღაურდებათ ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი სახის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესების ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე კვლავ აქვს ადგილი ნებართვის გარეშე ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას, უალრესად ნელი ტემპით ინერგება ამ რესურსების უნარჩენო ტექნოლოგიით მოპოვება და გადამუშავება. შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმის უქონლობის გამო შესუსტებულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მხრივ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი კონტროლი და მასთან ერთად ეკონომიკური დაინტერესება. ამის შედეგად საგრძნობი ზარალი ადგება ბუნებას, ძნელდება, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელი ხდება ამ რესურსების აღდგენა-განახლება, დიდძალი სახსრები იხარჯება მათი კვლავწარმოებისათვის.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის შესაბამისად 1991 წლიდან გათვალისწინებულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის შემოღება და გრძელვადიანი ნორმატივების დაწესება, რაც მიზნად ისახავს მისი მოპოვების მკაცრი ლიმიტების დადგენასაც. ამასთან დაკავშირებით მიღებულია დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება 1990 წლიდან რაიონში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესების ექსპერიმენტის ჩატარების თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ შემოტანილი წინადადება ძირითადად ეხება ბუნებრივი რესურსების შედარებით შეზღუდულ ნუსხას, მათზე ფასის დაწესება არ გამოიწვევს სერიოზულ ცვლილებებს რესპუბლიკისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიასთან, და 1990 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის ვადით ექსპერიმენტის წესით შემოღებულ იქნეს დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი სახის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის დროებითი ეკონომიკური ნორმატივები, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან ერთად ერთი თვის ვადაში განსაზღვროს დანართში აღნიშნული რაიონის ბუნებრივი რესურსების გამოყენების ლიმიტები თითოეული მომხმარებლის მიხედვით.

3. დაწესდეს, რომ დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა ბუნებრივი რესურსების გამოყენებიდან მიღებული შემოსავალი ჩარიცხოს ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე და გამოიყენოს მხოლოდ ბუნების დაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა დააწესონ მკაცრი კონტროლი ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისადმი.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისათვის 1990 წელს ბუნების დაცვის დამატებით სამუშაოთა შესასრულებლად მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტას შეძლებენ ჩატარებულ სამუშაოთა დაზუსტებული ნუსხისა და მოცულობის წარდგენის შემდეგ.

6. აღინიშნოს, რომ ამ დადგენილებით განსაზღვრული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის გადახდა არ ათავისუფლებს დუშეთის რაიონის ბუნებით მოსარგებლე საწარმოებსა და ორგანიზაციებს ბუნებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისაგან.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ (ამხ. ვარძელაშვილი) საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან (ამხ. ჭალაგანიძე) ერთად მეთოდური დახმარება გაუწიოს დუშეთის რაიონის ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს ექსპერიმენტის სწორად წარმართვისათვის, ექსპერიმენტის შედეგების შესახებ შესაბამისი დასკვნები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის იანვარში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 თებერვალი, № 78

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 23 თებერვლის № 78
დადგენილების დანართი

დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი სახის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის დროებითი ეკონომიკური ნორმატივები ლიმიტის ფარგლებში

სამშენებლო ქვიშისა და ხრეშის ნარევი, რომელიც გამოიყენება შემავსებელ (დასაყრელ) მასალად	— 1 კუბური მეტრი 0,50 მანეთი
1 კუბური მეტრი სამშენებლო ქვიშა	— 1,00 მანეთი
1 კუბური მეტრი კერამიკული თიხა	— 0,10 მანეთი
1 ლიტრი მინერალური წყალი	— 0,02 მანეთი

შენიშვნები: 1. მომხმარებელს დასახელებული ბუნებრივი რესურსების (მინერალური წყლის გარდა) ღირებულება გადახდება ყოველკვარტალურად, თანაბრად, მოცულობითი ლიმიტიდან გამომდინარე, სარგებლობისათვის გარკვეული ვადით გამოყოფილი კარიერის ფართობისა და სიმაღლის მიხედვით, ხოლო მინერალური წყლისა — წარმოების მაქსიმალური საპროექტო სიმძლავრის მიხედვით.

2. დადგენილი ლიმიტის დამატებით ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის დროებითი ეკონომიკური ნორმატივი იზრდება ხუთმაგად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

მუხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

31 თბილისის № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შუამდგომლობა, შეთანხმებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს მწერალთა კავშირთან, და თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის № 1 რესპუბლიკურ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლას ამიერიდან მიეკუთვნოს ცნობილი ქართველი მოღვაწისა და განმანათლებლის გრიგოლ ხანძთელის სახელი.

2. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 სექტემბრის № 509 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 23 თებერვალი, № 79

32 რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 30 ავგისტოს № 435 დადგენილების შესაბამისად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებზე არსებული ძალებისა და რესურსების კონცენტრაციისა და მათ საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მეცნიერებატევადი დარგების განვითარების დაჩქარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებული, რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის თანდართული წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 28 თებერვალი, № 85

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 28 თებერვლის № 85
დადგენილებით

რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის წესი

ზოგადი დებულებანი

1. რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები (რსტპ) მუშავდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებზე სამეცნიერო ძალების კონცენტრაციისა და ამის საფუძველზე მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების დაჩქარების, რესპუბლიკის საწარმოო ძალების განახლებისა და პერსპექტიული ფუნდამენტური გამოკვლევების კომპლექსის შესრულების მიზნით.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა პრობლემების გადასაწყვეტად მეცნიერული და სამრეწველო პოტენციალის კონცენტრაცია, ღონისძიებათა კომპლექსის დაგეგმვა ერთიან დოკუმენტში და მისი მიზნობრივი მართვა.

რსტპ-ში ყალიბდება კონკრეტული მიზნები, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია მატერიალურ წარმოებასა და სოციალურ სფეროში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებების საწინაარია და მომავალში ხელს შეუწყობს ცოდნის საერთო დონის ამაღლებას, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევებს.

რსტპ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა ცენტრალიზებული მართვის საშუალებაა.

2. რსტპ-ს ნუსხა დგება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე წარმოქმნილი ძირითადი პრობლემების გათვალისწინებით. ნუსხაში შეტანილი რსტპ, როგორც წესი, უნდა ხასიათდებოდეს მრავალპროფილიანობით, ტექნიკური, ორგანიზაციული და სხვა გადაწყვეტილებებისადმი ახლებური მიდგომით.

რსტპ-ის ნუსხა მუშავდება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სახმშენის, საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალური განყოფილების და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებისა და უწყებების თანამონაწილეობით.

აღნიშნული ნუსხა კონკრეტული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირების საფუძველია და მას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად დადგენილი წესით ამზადებს წინადადებებს პროგრამის ხელმძღვანელისა და რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ.

რსტპ-ის სამეცნიერო საბჭო იქმნება რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო საბჭოების დებულების შესაბამისად (დანარ-

თი № 1). სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ამავე დროს არის რსტპ-ის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ყოველი ცალკეული რსტპ-ის შესრულების ორგანიზაცია ევალება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

პროგრამის მეცნიერულ ხელმძღვანელობას ახორციელებს რსტპ-ის სამეცნიერო საბჭო, რომელიც ამუშავებს შესაბამისი პროგრამის კონცეფციას, სტრუქტურას, თემატიკურ შედგენილობას (სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებს) და უზრუნველყოფს სამუშაოთა შესრულებას მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე.

კონცეფციაში უნდა დასაბუთდეს შესაბამისი რსტპ-ის სტრუქტურისა და თემატიკური შედგენილობის არჩევანი, თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში არსებული ტენდენციები, შესაქმნელი ტექნიკის, ტექნოლოგიის, მასალების პრინციპული სიახლე, აგრეთვე მათი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა. იმ რსტპ-ისათვის, რომელთა მიზანია ახალი ცოდნის მოპოვება, კონცეფციაში უნდა აისახოს, თუ რა მეცნიერული წანამძღვრების მიღებაა მოსალოდნელი, კვლევის დაჩქარებული განვითარებისათვის აუცილებელი პირობები და პერსპექტივები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსა და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს რსტპ-ის შესაბამისი სამეცნიერო საბჭოს მიერ მომზადებული პროგრამის კონცეფციას, მის სტრუქტურას და ამტკიცებს რსტპ-ის თემატიკურ შედგენილობას პროგრამის საბოლოო და შუალედური მიზნების მიხედვით, მათი შესრულების ვადებს, კონკრეტულ სამუშაოთა შემკვეთებს, იმ სამეცნიერო პრობლემათა ნუსხას, რომელთა გადაწყვეტა რსტპ-ის შესრულების აუცილებელი პირობაა.

4. რსტპ-ის რეალიზაცია ხდება, როგორც წესი, პროექტების საფუძველზე. პროგრამით გათვალისწინებული პროექტები მოიცავენ კომპლექსურ ღონისძიებებს პროგრამის საბოლოო მიზნის ეფექტიანი გზებით მისაღწევად.

საუკეთესო სამუშაოთა ასარჩევად პროექტების მიხედვით ცხადდება ღია კონკურსი.

კონკურსები ტარდება ტიპობრივი წესის შესაბამისად (დანართი № 2).

პროექტების ხელმძღვანელები აღგენენ თითოეული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, სადაც მითითებულია პროგრამით გათვალისწინებული ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და სხვა პროდუქციის ძირითადი დანიშნულება, მათზე მოთხოვნილების შეფასება და აღნიშნული პროდუქციით უზრუნველყოფის დონე დასაგეგმავ პერიოდში, აგრეთვე დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებანი და რესურსები, ამ მიმართულებით მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების არსებული მდგომარეობა, ცნობები საჭირო სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და საწარმოო ბაზის არსებობის შესახებ; განსაზღვრავენ რსტპ-ის ფარგლებში შექმნილი ახალი ტექნიკისა და მასალათა ტექნოლოგიების შემკვეთებს, სახალხო მეურნეობისა და ექსპორტის მოთხოვნილებიდან გამომდინარე მათი წარმოებისა და გამოყენების შესაძლებელ სფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როებსა და მოცულობებს; ამუშავებენ და ათანხმებენ პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დაფინანსების, აგრეთვე პროექტით გათვალისწინებული სიახლეების წარმოებისა და გამოყენების საკითხებს. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შემსრულებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების შემადგენლობის ფორმირება ხდება ნებაყოფლობის საფუძველზე, მათ შორის საკონკურსო შერჩევის გზით.

პროექტების განხილვის შედეგად რსტპ-ის სამეცნიერო საბჭო წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რეკომენდაციებს პროექტების პროგრამაში შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო აყალიბებენ და ამტკიცებენ პროგრამას, რომელიც მოიცავს ჩატარებული კონკურსების შედეგად შერჩეულ პროექტებს (დანართი № 3).

პასუხისმგებლობა შექმნილი სიახლის მეცნიერული და ტექნიკური დონისა და პროექტის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის ეკისრებათ პროგრამის ხელმძღვანელსა და რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოს.

რეალიზაციის პროცესში რსტპ შეიძლება შეივსოს ახალი პროექტებით, აგრეთვე გამოაკლდეს ის პროექტები, რომლებითაც პროგრამით გათვალისწინებული მუშაობა მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. რსტპ-მ შეიძლება განიცადოს აგრეთვე სხვა ცვლილებანი, მიმართული დასახული მიზნების მისაღწევად. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოების, პროგრამების ხელმძღვანელებისა და შემკვეთების წარდგინების საფუძველზე შეაქვს რსტპ-ში ცვლილებანი და დამატებანი.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ახორციელებს პროგრამებში შემავალი ყველა სამუშაოს კოორდინაციასა და საერთო ხელმძღვანელობას, აწარმოებს შესრულებულ სამუშაოთა სახელმწიფო მიღებას, განსაზღვრავს პროგრამებით გათვალისწინებული პროექტების შემკვეთებს, უზრუნველყოფს მათს სახელმწიფო ფინანსურ და მატერიალურ უზრუნველყოფას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 8 დეკემბრის № 572 და 1989 წლის 28 ივნისის № 373 დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი კონტროლს უწევს რსტპ-ის პროექტების შესრულებას, პროგრამის ხელმძღვანელებთან, რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოებთან და შემკვეთებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებებს რსტპ-ის პროექტებში გათვალისწინებულ სამუშაოთა შემდგომი წარმართვის ან შეწყვეტის შესახებ. სამუშაოთა შეწყვეტის შემთხვევაში მათი განხორციელებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები გადაირიცხება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სარეზერვო ფონდში. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი თავის მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებასა და რეალიზაციასთან, ეყრდნობა რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები ხუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლედის გეგმასა და საკონტროლო ციფრებში ითვალისწინებენ რსტპ-ის დავალებათა რეალიზაციის შედეგად მიღებული სიახლეების ფართო გამოყენებას.

რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

6. რსტპ-ით გათვალისწინებულ სამუშაოთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და შემკვეთი ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, მათ შორის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ცენტრალიზებული ფონდებიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების განაწილებისას პრიორიტეტული უფლება უნდა მიანიჭონ რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებული დავალებებისა და ეტაპების დაფინანსებას.

სამუშაოთა დაფინანსება ხორციელდება მიზნობრივი დანიშნულებით რსტპ-ის თითოეული პროექტისათვის რსტპ-ში პროექტის შეტანამდე სამეცნიერო საბჭო განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონტრუქტორო სამუშაოთა სრულ ღირებულებას, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას, დაფინანსების წყაროებსა და დამფინანსებელ ორგანიზაციებს. შესაბამისი წინადადებახი ეგზავნება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მოცულობის საკონტროლო ციფრებს უახლოეს ხუთწლედსა და დასაგეგმავ წელზე ტექნოლოგიურ, საპროექტო, საკონსტრუქტორო, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განსახორციელებლად.

რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების მოცულობის შესაბამისად და პროექტების შერჩევის საფუძველზე წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებებს პროექტების მთავარი ორგანიზაცია-შემსრულებლებისათვის სახსრების განაწილების შესახებ. ამ წინადადებათა საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი იღებს დადგენილებებს შესაბამის წელს მთავარი ორგანიზაცია-შემსრულებლებისათვის მიზნობრივი დანიშნულებით სახსრების გამოყოფის თაობაზე.

პროექტების ხელმძღვანელები მთავარ ორგანიზაცია-შემსრულებლებთან ერთად ყოველწლიურად წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებათა გამოყენების ანგარიშს.

წინასწარ დაგეგმილ საკონტროლო ციფრებთან შედარებით დასაგეგმავ წელს პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მოცულობის შემცირების შემთხვევაში რსტპ-ის სამეცნიერო საბჭო დადგენილ ვადებში განიხილავს სამუშაოთა შესრულების უზრუნველ-

საყოფად დამატებითი ღონისძიებების გატარების საკითხს და აუცილებლობის შემთხვევაში შეაქვს წინადადება პროგრამის საბოლოო და შუალედური მიზნების კორექტირების შესახებ.

8. კონკურსზე წარდგენილ პროექტში წინასწარ უნდა იქნეს დამუშავებული პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები, რომელთაც საბოლოოდ განსაზღვრავენ რსტპ-ის ხელმძღვანელი და შემკვეთი. წინადადებანი რესურსებით მომარაგების ისეთ საკვანძო საკითხებზე, რომელთა გადაჭრა მოითხოვს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას, წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შესრულებისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაცია

9. რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე შემოთავაზებულ წინადადებათა ექსპერტიზის ჩატარებაში, მიღებული შედეგების გამოყენებაში, აგრეთვე პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოთა მიმდინარეობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რესპუბლიკის წამყვანმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, სამეცნიერო საზოგადოებრიობამ. ინფორმაცია საკონკურსო პროექტებისა და მათი შემსრულებლების, სამუშაოს შესრულების მიმდინარეობის, მიღწეული შედეგების შესახებ, როგორც წესი, უნდა გაეცნოს საზოგადოებრიობას სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოთა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით.

მონაცემები რსტპ-ის შესრულების შესახებ წელიწადში ერთხელ აისახება სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშში.

რსტპ-ის პროექტზე მუშაობის შუალედურ და საბოლოო შედეგებს განიხილავენ შესაბამისი სამეცნიერო საბჭოები, შექმნილ სიახლეთა მეცნიერული და ტექნიკური დონის, მათი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის შესაფასებლად სათანადო ექსპერტების მოწვევით, და დადგენილი წესით მიიღებს შემკვეთი. შუალედურ სამუშაოთა შედეგების მიხედვით მზადდება წინადადებანი სამუშაოებისა და მათი დაფინანსების გაგრძელების თაობაზე რსტპ-ის ფარგლებში. სამეცნიერო საბჭოები ყოველწლიურად უგზავნიან ანგარიშებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

10. პროგრამებისა და პროექტების ხელმძღვანელები, შესაბამისი სამინისტროები და უწყებები რსტპ-ის რეალიზაციის პროცესში იმ სამუშაოებზე, რომლებიც მთავრდება ტექნიკის ახალი სახეობების, პროგრესული მასალების, ტექნოლოგიური პროცესების შექმნითა და დანერგვით და თავიანთი მაჩვენებლებით აღემატებიან საუკეთესო საკავშირო და მსოფლიო მიღწევებს, წარადგენენ აღნიშნულ სამუშაოთა შემსრულებელ კოლექტივებს, ცალკეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის რესპუბლიკურ პრემიების მოსაპოვებლად.

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 28 თებერვლის № 85 დადგენილებით დამტკიცებული რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის
წესის დანართი № 1

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების სამეცნიერო საბჭოს შესახებ

1. რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის (რსტპ) სამეცნიერო ხელმძღვანელობას ახორციელებს სამეცნიერო საბჭო.

2. რსტპ-ის სამეცნიერო საბჭო:

— პასუხისმგებელია უზრუნველყოს რსტპ-ში შემავალ სამუშაოთა მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე, აგრეთვე იმ სამეცნიერო-ტექნიკურ ღონისძიებათა სისრულე და კომპლექსურობა, რომელთა შესრულება აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად;

— ამუშავებს შესაბამისი პროგრამის კონცეფციას, დასაბუთებას, მის სტრუქტურასა და თემატიკურ შემადგენლობას (სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებს), რომელთა რეალიზაცია უნდა განხორციელდეს პროექტების სახით, პროგრამის შესრულების ვადებს, წარუდგენს ამ მასალას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დასამტკიცებლად;

— რსტპ-ის კონცეფციისა და სტრუქტურის საფუძველზე განსაზღვრავს პროგრამის სრული რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების საორიენტაციო მოცულობას, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებებს უახლესი ხუთწლედის თითოეულ წელზე დაყოფით;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აცხადებს და აწყობს კონკურსებს პროგრამაში შესატანი საუკეთესო პროექტების გამოსავლენად; პროექტების დაფინანსების შემდგომი გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

3. რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში კი ერთობლივად სხვა სამინისტროებსა, უწყებებსა და ორგანიზაციებთან ერთად.

რსტპ-ის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები და სპეციალისტები, შესაბამისი პროექტების ხელმძღვანელები.

სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს ასრულებს პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 28 თებერვლის № 85 დადგენილებით დამტკიცებული რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის
წესის დანართი № 2

სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფარგლებში შესასრულებელი პროექტების კონკურსის ჩატარების წესი

1. რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების (რსტპ) კონცეფციისა და სტრუქტურის საფუძველზე რსტპ-ის სამეცნიერო საბჭო აწყობს კონკურსებს პროგრამებში საუკეთესო პროექტების შესატანად.

პროექტების მიზანია პრიხციპულად ახალი სახის ტექნოლოგიის, მასალების კოხკრეტული ობიექტების შექმნა, იმ მხიშვნელოვახი მეცხიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა, რომელთაც გახსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სსრ ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის საქმეში.

პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროექტები ითვალისწინებენ იძ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც აუცილებელია მისი საბოლოო მიზნების ყველაზე ეფექტიანი გზებით განხორციელებისათვის.

კონკურსები ცხადდება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დადგენილებებით (აუცილებელ შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება მიიღება სხვა ორგანიზაციებთან ერთად), რომლებშიც განსაზღვრულია კონკურსების ჩატარების პირობები და ვადები, შესაქმნელი სიახლისადმი ძირითადი მოთხოვნები, კონკურსების შედეგების შემაჯამებელი ჟიურის შემადგენლობა. ინფორმაცია კონკურსების ჩატარების შესახებ გაეცნობა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებრიობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს სსრ ნებისმიერ კოლექტივსა და ორგანიზაციას.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ორგანიზაცია, კოლექტივი ან ცალკეული პირები წარადგენენ განაცხადს (წინადადებას) პროექტის შესრულების თობაზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს სამუშაოს მიზანი, სამეცნიერო და ტექნიკური გადაწყვეტილების პრინციპული სიახლე, პროექტის ხელმძღვანელის გვარი, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში შესაბამის სფეროში არსებული მდგომარეობის მოკლე დახასიათება, შემოთავაზებულ სამუშაოთა კონკრეტული შინაარსი და მოსალოდნელი შედეგები (ეტაპების მიხედვით) ისეთი სახით, რომელიც იძლევა მათი მიღწევის, დაფინანსების მოცულობისა და რესურსებით უზრუნველყოფის დამატებითი საჭიროების კონტროლის საშუალებას.

ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების კონკრეტული ობიექტების შესაქმნელად კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, რომელშიც ნაჩვენები იქნება შესაქმნელი სიახლის ეფექტიანობა, სამეცნიერო-ტექნიკური წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოების საორიენტაციო მოცულობა და მათი გამოყენების სფეროები საექსპორტოდ გასატანი საქონლის გათვალისწინებით, პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო მთელი ხარჯები, აგრეთვე სიმძლავრეთა შექმნისა და შემუშავებული ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების ფართო გამოყენებისათვის საჭირო ხარჯები.

3. პროექტის საბოლოო მიზნის წარმატებით მისაღწევად პროექტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე შეიძლება გამოცხადდეს კონკურსები ცალკეული მანქანა-დანადგარების და კვანძების შესაქმნელად, აგრეთვე ცალკეული სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, ექსპერიმენტული და სხვა სამუშაოების ჩასატარებლად.

4. რსტპ-ის სამეცნიერო საბჭო ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უდგენს რეკომენდაციებს ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული პროექტის პროგრამაში ჩართვის თაობაზე, მათ შორის საუკეთესოს შერჩევით. პროგრამაში შეტანამდე კონკურსში გამარჯვებული პროექტები მუშავდება და უთანხმდება მომხმარებლებსა და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ რესურსებით.

№ 1

მუხ. 32

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 28 თებერვლის № 85 დადგენილებით დამტკიცებული რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის წესის დანართი № 3

რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა

(დასახელება)

შიფრი და პროექტის დასახელება, პროექტის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ეტაპები	დავალების შესრულებისათვის პასუხისმგებელი სამინისტროები და უწყებები, მთავარი ორგანიზაციები და ძირითადი მოსრულებლები	შესრულების ვადა (წელი)	დამფინანსებელი ორგანიზაცია, შემქვეთი	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ათასი მანეთი)			სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, მოსალოდნელი ეკონომიკური და სოციალური ეფექტები
				სულ	მათ შორის:		
					სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებზე	კაპიტალდაბანდებები	

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1, 1990 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VI-90 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 8, სააღრიცხვო თაბახი 8.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა 374 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა